პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2009
№297 (12976) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი ფოლადი სუპერთასით გამოიწრთობა





## დინამო VS ვიტ ჯორჯია

რუსთავი 13:30

წინასამატჩო » გვერდი 2-4



## ქართული რაგბის მომავლისთვის...

პრეზენტაცია » გვერდი 12



## ქედია ზუგდიდში ინიშნება

შეროზია გარემოს კოლხეთით შეიცვლის

» გვერდი 5

## ბარსამ ატლანტე კლასით წააქცია

მსოფლიოს საკლუბო მუნდიალი

» გვერდი 7







## ბორისას დღე MVP

ორმაგი დუბლი და ოლ სტარი

» გვერდი 12

# სუპერთასი ზამთრის არის



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დღევანდელი მატჩიც და საფეხბურთო წელიწადი დასრულდება; რა თქმა უნდა, ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის ჩასატარებელი მატჩი უდიდეს ინტერესს იწვევს - ორივე გუნდს ხომ უდიდესი სურვილი ექნება, საფეხბურთო წელიწადი კიდევ ერთი ჯილდოთი დაასრულონ. საერთოდაც, სუპერთასის გათამაშება თითქმის ყველგან პრესტიჟულად მიიჩნევა და საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში მაინც არა ვართ გამონაკლისები. დღევანდელი მატჩი სხვა მხრივაც არის საინტერესო - სუპერთასის შეხვედრას ხომ რუსთავის განახლებულმა სტადიონმა უნდა უმასპინძლოს; უფრო ზუსტად, „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ პირველები „დააქაშნიკებენ“ ფოლადის სტადიონის ახალ ხელოვნურსაფრიან გაზონს!

დღევანდელი მატჩი სუპერთასის გათამაშების ისტორიაში რიგით მეცხრეა; სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, დაარსების დღიდან (1996 წელი) ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ რომ არ ჩატარებულა. თუმცა, ადრეც და დღესაც საკუთარი მოსაზრება გაგვაჩნია ამ პრესტიჟული გათამაშების თარიღთან დაკავშირებით. ჰო, თითქმის ყველა წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში (ინგლისში, ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, რუსეთში) სუპერთასის მატჩი... ზაფხულში ტარდება; თანაც, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში ახალი სეზონის დაწყების წინ ხდება და, წესითა და რიგით, ასეც უნდა იყოს. აი, ჩვენთან კი, რატომღაც, სულ სხვა სიტუაციაა: პირველი სამი გათამაშება ზაფხულში ჩატარდა, მერე, ერთწლიანი „წყვეტა“ იყო და მხოლოდ 2000 წელს განახლდა, ოღონდ, თარიღი, მართლაც, უცნაური შეირჩა: 29 თებერვალი! აი, ამის შემდეგ კი სუპერთასი ყველას „დაავიწყდა“ და მხოლოდ 2005 წელს აღდგა და ეს კი, უპირველესად, იმ დროისათვის ახლად შექმნილი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის დიდი დამსახურებაც იყო. თარიღიც, მეტ-ნაკლებად, მისაღები იყო - მატჩი სექტემბერში ჩატარდა; აი, ამის შემდეგ კი ზედიზედ სამჯერ თამაშები დეკემბერში ტარდებოდა - მიზეზად, რაღა თქმა უნდა, გადატვირთული კალენდარი, სანაკრებო ინტრესები, ევროტურნირებზე ქართული გუნდების ასპარეზობა და კიდევ სხვა არგუმენტები მოჰყავდათ. რა თქმა უნდა, გარკვეული სიმართლის მარცვალი ამაში ნამდვილად იყო, მაგრამ, რატომღაც მაინც დარწმუნებული ვართ, რომ უფრო ოპტიმალური თარიღის გამოძებნა შესაძლებელი იქნებოდა. ისევ და ისევ ზაფხულის „ვარიანტს“ ვგულისხმობთ: ახალ სეზონს სწორედაც სუპერთასის მატჩით გავხსნიდით, თან ეს შეხვედრა ჩვენ უპირველეს არენაზე, ღამის საათებში (განათებაზე) ჩატარდებოდა და უამინდობის პრობლემაც მოიხსნებოდა და გადატვირთული სეზონის შემდეგ გადაღლილობისაც. ამ ყველაფრის გარდა, სუპერთასის ზაფხულში დანიშვნას სხვა დატვირთვაც ექნებოდა: მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი იმ პერიოდში ხომ ევროტურნირებზე ასპარეზობენ. თან, ჩემპიონთა ლიგაზეც და ევროპის ლიგაზეც ადრეულ ეტაპზე პირველ და განმეორებით შეხვედრებს შორის ერთკვირიანი პერიოდია; ჰოდა, ჩვენი ჩემპიონისა და თასის მფლობელს შორის ჩასატარებელი სუპერთასის შეხვედრაზე უკეთესი სპარინგი რაღა იქნებოდა? თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი სურვილ-ვარაუდებია და ახლა, ისღა დაგვრჩენია, დღევანდელ მატჩს დაველოდოთ. იმედია, ამინდიც არ გაგვწირავს და სხვებთან ერთად ჩვენც ბოლომდე გავუძლებთ დეკემბრის სუსხში ტრიბუნაზე ჯდომას. მანამდე კი სუპერთასის წინა რვა გათამაშების ლაურეატებზე, ნომინანტებსა თუ რეკორდსმენებზე...

## ფაქტები, რეკორდები...

რუსთავმა პირველად უნდა უმასპინძლოს სუპერთასის გათამაშებას. მანამდე კი ეს პატივი ჰქონდათ: ბათუმს (სამჯერ), თბილისს (სამჯერ), ქუთაისსა და გორს.

ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ პირველად ასპარეზობს სუპერთასზე, მაშინ როცა მისი მეტოქე ამ მხრივ რეკორდსმენია: „დინამომ“ მეშვიდედ უნდა იბრძოლოს ამ საპატიო თასისთვის. სხვა გუნდების მაჩვენებელი კი ასეთია: „ბათუმი“ - 3, „ამერი“ - 2, „ტორპედო“, „ზესტაფონი“, „სიონი“, „ოლიმპი“ და „ლოკომოტივი“ - ყველა თითო-თითოჯერ. რაც შეეხება გამარჯვებულებს, „დინამოს“ რეკორდს კარგა ხანია ვერავინ დაემუქრება - ხუთი გამარჯვება; ორჯერ აქვს მოპოვებული სუპერთასი „ამერს“, ხოლო ერთხელ - ბათუმის „დინამოს“.

მწვრთნელებს შორის სუპერთასზე ყველაზე მეტჯერ გუნდი **შოთა ჭეიშვილმა** („ბათუმი“) გაიყვანა - სამჯერ; ეს პატივი ორ-ორჯერ ერგოთ: **დავით ყიფიანს** („დინამო“, „ტორპედო“), **კახა ცხადაძეს** („დინამო“, „სიონი“), **ნოდარ აკობიას** („დინამო“, „ლოკომოტივი“), **გიორგი ჩიხრაძეს** („ამერი“), თითო-თითოჯერ გაიყვანეს გუნდები სუპერთასზე - **მურთაზ ხურცილავამ** („დინამო“), **ოთარ კორღალიძემ** („დინამო“), **ანატოლი პისკოვეცმა** („ოლიმპი“), **რაინერ ცობელმა** („დინამო“) და **გია გეგუჩაძე** („ზესტაფონი“). მწვრთნელთა შორის საუკეთესო შედეგი **გიორგი ჩიხრაძეს** აქვს - ვისი ხელმძღვანელობითაც „ამერმა“ ორჯერ მოიპოვა სუპერთასი; თითოჯერ მოაგებინეს ეს საპატიო ჯილდო თავიანთ გუნდებს: **დავით ყიფიანმა, ნოდარ აკობიამ, შოთა ჭეიშვილმა, კახა ცხადაძემ, ოთარ კორღალიძემ და რაინერ ცობელმა.**

წინა რვა გათამაშებაში სუპერთასზე რვა ლეგიონერს უასპარეზია: **ინომოვს** (უზბეკეთი), **რამონს** (ბრაზილია), **ევოჩეს, ჩასემს** (ორივე - კამერუნი), **აკუასაგას, ოვონოს** (ორივე - გაბონი), **კრშკოს** (სლოვაკეთი) და **სპასოევიჩს** (ჩერნოგორია). ამათგან გამარჯვება მხოლოდ ოვონოს, კრშკოსა და სპასოევიჩს ხვდათ წილად.

მსაჯებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი **ლევან ფანიაშვილს** აქვს, ვინც ორჯერ იმსაჯა სუპერთასის მატჩი; დანარჩენ ექვს შეხვედრაში სუპერთასის შეხვედრას უძღვებოდნენ: **ელგუჯა სილაგავა, პაატა დოგრაშვილი, თამაზ ლაცაბიძე, კახა მესხი, დავით ხარიტონაშვილი, გიორგი კიკაჩეიშვილი.** რახან მსაჯები ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ წინა რვა გათამაშებაში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელია მოედნიდან გაძევებული: **დავით სოლოღაშვილი, სანდრო იაშვილი, გიორგი ონიანი და სერგო ორბელაძე.**

სუპერთასის ბომბარდირთა შორის **გრიგოლ დოლიძე** ლიდერობს - „ამერის“ შემადგენლობაში ორ ფინალში მიიღო მონაწილეობა და ოთხი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, დოლიძე ერთადერთი ფეხბურთელია, სუპერთასზე „ჰეთ-თრიკი“ რომ შეასრულა. ორჯერ აქვს „დუბლი“ შესრულებული ლევან ცქიტიშვილს, ერთხელ - **დავით ყიზილაშვილს.** ფეხბურთელთა შორის აბსოლუტური რეკორდსმენი **გივი დიდავაა**, ვისაც ხუთჯერ უთამაშია სუპერთასზე და ხუთივეჯერ გაუმარჯვია! პირველ სამ წარმატებას დიდავამ „დინამოში“ მიაღწია, ორჯერ კი „ამერის“ შემადგენლობაში. სამჯერ აქვს მოპოვებული სუპერთასი **გიორგი დავითნიძეს;** ხოლო **ივანე მახარაძე** და **მიხეილ მახვილაძე** ყველაზე უიღბლო ფეხბურთელებად უნდა დავასახელოთ - სამჯერ იასპარეზეს სუპერთასის მატჩში და სამივეჯერ დამარცხდნენ. თანაც, მახვილაძე სამი სხვადასხვა გუნდის („ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „ოლიმპი“) შემადგენლობაში თამაშობდა და ვერც ერთხელ შეძლო გამარჯვება.

დაბოლოს - წინა რვა გათამაშებაში ყველაფერი ძირითად დროში წყდებოდა; ანუ, აქამდე არც დამატებითი დრო დანიშნულა და არც პენალტების სერია გვინახავს. სამაგიეროდ, ნოვაციაზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი რამ ვიხილეთ პირველ გათამაშებაში, სადაც პენალტების სერია... მატჩის დაწყებამდე შესრულდა!..

**გია ტუხაშვილი**

## ყველა მატჩი

### I გათამაშება

**დინამო-ბათუმი 4:0**

28.07.1996. ბათუმი. ცენტრალური. 7000 მაყურებელი

1:0 ა. იაშვილი (23), 2:0, 3:0 ყიზილაშვილი (52, 54), ცქიტიშვილი (78)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე (75. დიდავა), კუდინოვი, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, ანჩაბაძე (72. ინალიშვილი), კერძევაძე - ყიზილაშვილი, ა. იაშვილი (71. ხომერიკი)

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ბათუმი: ტოგონიძე - შანიძე (71. ი. მახარაძე), შეყილაძე, მ. მახარაძე, მინდაძე - ღლონტი, თორლაშვილი, ტულუში, ა. მუჯირი - უჯმაჯურიძე, დ. მახარაძე (54. ტრაპაიძე)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: კიკნაძე

არბიტრი: ე. სილაგავა (თბილისი)

### II გათამაშება

**დინამო-ბათუმი 4:1**

4.08.1997. ქუთაისი. ცენტრალური. 6000 მაყურებელი

1:0 დ. მუჯირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27, პენალტით), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (75, პენალტით), 4:1 ალექსიძე (85)

დინამო: ზოიძე - კალაძე, ლობჟანიძე, ზ. ჯელაძე (46. გუჩუა), ჩხაიძე (88. დავითნიძე) - გოგიჩაიშვილი (64. ალექსიძე), კიკნაძე, ცქიტიშვილი (46. გოგობერიშვილი), დიდავა - დ. მუჯირი (58. ხომერიკი), ა. იაშვილი (87. გ. კვარაცხელია)

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

ბათუმი: ტოგონიძე - ი. მახარაძე (40. ფუტკარაძე), ასპინძელაშვილი, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე - ღლონტი, სიჭინავა, კანტიძე, სოლოღაშვილი - მაქაცარია (46. აფხაზავა), ჩუხუა (46. ყულეჯიშვილი)

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: მუჯირი, ჩუხუა, სოლოღაშვილი

გაძევება: სოლოღაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### III გათამაშება

**დინამო-ბათუმი 1:2**

2.08.1998. ბათუმი. ცენტრალური. 5000 მაყურებელი

0:1 მაჭუტაძე (38), 1:1 ცქიტიშვილი (79), 1:2 ტულუში (81)

დინამო: სოლოღაშვილი - ი. მახარაძე, გ. კვარაცხელია (62. სახვაძე), გუჩუა, კობიაშვილი - ცქიტიშვილი, კიკნაძე, დ. მუჯირი (66. ლ. მელქაძე), ალექსიძე - ხომერიკი (68. გ. შენგელია), აშვეთია

მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

ბათუმი: ტოგონიძე - გოგიტიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მინდაძე (44. აფხაზავა) - სიჭინავა, ვერემჩუკი, კანტიძე (71. მაქაცარია), ტულუში - გადელია (31. ღლონტი), მაჭუტაძე

მწვრთნელი: შოთა ჭეიშვილი

გაფრთხილება: კანტიძე, გუჩუა

არბიტრი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### IV გათამაშება

**დინამო-ტორპედო 1:0**

29.02.2000. თბილისი. ეროვნული. 1500 მაყურებელი

1:0 ნიტაიშვილი (16)

დინამო: გრიშიკაშვილი - შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ქემოკლიძე - ჯინჭარაძე, გუჩუა, სიჭინავა, სახვაძე (89. რუხაძე) - დათვაძე (80. ანჩაბაძე), ნიტაიშვილი (90. ხუციშვილი)

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ტორპედო: გრ. ჭანტურია - ამისულაშვილი, მახვილაძე (23. ასათიანი), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (76. ბობოხიძე) - ახვლედიანი, კვეტენაძე, კ. ჩხეტიანი, იონანიძე - იმედაძე (65. დ. ჯანაშია), გ. მეგრელაძე

მწვრთნელი: დავით ყიფიანი

გაფრთხილება: გუჩუა, სახვაძე, ვაშაკიძე

არბიტრი: კ. მესხი (ზუგდიდი)

### V გათამაშება

**დინამო-ლოკომოტივი 1:0**

14.09.2005. ბათუმი. ცენტრალური. 3000 მაყურებელი

1:0 ბობოხიძე (69)

დინამო: სტურუა - კ. ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია - ოდიკაძე, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ბაბუნაშვილი (88. ნავალოვსკი) - ლ. მელქაძე (59. ს. იაშვილი), ბობოხიძე (83. გიგაური)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ლოკომოტივი: გრ. ჭანტურია - საჯაია, გ. ონიანი (75. დ. ფოფხაძე), მახვილაძე, რ. ონიანი - სეთურიძე, ქებაძე, ინომოვი (79. ა. ნოზაძე), სირაძე - რამონი (55. ალავერდაშვილი), კახელიშვილი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

გაფრთხილება: ალადაშვილი, გ. ონიანი, ა. ნოზაძე

გაძევება: იაშვილი, გ. ონიანი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### VI გათამაშება

**ამერი-სიონი 1:0**

1.12.2006. თბილისი. მიხეილ მესხი. 4000 მაყურებელი

1:0 დოლიძე (38)

ამერი: ქვაჩახია - დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (90. მჭედლიშვილი), ბოლქვაძე, დეკანოსიძე, გ. ჯელაძე - წინამძღვრიშვილი (85. სევასტოპულო), ტატანაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

სიონი: ბობლიაშვილი - კობაური, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი - ვ. უგრეხელიძე (46. კვიტაიშვილი), ბაჯელიძე (63. შავგულიძე), ოქროპირიძე, ალავიძე - ევოჩე (80. ქარდავა), ჩასემი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ბოლქვაძე, დიდავა, რაქვიაშვილი, ქვაჩახია, ჩასემი, ოქროპირიძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

### VII გათამაშება

**ოლიმპი-ამერი 1:4**

9.12.2007. გორი. თ. ბურჯანაძე. 2500 მაყურებელი

0:1 დოლიძე (29), 0:2 დოლიძე (65), 0:3 დოლიძე (71), 0:4 რ. გოცირიძე (88), 1:4 ყრუაშვილი (90)

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე, აკუასაგა, მახვილაძე - კახელიშვილი, დევდარიანი, გეწაძე, სილაგაძე (73. ქებაძე), ნავალოვსკი (50. კოშკაძე) - რ. ჯიქია, დვალიშვილი (73. ყრუაშვილი)

მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ამერი: ქვაჩახია - კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - დოლიძე (75. ალავიძე), დეკანოსიძე, ბოლქვაძე (75. მესხი), დიდავა, გ. ჯელაძე - ტატანაშვილი (80. რ. გოცირიძე)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე, ორბელაძე, ელბაქიძე, ქვაჩახია, დიდავა

გაძევება: ორბელაძე

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### VIII გათამაშება

**დინამო-ზესტაფონი 1:0**

03.12.2008. თბილისი. მიხეილ მესხი. 4000 მაყურებელი

1:0 ხმალაძე (90)

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე - ოდიკაძე (78. შ. კაშია), დილმელაშვილი, ფირცხალავა, გველესიანი - გ. მერებაშვილი (78. სპასოევიჩი), ვაწაძე.

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - უ. ლობჟანიძე, შ. ლონლაძე (89. დაუშვილი), ს. თოდუა, მაკარიანი - გ. ნუგზარის ძე ჭელიძე, რ. ონიანი - ნ. კვასხვაძე (46. იონანიძე), ჩასემი, ბენაშვილი - გელაშვილი (65. ძარია).

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ვაწაძე, გ. კაშია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# პენალტებისთვისაც ემზადებიან

## დინამოს ვაწაძე დაუბრუნდა



**დინამო-ვიტ ჯორჯია**

17.12.09. რუსთავი. ფოლადი

**13:30**

დისკვალიფიკაცია: არავინ

**LIVE პირველ არხზე**



დღეს 13:30 საათზე რუსთავში საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" და თასის მფლობელი თბილისის „დინამო" სუპერთასს გაითამაშებენ. გუშინ „ფოლადის" სტადიონზე ორივე გუნდმა ივარჯიშა, დღევანდელი მატჩის წინ კი „ფოლადზე" ახალი მოედნის პრეზენტაციაც შედგება - დაიგო ხელოვნური საფარი, რომელიც სუპერთასის მონაწილეებმა შესაგუებლად დააჭაშნიკეს.

თავდაპირველად, „ფოლადზე" საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" გამოჩნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გელა გომელაურმა** ფეხბურთელები საათზე მეტხანს ავარჯიშა - დიახ, გომელაურმა და არა - **მერაბ კოჭლაშვილმა.** „ვიტ ჯორჯია" კოჭლაშვილის გადადგომას არ ადასტურებს, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო ტურებში მთავარი მწვრთნელის როლში დუბლშემადგენლობის თავკაც გომელაურს ვხედავთ. „ვეტერინართა" გენერალურმა მდივანმა **მალზახ კაკაურიძემ** ვითარებაში გაგვარკვია - სუპერთასზე გუნდს მთავარი მწვრთნელის რანგში გომელაური გაიყვანსო...

გასაგები მიზეზის გამო, ჩემპიონებმა 11-მეტრიანების შესრულებაზეც ივარჯიშეს: *„ბოლო წლებში სუპერთასის შეხვედრების ძირითადი დრო ფრედ ბევრჯერ დასრულდა. ვინ იცის, იქნებ, ჩვენს შემთხვევაშიც, გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაგვჭირდეს. აქედან გამომდინარე, 11-მეტრიანებში ვარჯიში გადავწყვიტეთ. თუმცა იმედი მაქვს, სუპერთასს ჩვენ მოვიგებთ და დამატებით დრომდე არ მივიყვანთ საქმეს"*, - ამბობს „ვიტ ჯორჯიის" კაპიტანი **ლექსო კვახაძე.**

სხვათა შორის, პენალტებში საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა ვიტელთა მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი**, რომელმაც კვახაძესა და „სტანდარტულების" შემსრულებელ **ლუკა რაზმაძეს** აჯობა. „ვიტ ჯორჯიის" მცველი **გიგა ბეჭვაია** კი მოედნით იყო მოხიბლული:

- სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი კარგი ხარისხის საფარი იქნებოდა, ძალიან მომეწონა...

**- ეს საფარი მეექვსე თაობისაა და ახლოსაა ნატურალურ გაზონთან?**

- რა თქმა უნდა, იდენტური არ არის, ბალახზე თამაში მაინც სხვა სიამოვნებაა, მაგრამ საკმაოდ მიახლოებულია. აქ თამაში განსაკუთრებით სასიამოვნო ზამთარში იქნება.

**- ალბათ, უხარისხო ქართულ მოედნებს ასეთ საფარზე თამაში ჯობია...**

- ორი აზრი არ არსებობს - ბევრად ჯობია! უხარისხო მოედნების ბრალია, სწრაფ ფეხბურთს რომ ვერ ვთამაშობთ. მეორე პრობლემა კი ისაა, რომ ტრავმები მატულობს. არადა, ბევრ სტადიონზეა უხარისხო საფარი. ძალიან მიხარია, რომ სუპერთასის მატჩს ასეთ კარგ მოედანზე გავითამაშებთ. შესაძლოა, საფარი ჯერ ძალიან რბილია, კიდევ სჭირდება „დაჯდომა", მაგრამ უხარისხო მოედნებს აქ თამაში მირჩევნია.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **დავით კირკიტაძემაც** იმავე საკითხზე გაამახვილა ყურადღება: *„საფარი ახალი დაგებულია, ხვალ პირველი შეხვედრა გაიმართება და ბუნებრივია, ჯერ საუკეთესო მდგომარეობაში არ არის. საამისოდ, გარკვეული დროა საჭირო. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ სულ მცირე, 4-5 წელი მაინც მოედნის პრობლემა არ გვექნება. იმედია, მსგავსი მოედნები მალე საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში დაიგება. თუმცა სტადიონზე სამუშაოები ამით არ დასრულებულა. მალე სარბენი ბილიკები დაიგება და ტაბლოც დამონტაჟდება"*.

საუბარში ბოლნისის „სიონის" სპორტული დირექტორი **ლევან ბაჯელიძე** ჩაგვერთო: *„მე როგორც ვიცი, „ლუჟნიკების" საფარიც კი არ არის ასეთი ხარისხის. ძალიან კარგი მოედანია და აქ თამაში ერთი სიამოვნება იქნება"*.

დინამოელები „ფოლადზე" დაახლოებით 15 საათზე გამოჩნდნენ. თბილისის „დინამოს" მცველ **გურამ კაშიასაც** მოედნის მდგომარეობა აინტერესებდა:

- ხელოვნურ საფარზე თამაშს მაინცდამაინც მიჩვეული არ ვარ და მაინტერესებს, როგორი მოედანი დააგეს. თუმცა ასეთ თანამედროვე საფარზე თამაში ბევრად სასურველია, ვიდრე უხარისხო ნატურალურ ბალახზე.

**- მატჩის წინ რას იტყოდი?**

- სუპერთასის მოპოვება პრესტიჟის საქმეა და ბოლომდე დავიხარჯებით. ტიტულების კოლექცია ყოველწლიურად უნდა შევავსოთ. იმედია, სუპერთასი ჩვენ დაგვრჩება.

*„რა თქმა უნდა, „დინამო" მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გადის, მაგრამ პენალტების სერიისთვისაც უნდა მოვემზადოთ. ამიტომ, მატჩის წინა დღეს 11-მეტრიანებზე ვარჯიში აუცილებელია - ყველანაირი სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ"*, - გვითხრა „დინამოს" კაპიტანმა **ლევან ხმალაძემ**, რომელიც დაშავებული იყო და გუნდს მხოლოდ ახლა დაუბრუნდა.

ალსანიშნავია, რომ გუშინ „დინამოს" რიგებში ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატმა **მათე ვაწაძემაც** ივარჯიშა. 20 წლის თავდამსხმელმა ერთი თვის წინ ტრავმა გაიმიზეზა და წელს მოედანზე დაბრუნებას გამორიცხავდა. მაგრამ აი, მომჯობინდა, 15 დეკემბერს გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა და „დინამოს" შეტევის ხაზში არსებული პრობლემების გამო, შესაძლოა, დღეს მეორე ტაიმში მაინც ვიხილოთ მოედანზე. თავად კი ჯერ ვერაფერს ამბობს: *„ზუსტად არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა. ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული, მთავარია, ჯანმრთელობის მდგომარეობამ ხელი შემიწყოს"*.

საქართველოს თასის მფლობელს ხვალ მხოლოდ **ალეკო კოშკაძე** ვერ დაეხმარება - „დინამოს" პლეი-მეიკერი და ერთ-ერთი ლიდერი დაშავებულია და დღემდე მკურნალობს. პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელ **ნოდარ კაკულიას** თქმით, ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მიღებული წითელ-ყვითელი ბარათები სუპერთასზე არ იმოქმედებს. ფეხბურთელებს შემდეგში არც დღევანდელ მატჩში მიღებული ბარათები გადაჰყვებათ, თუკი ვინმემ წითელი ბარათი არ დაიმსახურა.

რაც შეეხება სუპერთასის დებულებას. ეს იქნება ჩვეულებრივი ფინალური მატჩი, თუკი ძირითადი დრო გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, ორი 15-15 წუთიანი დამატებითი ტაიმი დაინიშნება. და თუ უძლიერესი ვერც ამ შემთხვევაში გამოვლინდება, სუპერთასის მფლობელი გახდება გუნდი, რომელიც უკეთ შეასრულებს პენალტების სერიას.



როცა მოედანზე გუნდები ვარჯიშობდნენ, სტადიონზე სამუშაოები გრძელდებოდა. დამლაგებლები ტრიბუნებს, სტადიონისა და მოედნის მისადგომებს ასუფთავებდნენ, მუშები კი სარეკლამო ფარებს აყენებდნენ. მატჩის ორგანიზატორებისა და ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, მოედნის მთელ სიგრძესა და კარების უკან სარეკლამო ბანერები დამონტაჟდება. თითქოს დეტალია, მაგრამ ფეხბურთს ლამაზი გარემოც უხდება. დასავლეთ ტრიბუნას კი დიდი ბილბორდი დაამშვენებს წარწერით - „გილოცავთ, იასონ, 60 წლის იუბილეს" (რუსთაველი ფეხბურთის ერთ-ერთი კოლორიტი **იასონ ალადაშვილი** 60 წლის გახდა). და ბოლოს ესეც ვთქვათ - 11 საათზე, სუპერთასამდე, მოედანზე თბილისის „დინამოსა" და ქვემო ქართლის ვეტერანთა გუნდები ბატონი იასონის იუბილეს საფეხბურთო მატჩით აღნიშნავენ. თავად სასუპერთასო ჯახი კი 13:30 საათზე დაიწყება.





ბუბა ტყავაძე საფარს ამოწმებს

**მერაბ მამულაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## კახა კაჭარავა

# ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს...

თბილისის „დინამოს“ თავკაცი კახა კაჭარავა მიიჩნევს, რომ სუპერთასის დღევანდელ მატჩში გადამწყვეტი ფაქტორები კონცენტრაცია, საგოლე მომენტების გამოყენება და გამართლება იქნება...

**- როგორ მიდის სუპერთასისთვის სამზადისი? რამე ცვლილებები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- ჩვეულებრივად ვემზადებით. „დინამო“ ვართ და მდიდარი წარსული გვავალდებულებს, ყველა გათამაშებაში მაქსიმუმისთვის ვიბრძოლოთ. ამჯერადაც ასეა - სუპერთასი გვინდა. რაც შეეხება ცვლილებებს. მათე ვაწაძე ახლახან კი დაგვიბრუნდა, მაგრამ ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის ფორმაში. ალექსანდრე კოშკაძე ტრავმირებულია. ნიკა ფირცხალავას ტემპერატურამ აუწია, ლევან ხმალაძეც ტრავმირებულია... მართალია, დღეს ლევანმა ივარჯიშა, მაგრამ მისი თამაში ჯერ მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა.

**- მეტოქეს როგორ შეაფასებდით?**

- „ვიტ ჯორჯია“ მოქმედი ჩემპიონია, წლებია, სტაბილურად ერთი შემადგენლობით თამაშობს, ეს კი ფეხბურთში ბევრს წყვეტს.

**- ბოლოს „ვეტერინარებმა“ აუტსაიდერი „ლოკომოტივი“ ვერ დაამარცხეს (1:1). ეს თქვენი მეტოქის მოდუნებაზე მეტყველებს?**

- ვინც ეს თამაში ნახა, დამეთანხმება, რომ ვიტელებს უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდათ, უბრალოდ, საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ვერ ვიტყოდი, რომ მეტოქე მოდუნებულია და რუსთავში სრულად კონცენტრირებული არ გამოვა მოედანზე. პირიქით, „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონია და კიდევ ერთი ტიტულისთვის იბრძოლებს.

**- მიმდინარე სეზონში, „ვიტ ჯორჯიასთან“ ორივე მატჩი უგოლოდ დაასრულეთ. თუმცა სუპერთასზე ალბათ სხვა ხასიათის თამაშს ელით...**

- ჩემპიონატი 4 წრის და უამრავი ტურისგან შედგება და თუ რაღაც მომენტში წაიფორხილებ, მერე შეგიძლია სიტუაციის გამოსწორება. სუპერთასი კი, ან ზოგადად სათასო მატჩები, აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკისაა. აქ მხოლოდ ერთი თამაშია და მას მოიგებს ის, ვინც კონკრეტულ მომენტში ყველაზე უკეთ იქნება მზად, ვინც ყველაზე ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

**- კიდევ რა ფაქტორები იქნება გადამწყვეტი?**

- კონცენტრაცია, საგოლე მომენტების გამოყენება და გამართლება... შანსებს თანაბრად ვაფასებ, დანარჩენი რუსთავში გამოჩნდება.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ზამთრის პაუზის წინ ეს ბოლო მატჩია. რამდენად მობილიზებული იქნებიან გუნდები?**

- ვფიქრობ, ერთ მატჩში სრული კონცენტრაცია არც ერთ გუნდს არ უნდა გაუჭირდეს. საერთოდ კი სეზონის ეს ნაწილი ჩვენთვის ძალზე მომქანცველი იყო. თასის ფინალის შემდეგ მხოლოდ ოთხი დღით დავისვენეთ და ევროტურნირებისთვის გავაგრძელეთ მზადება. ამასთან, „დინამოს“ 7 ფეხბურთელი ნაკრებში იყო გამოძახებული და მათ ის ოთხი დღეც არ დაუსვენიათ. გარდა ამისა, ბევრ ფეხბურთელს ტრავმებმა შეუშალა ხელი და არაერთ შეხვედრაში ახალბედა მოთამაშეებზე მოგვიწია აქცენტის გაკეთება... ერთი სიტყვით, ზაფხულიდან მოყოლებული, ძალიან დავიღალეთ, მაგრამ მჯერა, ამ ერთ მატჩზე კონცენტრირებას როგორმე მოვახერხებთ, ჩვენს ფეხბურთელებს წესით ეს არ გაუჭირდეთ.

**- დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, გამარჯვებულის გამოსავლენად 90 წუთი საკმარისი იქნება თუ არა?**

- არაფერია გამორიცხული. შესაძლოა, ყველაფერი ძირითად დროში გადაწყდეს, ანდაც 90 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდეს... ერთი სიტყვით, ჩვენ ყველანაირად ვემზადებით, მათ შორის, პენალტებისთვისაც.

**დავით ცაბაძე**



## გელა გომელაური

# ლამაზ ფეხბურთს ნახავთ

### გომელაურმა დაადასტურა: მთავარი მწვრთნელი მე ვარ

**ისედაც** ნათელი იყო, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მერაბ კოჭლაშვილი გელა გომელაურმა შეცვალა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა ამ ფაქტს რატომღაც არ ადასტურებდა. საბედნიეროდ, გაუგებრობას წერტილი თავად გომელაურმა დაუსვა, რომელსაც სუპერთასის მატჩის თაობაზე გავესაუბრეთ.

**- ყველა ხედავს, რომ გუნდის საწვრთნელ პროცესსაც თქვენ წარმართავთ და თამაშის დროსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. რა სტატუსი გაქვთ „ვიტ ჯორჯიაში“?**

- დასამალი არაფერია, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი მე გახლავართ.

**- როდიდან?**

- გუნდი „ზესტაფონთან“ საპასუხო სათასო მატჩის წინ ჩავიბარე, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს კლუბს ოფიციალურად არ გაუხმაურებია.

**- მართალია, აქამდე „ვიტ ჯორჯიას“ დუბლებში მუშაობდით, მაგრამ მთავარ გუნდთან შესაგუებლად, ალბათ, მაინც დაგჭირდებათ გარკვეული დრო.**

- ბუნებრივია, ადაპტაციას დრო მართლაც უნდა, მით უფრო, რომ უმაღლეს ლიგაში პირველად ვმუშაობ მთავარი მწვრთნელის პოსტზე. თუმცა ახალ თანამდებობაზე პრობლემები არ მაქვს. იმის მიუხედავად, რომ მთავარ მწვრთნელად ახალი დანიშნული ვარ, სუპერთასის მატჩში მხოლოდ გამარჯვებას ვგეგმავ. მწვრთნელი ეტაპობრივად უნდა ვითარდებოდეს. მიმუშავია ბავშვებთან, ჭაბუკებთან, ასაკობრივ ნაკრებებთან, პირველ ლიგაში, დუბლებში. უკვე საკმაო გამოცდილება დამიგროვდა და ამიტომაც ვფიქრობ, რომ უმაღლეს ლიგაში სამუშაოდ უკვე მზად ვარ. შევეცდები, საქართველოს ჩემპიონატის ამაღლებაში მცირედი წვლილი მეც შევიტანო.

**- და სწორედ თქვენი ხელმძღვანელობით იბრძოლებს „ვიტ ჯორჯია“ პირველი სუპერთასისთვის.**

- ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. თითოეულ ჩვენგანს ძალიან კარგად ესმის ამ ტიტულის მნიშვნელობა და გამარჯვებისთვის არაფერს დავიშურებთ. „ვიტ ჯორჯია“ ადრეც ყოფილა ჩემპიონი, მაგრამ მაშინ სამწუხაროდ, სუპერთასი არ იმართებოდა. ახლა კი გვაქვს შესანიშნავი შანსი, კლუბის ტიტულების კოლექციას კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო შევმატოთ.

**- მატჩისთვის მზადების პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ჩვეულებრივად ვემზადებით, ისევე როგორც კალენდარული თამაშისთვის. თუმცა ბუნებრივია, არც ესაა რიგითი მატჩი და არც „დინამოა“ რიგითი მეტოქე. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს მეტოქეს საუკეთესო დროება არ უდგას და წამყვანი ფეხბურთელები აკლია, „დინამო“ მაინც ქართული ფეხბურთის ფლაგმანად რჩება და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- როგორც ვიცით, საკადრო პრობლემები „ვიტ ჯორჯიას“ არ აწუხებს.**

- საბედნიეროდ, „ვიტ ჯორჯიას“ ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და ძირითადი შემადგენლობის შერჩევაში შეზღუდული არ ვარ. ყველას ვულოცავ ბარბარობას და დარწმუნებული ვარ, ამ ბრწყინვალე დღეს გულშემატკივარი ლამაზ ფეხბურთს იხილავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ოლიმპს ხუციშვილის ჩამოყვანა სურს

### ექსდინამოელს რუსთაველთა მიზნები ძალიან ხიბლავს

**რუსთავის** „ოლიმპს“ მეორე წრეში კიდევ უფრო გაძლიერება სურს. უკვე ვწერდით, რომ ბელარუსიდან მინსკის „მტზ-რიპოს“ ლიდერ გია კვარაცხელიას ჩამოყვანა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია - ფეხბურთელმა წინასწარი თანხმობა უკვე განაცხადა. ამავე დროს, რუსთაველებს სერბეთიდან თბილისის „დინამოს“ ყოფილი ბომბარდირის მიხეილ ხუციშვილის გადაბირებაც სურთ. ინფორმაცია თავად ფეხბურთელმაც დაგვიდასტურა, მაგრამ ჯერ ვერ ამბობს, შეთავაზებაზე თანახმაა თუ არა. შეგახსენებთ, რომ ხუციშვილი წელიწადია, რაც სერბეთის პირველობის ერთ-ერთ ლიდერ ნოვი სადის „ვოევოდინაში“ თამაშობს.

**- მეორე ეტაპიდან „ოლიმპში“ გიხილავთ?**

- რუსთაველებს ინტერესი აქვთ, მაგრამ ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. სიმართლე გითხრათ, მე ყოველთვის მსურდა კარიერის საქართველოში გაგრძელება, მაგრამ აქ ყველა კლუბში არ არის სასურველი სავარჯიშო და სხვა საჭირო პირობები. ამის გამო, ფეხბურთელები კარიერის აწყობას უცხოეთში ვცდილობთ. თუმცა „ოლიმპს“ სერიოზული გეგმები აქვს, რუსთავის სტადიონიც განაახლეს და საუკეთესო პირობებშიც ვარჯიშობენ. სხვათა შორის, სტადიონის ახალი საფარი ძალიან მომეწონა, ევროპული ხარისხისაა.

**- სერბეთიდან საქართველოში ჩამოსვლას ბევრი არ დათანხმდება, მაგრამ აშკარაა, რომ ამ წინადადებაზე ფიქრობ - ეტყობა, „ოლიმპი“ გამორჩეულ პირობებს გთავაზობს...**

- ჯერ ამ თემაზე არც გვილაპარაკია, მაგრამ ფაქტია, რომ „ოლიმპისა“ და ქვემო ქართლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შორს მიმავალი მიზნები აქვს. საქართველოში ფეხბურთი უნდა განვითარდეს და მათი მიზანიც სწორედ ეს არის. სტადიონის რეკონსტრუქცია და ძლიერი ფეხბურთელების ჩამოყვანა ამის წინაპირობა უნდა გახდეს.

**- სერბეთით კმაყოფილი ხარ?**

- ყველანაირად კმაყოფილი ვარ - კლასის ამაღლება იქნება, სავარჯიშო პირობები თუ ზოგადად საფეხბურთო გარემო. სერბეთში თამაშით ბევრი მოვიგე. იქ გატარებული დრო, თუნდაც სამომავლოდ, კარიერის დასრულების შემდეგ გამომადგება, რადგან თანამედროვე სავარჯიშო მეთოდებს გავეცანი.

**- ბოლო თვეებში სერბეთის ჩემპიონატში რატომ აღარ თამაშობ?**



მიხეილ ხუციშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- კუნთი გამიწყდა და ერთი თვე გამიცდა, მანამდე კი მათამაშებდნენ. მხოლოდ ბოლო შეხვედრისთვის მოვმჯობინდი და განაცხადში შემიყვანეს. თუმცა სიცივესა და ატალახებულ გაზონზე ექიმებმა თამაში არ მირჩიეს. ახლა დავისვენებ, საბოლოოდ გამოვჯანმრთელდები და 8 იანვრიდან გუნდთან ერთად მოვემზადები.

**- კლუბთან კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- მომავალი წლის ზამთარში. ესეც ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა, რაც „ოლიმპთან“ კონტრაქტის გაფორმებაში ხელს შემიშლის.

**მერაბ მამულაშვილი**

---

ფიფას რეიტინგი

# მძიმე მემკვიდრეობა

### ეთიოპიისა და ვიეტნამის შემდეგ

**გუშინ** ფიფამ დეკემბრის ანუ 2009 წლის ბოლო რეიტინგი გამოაქვეყნა. ნოემბერთან შედარებით, საქართველომ ერთი საფეხურით წაიწია წინ და ამჟამად 124-ე ადგილზეა. დასანანია, მაგრამ ფაქტია - ფარერები, ბოსტვანა, კუბა, გვატემალა, ინდონეზია, ეთიოპია, ვიეტნამი... ჩვენ ზემოთ არიან. სამაგიეროდ, გავუსწარით ყაზახეთსა და ბარბადოსს, რადგან ორივე დაქვეითდა, შესაბამისად, 6 და 14 საფეხურით.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მომდევნო რეიტინგი 3 თებერვალს, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის წილისყრამდე 4 დღით ადრე გამოქვეყნდება. შესაბამისად, საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელისთვის, რომელიც ოფიციალურად 2010 წლის 1 იანვრიდან შეუდგება მუშაობას, ათვლის წერტილიც ეს არის - **თემურ ქეცბაია** 124-ე ადგილიდან იწყებს..

ახლა კი გადავავლოთ თვალი წარსულს და ვნახოთ, რა მდგომარეობა გვქონდა რეიტინგში **კლაუს ტოპმიოლერისა** და **ექტორ კუპერის** პერიოდში. ამ მხრივ, გერმანელ მწვრთნელს არგენტინელზე გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს - ტოპმიოლერის ხელში საქართველომ რეიტინგში წინ წაიწია, კუპერის დროს კი პირიქით, დაქვეითდა. თავად განსაჯეთ - ჰერ კლაუსმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2006 წლის 8 თებერვალს გააფორმა, როცა ჩვენი ნაკრები რეიტინგში 105-ე ადგილზე იმყოფებოდა. 2008 წლის 9 აპრილს (ტოპმიოლერი ნაკრებიდან იმავე წლის 1 აპრილს გაუშვეს) გამოქვეყნებულ რეიტინგში კი საქართველო 81-ე ადგილზე იყო.

რაც შეეხება კუპერს. არგენტინელმა საქართველოს ნაკრები 2008 წლის 1 აგვისტოს ჩაიბარა. 6 აგვისტოს ფიფამ გვაახლა ახალი რეიტინგი, რომელშიც 86-ე პოზიციაზე აღმოვჩნდით. კუპერის წასვლის (მას 5 ნოემბერს შეუწყდა კონტრაქტი) შემდეგ გამოქვეყნებულ რეიტინგში კი საქართველო 125-ე საფეხურზე იყო.

მოკლედ, ქეცბაიას ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა ერგო. თუმცა ეს რეიტინგის გარეშეც კარგად ჩანს...

| დეკემბრის პირველი ათეული | |
|---|---|
| 1. (0) ესპანეთი | 1627 |
| 2. (0) ბრაზილია | 1568 |
| 3. (0) ჰოლანდია | 1288 |
| 4. (0) იტალია | 1209 |
| 5. (0) პორტუგალია | 1176 |
| 6. (0) გერმანია | 1173 |
| 7. (0) საფრანგეთი | 1117 |
| 8. (0) არგენტინა | 1085 |
| 9. (0) ინგლისი | 1076 |
| 10. (0) ხორვატია | 1042 |

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ნუკრი რევიშვილი ...ეს ყველაფერი ტყუილია, ანჟი კი ნაღდია

მახაჩყალის „ანჟიმ" რუსული პრემიერლიგის ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. ქართველი ფეხბურთელების (ოთარ მარცვალაძე, სანდრო იაშვილი და კახა ალადაშვილი) ნაწილი დაღესტნის დედაქალაქში უკვე ჩავიდა. მალე გუნდს სხვა ქართველებიც შეუერთდებიან. თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, პრემიერლიგაში ალზევებულ „ანჟიში" რამდენი ქართველი დარჩება. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, მომავალ სეზონში დაღესტნელთა შორის მეკარე ნუკრი რევიშვილიც ვიხილოთ. ყაზანის „რუბინის" სათადარიგო გოლკიპერი „ანჟიში" გადასვლას რეალურად მიიჩნევს. „ლელოსთან" ინტერვიუში ეს მახაჩყალელთა მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემაც დაადასტურა.

რევიშვილი თბილისშია. მას გუშინ დავუკავშირდით და ჯერ რუსულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე ვთხოვეთ კომენტარი. ეს ინფორმაცია კი გვეუბნება, რომ რევიშვილი ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბოხუმში" აპირებს კარიერის გაგრძელებას...

**- როგორც ინფორმაციიდან ჩანს, გერმანიაში გადასვლა რეალურია...**

- ნეტავ რეალური იყოს, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. მაგრამ რეალური შემოთავაზება რომ იყოს, ამას გაზეთიდან შევიტყობდი? ეს ხომ გამორიცხულია?!

**- გერმანელები არ დაგლაპარაკებიან?**

- არა, არანაირი გერმანია, „ბოხუმში" ნამდვილად არ მივდივარ. არავინ დამკავშირებია არც მე, არც „რუბინის" ხელმძღვანელობას და არც ჩემს მენეჯერ მამუკა ჯუღელს.

**- აბა, საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ეტყობა, რუს ჟურნალისტებს რატომღაც ძალიან უნდათ, რომ „ბოხუმში" გადავიდეთ და ამისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის? (იცინის) არ ვიცოდი, მათ წრეში კეთილის მსურველი თუ მყავდა... ხუმრობა იქით იყოს და, ეს ყველაფერი ტყუილია.

**- კი, მაგრამ ტყუილი როგორ არის, როცა რუსი ჟურნალისტის მასალას თქვენი კომენტარი ახლავს, სადაც „ბოხუმს" ადასტურებთ?!**

- ტყუილია, ტყუილი! მე არავინ დამკავშირებია, „ბოხუმი" არ მიწვევს და ამის თაობაზე არანაირი კომენტარი არ გამიკეთებია. იმ ჟურნალისტს მეც ისე ველაპარაკე, როგორც თქვენ. (იცინის) არა, თუ ეს ჟურნალისტი გერმანიაში ტრანსფერს გამიკეთებს, მადლობას ვეტყვი და არც უპატივცემულოდ დავტოვებ, მაგრამ „ბოხუმზე" ლაპარაკი ბუნებაში არ ყოფილა და ხომ არ მოგატყუებთ? სამი წელი, როგორც იტყვიან, საფეხბურთო რუკაზე არ ვჩანდი და ახლა ჩემით გერმანელები კი არა, არავინ დაინტერესდება.

**- „რუბინიდან" მიდიხართ?**

- შემიძლია გითხრათ, რომ ეს საკითხი 70 პროცენტით გადაწყვეტილია. თუ სად გავაგრძელებ კარიერას, ამას მალე გავიგებ.

**- ყაზანელები არ გიშვებენ?**

- საქმეც ისაა, რომ „რუბინს" ჩემთან კონტრაქტის გაგრძელება სურს. სხვათა შორის, სანამ თქვენ შემეხმიანებოდით, ჩვენი მთავარი მწვრთნელი ყურბან ბერდიევი დამიკავშირდა და ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. ამ კაცის მადლიერი ვარ, რუსეთში წამიყვანა და თავის გამოჩენის შანსი მომცა, მაგრამ მე თამაში მინდა და არა სათადარიგოებში ჯდომა. სანამ გუნდში სერგეი რიჟიკოვია, ძირითადში არავინ მათამაშებს. თუმცა „რუბინში" მთლად ტყუილადაც არ ვყოფილვარ, დუბლების ჩემპიონატში ვთამაშობდი, მაგრამ 22 წლის მეკარე დუბლებით ვერ დაკმაყოფილდება. ასე რომ, წამოსვლას ვამჯობინებ. მთავარია, განთავისუფლების ფურცელი მომცენ.

**- დუბლებში თამაში ფორმის შესანარჩუნებლად მაინც არ იყო საკმარისი?**

- ძნელია ასე ფორმის შენარჩუნება, რადგან დუბლებში გაცილებით ნაკლებია მოთხოვნები, იქ ვერ იზრდები, თუმცა ფორმიდან ამოვარდნილიც არ ვარ.

**- ალბათ, ასეთ ვითარებაში, თავდაჯერებული ვერ იქნებით...**

- პირიქით, ახლა უფრო შემართული ვარ და თამაში მინდა. დარწმუნებულიც ვარ, ფორმის აღდგენასა და თამაშს შევძლებ. „რუბინში" ვარჯიშები ტყუილად ხომ არ ჩაივლიდა? ბევრი რამ ვისწავლე.

**- როგორც ვიცი, იანვარში „რუბინთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ...**

- ამ კონტრაქტს ვადა უკვე გაუვიდა.

**- სამი წლის წინ ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას თქვენი იმედი ჰქონდა. ახლა მხოლოდ კანდიდატებში თუ გახსენებენ და ესეც იშვიათად...**

- სწორედ ნაკრებში დაბრუნებაა ჩემი უმთავრესი მიზანი. ეს მიზანი რომ არ მქონდეს, დავრჩებოდი ყაზანში და დუბლებში თამაშით დავკმაყოფილდებოდი. ასეთი ვითარება ხელს არ მაძლევს, თავმოყვარეობა მაქვს და მირ-



ჩევნია, ჩემპიონი გუნდიდან შედარებით სუსტ კლუბში გადავიდე, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა მქონდეს.

**- მართალია, ამბობთ - სამი წელი რუკაზე არ ვჩანდი და ჩემით არავინ დაინტერესდებაო, მაგრამ ომარ თეთრაძემ განაცხადა, რომ "ანჟიში" გიწვევთ...**

- ამან ძალიან გამახარა. ჯერ კიდევ შარშან მიწვევდა, მაგრამ „ანჟი" პრემიერლიგაში ვერ გადავიდა და „რუბინში" დავრჩი. ის კარგად მიცნობს და ამიტომაც დაინტერესდა ჩემით. მართალია, ჯერ კონტრაქტი არ გაგვიფორმებია, მაგრამ „ანჟი" რეალური ვარიანტია და იმედია, კონტრაქტსაც მალე გავაფორმებთ.

**- „ანჟის" გარდა, არავინ გიწვევს?**

- ახლა ვფიქრობ, რუსი ჟურნალისტების ვარიანტს, ანუ „ბოხუმს" დავთანხმდე თუ „ანჟიში" გადავიდე (იცინის). სერიოზულად კი გეტყვით, რომ სხვა წინადადება არ მქონია...

**მერაბ მამულაშვილი**

**თბილისის ჩემპიონატი. U 19**

**გადადებული მატჩები**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ოლიმპი | 2:0 |
| ივერია/მაუდი-ოლიმპიკი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემია 91 | 13 | 11 | 2 | 0 | 38-8 | 35 |
| 2. 35 სკოლა 1 | 13 | 11 | 1 | 1 | 38-13 | 34 |
| 3. ავაზა | 13 | 10 | 1 | 2 | 39-11 | 31 |
| 4. ივერია/მაუდი | 13 | 10 | 1 | 2 | 27-9 | 31 |
| 5. სასკო | 13 | 9 | 0 | 4 | 52-19 | 27 |
| 6. ოლიმპი (რუს) | 13 | 5 | 1 | 7 | 19-30 | 16 |
| 7. ვეფხვები | 13 | 5 | 1 | 7 | 24-29 | 16 |
| 8. შევარდენი 1906 | 13 | 5 | 0 | 8 | 21-28 | 15 |
| 9. ოლიმპიკი | 13 | 4 | 3 | 6 | 20-27 | 15 |
| 10. ალაზანი 2007 | 12 | 4 | 1 | 7 | 11-20 | 13 |
| 11. თს აკადემია 92 | 13 | 3 | 2 | 8 | 18-27 | 11 |
| 12. 35 მეტეხი | 13 | 2 | 1 | 10 | 21-44 | 7 |
| 13. იმედი | 13 | 2 | 1 | 10 | 14-40 | 7 |
| 14. XXI საუკუნე | 12 | 1 | 1 | 10 | 17-56 | 4 |

ბაია

# შეროზია ფოთში, ქედია ზუგდიდში

## ქედიაიას თანაშემწე საკლუბო ფეხბურთსაც გასწვდება?

ბესიკ შეროზიამ ზუგდიდის „ბაია" დატოვა. იმის მიუხედავად, რომ მისმა გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი ბოლოსწინა ადგილზე ჩაამთავრა, ეს ამბავი მაინც მოულოდნელი იყო. შეროზიას ხომ „ლელოსთან" საუბარში არაერთხელ უთქვამს, რომ „ბაია" თამაშის ხარისხს ეტაპობრივად გააუმჯობესებდა და თითქოს მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობასაც გრძნობდა. არასახარბიელო შედეგების მიუხედავად, ზუგდიდელთა ახალგაზრდულმა გუნდმა თითქმის ყველა მატჩში ღირსეულად ითამაშა, მის შემადგენლობაში რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელიც გამოჩნდა.

როგორც შეროზიამ გვითხრა, თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა.

- გუნდის მიერ მიღწეული შედეგები ჩემთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი. თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი და ეს გადაწყვეტილება ამიტომაც მივიღე.

**- არადა, ცოტა ხნის წინ ოპტიმისტურად იყავით განწყობილი...**

- „ბაიას" მომავალს ახლაც დიდი ოპტიმიზმით ვუყურებ, მაგრამ უმჯობესია, ამ ეტაპზე გუნდს სხვა მწვრთნელმა უხელმძღვანელოს, მე კი მუშაობას ფოთის „კოლხეთში" გავაგრძელებ. „ბაიას" პერსპექტივაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. 17-18 წლის გამოუცდელი ბიჭებით თითქმის ყველა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ. თუნდაც ბოლო ტურის შეხვედრა გავიხსენოთ, როცა „ზესტაფონმა" თამაშის მიწურულსღა გაგვტეხა. ნაყოფიერად ვმუშაობდით და ჩვენი მონდომება ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

**- თქვენი გადადგომა „ბაიას" ხელმძღვანელობის ინიციატივა ხომ არ იყო?**

- არა, ვიმეორებ, ეს პირადად ჩემი გადაწყვეტილებაა. „ბაიას" ხელმძღვანელებთან შესანიშნავ ურთიერთობას ვინარჩუნებ და მათ წარმატებებს ვუსურვებ. როგორ შეიძლება, „ბაიას" გამარჯვებები არ გამიხარდეს, როცა ამ გუნდისთვის ბევრი ვიშრომე.

**- ფოთში რა გეგმები გაქვთ?**



ბესიკ შეროზია



სოსო ქედია

- საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელსაც ნამდვილად შესწევს უმაღლეს ლიგაში გადასვლის ძალა. ჩვენი ერთადერთი მიზანიც სწორედ ეს იქნება. ბუნებრივია, „კოლხეთს" კიდევ უფრო გავაძლიერებთ. ეს ერთწლიანი გუნდი ნამდვილად არ გვეყოლება, დიდი მიზნები გვაქვს და ჩვენი გეგმების განსახორციელებლად მთელ ჩემს გამოცდილებასა და ენერგიას არ დავიშურებ.

**- „კოლხეთიდან" მიწვევა როდის მიიღეთ?**

- ფოთში მუშაობა სულ ახლახან სამეგრელოს გუბერნატორმა და ქალაქის მერმა შემომთავაზეს. არსებობს სერიოზული პროექტი, რომელიც ფოთში ფეხბურთის აღორძინებას ისახავს მიზნად და მოხარული ვარ, რომ ამ საქმეში მეც შემეძლება საკუთარი წვლილის შეტანა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რას ნიშნავს ეს ქალაქი ქართული ფეხბურთისთვის. ფოთი ხომ საქართველოში ფეხბურთის აკვანია და „კოლხეთს" ქვედა ლიგაში თამაში არ შეშვენის.

**- ხომ არ იცით, ვინ იქნება თქვენი შემცვლელი „ბაიაში"?**

- სავარაუდოდ, სოსო ქედია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# სირაძემ სპარტაკი გადაწყვიტა

**დავით სირაძემ** გასული სეზონი რუსულ პრემიერლიგაში, ნალჩიკის „სპარტაკში" ჩაამთავრა. ჩვენებური ჩრდილოკავკასიელთა გუნდს გოლებითა და კარგი თამაშით, ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვნად შეეწია. ოქტომბრის ბოლოს, სეზონის დასრულებისას რუსულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ნალჩიკელთა გუნდის ორი ქართველის, მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და შემტევი ნახევარმცველის სირაძის გადასვლა პრემიერლიგაში ალზევებულ მახაჩყალის „ანჟიში" იყო მოსალოდნელი.

რუსული წყარო ამ ცნობას იმითაც ამყარებდა, რომ ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად „სპარტაკთან" სირაძის საკონტრაქტო ვადა ამოიწურა და ფეხბურთელი კლუბს უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებდა. ამ ინფორმაციის გამოჩენისთანავე ნალჩიკის „სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** საჯაროდ განაცხადა, რომ რამდენიმე იმ მოთამაშის შენარჩუნებას აპირებს, რომელთაც მის კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ... როგორც ჩანს, კრასნოჟანმა თავისი გაიტანა, მაგრამ თავად დავით სირაძეს რომ არ სდომოდა...

რუსული ვებგვერდების გუშინდელი ინფორმაციით, სირაძემ ნალჩიკელებთან კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტა. ერთი სიტყვით, სირაძე „სპარტაკში" რჩება. მისი ახალი ხელშეკრულების დეტალები ჯერ არ გახმაურებულა. თუმცა ჩვენი ინფორმაციით, სირაძე ნალჩიკელებთან ერთი წლით გააგრძელებს კონტრაქტს.

შეგახსენებთ, რომ დავით სირაძე ნალჩიკის „სპარტაკში" 2008 წლის ზაფხულიდან ასპარეზობს. მან ამ გუნდში დღემდე 33 შეხვედრა ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა.

ნალჩიკის „სპარტაკში" სირაძის გარდა ამისულაშვილია, რომელსაც კლუბთან მომავალი წლის ზაფხულში ეწურება კონტრაქტი. რუსული პრემიერლიგის გასული სეზონი გროზნოს „ტერეკში" ჩაამთავრა **გოგიტა გოგუამ**, რომელიც ამ გუნდში ნალჩიკელთა კლუბიდან იყო განათხოვრებული. გოგუას საიჯარო ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და ქართველი ნახევარმცველი ისევ „სპარტაკის" უფლებებში დაბრუნდა.

დაბოლოს, ნალჩიკის „სპარტაკი" ახალი სეზონისთვის მზადებას 5 იანვარს დაიწყებს. იური კრასნოჟანის გუნდი 5 დღე მშობლიურ ქალაქში მოემზადება, 10 იანვრიდან კი ორკვირიან შეკრებას ანთალიაში გაივლის. ახალ სეზონს ნალჩიკელები ჩრდილოკავკასიური (და შეიძლება ითქვას, ქართული) დერბით, მახაჭყალის „ანჟისთან" გასვლითი მატჩით დაიწყებენ.

**დავით ცაბაძე**

# მუჯირის სტანდარდი?

ორიოდე ტურიც და აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ზამთრის პაუზა გამოცხადდება. სეზონი თებერვლამდე არ განახლდება და მანამდე ტრანსფერებით ბევრი გუნდი შეიცვლება. სატრანსფერო პერიოდი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ აზერბაიჯანულ წყაროებში ამ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციები უკვე გამოჩნდა. „აზერისპორტის" ცნობით, „სტანდარდ-სუმგაითის" მთავარ მწვრთნელ **ბეიუკაგა გაჯიევს** ქართველ ნახევარმცველ **ამირან მუჯირის** დამატება სურს.

*„სასურველ ფეხბურთელთა გადაბირებაზე უკვე ვმუშაობთ. ამ ჩამონათვალში უცხოელიცაა. კერძოდ, „ბაქოს" ნახევარმცველი ამირან მუჯირი. თუ მას აღარ სურს „ბაქოში" დარჩენა სიამოვნებით მოვიწვევდი ჩემს გუნდში. კარგად ვიცი მისი შესაძლებლობები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფეხბურთელი დიდად წაგვადგება"*, - აღნიშნა გაჯიევმა.

გაჯიევს კი უნდა მუჯირის დამატება, მაგრამ თითქმის გამორიცხულია, რომ მისი სურვილი ამირანისას ემთხვეოდეს. მით უმეტეს, ამირან მუჯირმა ბაქოელთა კლუბთან ამ ზაფხულს გაახანგრძლივა კონტრაქტი. მართალია ერთი ხანობა მუჯირს სტაბილურად არ უწევდა ბაქოელთა გუნდში ასპარეზობა, მაგრამ ნაკლებადაა სავარაუდო, რომ ამირანმა გაჯიევის გუნდს მიაშუროს. რატომ? საქმე ისაა, რომ მუჯირის გუნდი „ბაქო" 15 ტურის შემდეგ 26 ქულით, „სიმურგთან" და „გაბალასთან" ერთად IV-VI ადგილებს იყოფს. „სტანდარდ-სუმგაითი" კი „ქარვანთან" ერთად 6-6 ქულით ცხრილის ფსკერზეა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უწევს ბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ ამირან მუჯირი 2007 წლიდან „ბაქოში" ასპარეზობს. მას ამ გუნდში დღემდე 51 მატჩი აქვს ჩატარებული და 15 გოლის ავტორია.

**დავით ცაბაძე**



ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური



ჯეიმს მილნერის ეფექტური გოლი

# დიდი ბირმინგემული დღე

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „ვულვერჰემპტონზე“ ძლიერი რომ არის, რაც უნდა ლაპარაკი და ეს საკუთრივ „ვულვზის“ ფანებმაც ძალიან კარგად უწყიან. მაგრამ როდესაც ნახეს, რა შემადგენლობით აპირებდა მათი გუნდის მწვრთნელი **მიკ მაკარტი** ინგლისის ჩემპიონისთვის წინააღმდეგობის გაწევას, გაბრაზდნენ. შედეგიც ლოგიკური გამოვიდა: „იუნაიტედმა“ 3:0 მოიგო, ხოლო „ოლდ ტრეფორდის“ იმ ტრიბუნიდან, რომელზეც სტუმარი გუნდის ქომაგები ისხდნენ, განუწყვეტლივ ისმოდა „დაგვიბრუნეთ ჩვენი ფული“ და „რეზერვის თამაშის ნახვა 40 ფუნტი არ ღირს“. ხუმრობა ხომ არ არის, იმ შემადგენლობასთან შედარებით, რომელმაც გასულ შაბათს, ლონდონში, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ 1:0 მოუგო, მაკარტის ათი ფეხბურთელი ჰყავდა შეცვლილი. რაც შეეხება მანჩესტერის გუნდს, მართალია, სერ **ალექს ფერგიუსონს** მოედანზე თავადაც საკმაოდ უჩვეულო შემადგენლობა ჰყავდა გაყვანილი (უფრო მესამე, ვიდრე პირველი) მაინც მეტი ანგარიშით შეეძლო გამარჯვება - თამაში და კლასში განსხვავება ამის საშუალებას იძლეოდა.

თუმცა საკუთარი მოსაზრება, რასაკვირველია, მაკარტისაც ჰქონდა. ვინ იცის, „ვულვზის“ მწვრთნელმა გამარჯვებული შემადგენლობის ათი კაცი იმიტომ შეცვალა, რომ კვირას „ბარნლისთან“ ელის შეხვედრა, მათ შორის კი მხოლოდ ორი ქულაა განსხვავება - პრინციპული მატჩი იქნება.

„ვულვზის“ რეზერვისტთა გუნდზე კი უნდა ითქვას, რომ ბიჭებმა თავგამოდებით გაუწიეს წინააღმდეგობა გუნდს, რომლის შემადგენლობასაც, მართალია მესამე ვუწოდეთ, მაგრამ მასში უეინ რუნი, დიმიტარ **ბერბატოვი**, **ანტონიო** ვალენსია და სხვა ცნობილი მოთამაშეები მაინც ერივნენ. მატჩის შემდეგ მიკ მაკარტიმ განაცხადა:

*„გულშემატკივართა ასეთი ქცევა ვერ გამიგია, თუმცა ვიცი, რომ სეზონის ბოლოს იგივე ხალხი დღევანდელი დღის მიხედვით კი არ განმსჯის, არამედ იმის მიხედვით, შეინარჩუნა „ვულვზმა“ პრემიერლიგაში ადგილი თუ ვერა. თქვენ მეუბნებით, რომ დღეს მოედანზე ჩემი უძლიერესი შემადგენლობა არ იყო? მე გიპასუხებთ, რომ პირიქით, სწორედაც უძლიერესი შემადგენლობა იყო, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ „ვულვზის“ ყველაზე დასვენებული ფეხბურთელები ვათამაშე“.*

„ბოლტონმა“ კი დიდ გასაჭირში ჩავარდნილ „ვესტ ჰემს“ 3:1 მოუგო და კიდევ უფრო გაუუარესა მდგომარეობა. მასპინძელთა გამარჯვებაში დიდი როლი ლონდონელთა მეკარემ **რობერტ გრინმა** შეიტანა სულელური შეცდომით. 1:1 იყო, როდესაც ამ დღეს ეფექტურად მოთამაშე **ჩანგ-იანგ ლიმ** ბურთი **გერი კეჰილს** მიაწოდა, რომლის დარტყმულიც სრულიად უვნებელი გახლდათ, მაგრამ ინგლისის ნაკრების კარის ერთ-ერთმა მცველმა, ნაცვლად მისი ხელში იოლად დაჭერისა, **ივან კლასნიჩს** საჩუქარი უძღვნა და მანაც მადლიერებით შეირგო. საინტერესოა, რომ ეს გახლდათ კლასნიჩის მეოთხე გოლი ბოლო ოთხ შეხვედრაში. **ჯანფრანკო ძოლას** გუნდი ამ დამარცხებამ ბოლოდან მეორე ადგილზე ჩააგდო, რასაც კიდევ უსიამოვნო ამბავი, **კიერონ დაიერის** ტრავმა დაერთო - ლონდონელთა გამოცდილი ფეხბურთელი პირველსავე ტაიმში გახდა შესაცვლელი. ახლა, კვირას, „ვესტ ჰემს“ „ჩელსისთან“ აქვს სათამაშო და ძოლას ასისტენტს, **სტივ კლარკს** მიაჩნია, რომ გრინმა ეს შეხვედრა ისე უნდა ჩაატაროს, თითქოს ეს მისი კარიერის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყოს:

*„პირველი გოლი რომ გავუშვით, ანგარიში მალევე გავათანაბრეთ და უკვე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ შეხვედრის მსვლელობას ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ რობს სამწუხარო შეცდომა მოუვიდა და ამან ყველაფერი ყირაზე დააყენა. რას იზამ, ფეხბურთი გახლავთ თამაში, რომელიც თავიდან ბოლომდე შეცდომებისგან შედგება. გრინი შეცდა, მაგრამ ის ძლიერი პიროვნებაა და ამ შეცდომის გამოსწორება შეუძლია“.*

„ბირმინგემისა“ და „ბლექბერნის“ შეხვედრაში ალსანიშნავი **კამერონ ჯერომის** ორი გოლი გახლავთ. ამ გამარჯვების წყალობით, **ალექს მაკლიშის** გუნდმა ცხრილში საკმაოდ მაღლა აიწია. ხუმრობა ხომ არ არის, ბირმინგემელებმა პრემიერლიგაში ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგეს. რაც შეეხება დაუმარცხებელ სვლას, გუნდს წაგების სიმწარე აგერ უკვე რვა შეხვედრაა არ უგემია. და კიდევ, პრემიერლიგის შეხვედრებში **კამერონ ჯერომმა** თავისი საიუბილეო, ორმოცდამეათე გოლი გაიტანა.

ხოლო ბირმინგემის მეორე გუნდმა, „ასტონ ვილამ“, „სანდერლენდს“ ჩააკითხა და იქ მოუგო 2:0. ამ შეხვედრაში მეორე გოლი გახლდათ ძალიან ლამაზი: „ნიუკასლის“ ყოფილმა ფეხბურთელმა **ჯეიმს მილნერმა** საჯარიმოს კუთხიდან მეტისმეტად ეფექტურად შეაგდო.

**გუშინ**

**ბარნლი-არსენალი 1:1**

**ბარნლი:** იენსენი, მირსი, კერლისლი, კოლდუელი, ჯორდანი, იგლზი (83. ნაჯენტი), ალექსანდერი, ბიკეი (70. გუდიონსონი), მაკდონალდი, ელიოტი, ფლეტჩერი (83. ბლეიკი).

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ვერმაელენი, სილვესტრი, ბილონგი, ფაბრეგასი (43. რემსი), დიაბი, უოლკოტი (64. ედუარდო), არშავინი, ნასრი.

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (7), 1:1 ალექსანდერი (28-პენ)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 8-5; **კარში დარტყმა:** 9-18 (2-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 21 309

**ჩელსი-პორტსმუთი 2:1**

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ე. კოული, ბალაკი, მიკელი (64. მალუდა), ლემპარდი, დეკუ (59. ჯ. კოული), კალუ (72. ბორინი), ანელკა.

**პორტსმუთი:** ბეგოვიჩი, ფინანი, ბენ-ჰაიმი, უილსონი, ჰრეიდერსონი, მალინსი, დიოპი (60. ჰიუზი), მოკოენა (86. უტაკა), ოჰარა, ბოატენგი, პიკიონი (72. დინდანე).

**გოლები:** 1:0 ანელკა (23), 1:1 პიკიონი (51), 2:1 ლემპარდი (79-პენ)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 26-8 (8-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 40 137

**ლივერპული-უიგანი 2:1**

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, აგერი, ინსუა, მასკერანო, ჯერარდი, აურელიო (61. ლუკასი), კუიტი, ბენაიუნი (81. აკვილანი), ნგოგი (74. ტორესი).

**უიგანი:** კირკლენდი, მელხიოტი, ბოისი, ბრამბლი, ფიგეროა, ნზოგბია, ტომასი, შარნერი, გომესი (83. კუმასი), დიამე (59. სკოტლენდი), როდალეგა.

**გოლები:** 1:0 ნგოგი (9), 2:0 ტორესი (79), 2:1 ნზოგბია (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 13-0; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 19-11 (7-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 41 116

**ტოტენჰემი-მანჩესტ. სიტი 3:0**

**ტოტენჰემი:** გომესი, ჩორლუკა, ბასონგი, დოუსონი, ასუ-ეკოტო, ლენონი, პალასიოსი, ჰადლსტოუნი, კრანჩარი, კრაუჩი, დეფო (90. ჯენასი).

**მანჩესტერ სიტი:** გივენი, რიჩარდსი, ონუოჰა, ტურე, სილვინიო, აირლენდი, დე იონგი (71. პეტროვი), ბერი, რობინიო (59. სანტა კრუზი), ტევესი, ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 კრანჩარი (37), 2:0 დეფო (54), 3:0 კრანჩარი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 8-4; **კარში დარტყმა:** 20-11 (4-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 35 891

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 17 | 13 | 1 | 3 | 42-14 | 40 |
| 2. მანჩესტ. იუნ | 17 | 12 | 1 | 4 | 37-14 | 37 |
| 3. არსენალი | 16 | 10 | 2 | 4 | 41-20 | 32 |
| 4. ასტონ ვილა | 17 | 9 | 5 | 3 | 28-14 | 32 |
| 5. ტოტენჰემი | 17 | 9 | 3 | 5 | 38-22 | 30 |
| 6. ლივერპული | 17 | 8 | 3 | 6 | 34-23 | 27 |
| 7. ბირმინგემი | 17 | 8 | 3 | 6 | 18-17 | 27 |
| 8. მანჩესტ. სიტი | 16 | 6 | 8 | 2 | 29-24 | 26 |
| 9. ფულჰემი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-17 | 23 |
| 10. სანდერლენდი | 17 | 6 | 3 | 8 | 22-24 | 21 |
| 11. სტოკი | 16 | 5 | 6 | 5 | 15-19 | 21 |
| 12. ბლექბერნი | 17 | 5 | 4 | 8 | 17-30 | 19 |
| 13. ბარნლი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-35 | 19 |
| 14. უიგანი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-38 | 18 |
| 15. ევერტონი | 16 | 4 | 5 | 7 | 22-30 | 17 |
| 16. ჰალი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-34 | 17 |
| 17. ბოლტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 23-33 | 16 |
| 18. ვულვზი | 17 | 4 | 4 | 9 | 15-31 | 16 |
| 19. ვესტ ჰემი | 17 | 3 | 5 | 9 | 25-34 | 14 |
| 20. პორტსმუთი | 17 | 3 | 2 | 12 | 15-26 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 - დროგბა (ჩელსი), დეფო (ტოტენჰემი); 12 - რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - ტორესი (ლივერპული); 10 - ბენტი (სანდერლენდი), საა (ევერტონი); 8 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა); 7 - ფაბრეგასი (არსენალი), კოული (ვესტ ჰემი), ვან პერსი (არსენალი); 6 - კინი (ტოტენჰემი), ადებაიორი (მანჩესტერ სიტი), როდალეგა (უიგანი).

**ილია ბაბუნაშვილი**

ევროპის ლიგა

# ვერდერმა ბასკეთი აიკლო

როგორც მოსალოდნელი იყო, ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის გუშინდელი მატჩები საინტერესო გამოდგა. საკმაოდ უხვგოლიანი დღე იყო, 12 ჩატარებულ შეხვედრაში ერთი ნულოვანი ფრეც არ დაფიქსირებულა. სხვათა შორის, გოლების სიმრავლე მხოლოდ იმ მატჩებში არ გვინახავს, რომელთა შედეგებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასე მაგალითად, პრაღაში „კოპენჰაგენს“ ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ დანიელებმა შემტევი ტაქტიკა აირჩიეს და ჩეხებს შანსი არ დაუტოვეს. სამ გოლთან ერთად, „კოპენჰაგენმა“ კიდევ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა და თავისუფლად შეეძლო, მასპინძელთათვის კიდევ უფრო სამარცხვინო ანგარიში დაეფიქსირებინა.

მეთექვსმეტედფინალის პრეტენდენტთა კიდევ ერთი უხვგოლიანი დაპირისპირება შვეიცარიაში გაიმართა, სადაც „ბაზელს“ ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ „ფულემის“ წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. მართალია, მასპინძლები მინიმალურად დამარცხდნენ, მაგრამ ბრიტანელები მატჩის უდიდესი ნაწილის განმავლობაში ორბურთიანი სხვაობით იყვნენ წინ გაჭრილნი.

ბუნდესლიგის აუტსაიდერ „ჰერტას“ ფრეც ჰყოფნიდა პირველობადაბევებულ „სპორტინგთან“, მაგრამ დედაქალაქელებმა პროგრამა-მინიმუმს გადააჭარბეს და გამარჯვების გოლის გატანა შეძლეს. ბუქარესტის „დინამო“, რომელსაც ათენში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა, მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძალიანდა „პანათინაიკოსს“, მეორეში კი ბერძენთა უფრო მაღალმა კლასმა თავისი ქნა. პრესტიჟის მატჩის მოგება შეძლო „შტურმმა“, რომლის რიგებშიც **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშა.

„ბრიუგეს“ შინ „ტულუზასთან“ ქულაც ჰყოფნიდა და მთელი მატჩი ისედაც ბელგიელთათვის სასურველი სცენარით მიმდინარეობდა, ბოლოს კი „ბრიუგემ“ ფრეც არ იკმარა და პლეი ოფში უფრო დამაჯერებლად გავიდა. უმოტივაციო მატჩში „შახტიორმა“ ჯგუფში პირველი მარცხი იწვნია, „პარტიანმა“ კი პირველად გაიმარჯვა.

ყველაზე მეტი გოლი L ჯგუფში გავიდა, მაგრამ იქ მთავარი უკვე გარკვეული იყო. ერთი ეგ იყო, რომ „ვერდერმა“ ბასკეთში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით პირველი ადგილი დაიბევა.

**D ჯგუფი**

**ჰერთა-სპორტინგი 1:0**

გოლი: 1:0 კაჩარი (70)

**ჰერენვენი-ვენტსპილსი 5:0**

გოლები: 1:0 ვეირინენი (55), 2:0 ელმი (58), 3:0 სიბონი (77), 4:0 სიბონი (79), 5:0 იანმაატი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 2. ჰერთა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| 3. ჰერენვენი | 6 | 2 | 2 | 2 | 11-7 | 8 |
| 4. ვენტსპილსი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-10 | 3 |

**E ჯგუფი**

**ბაზელი-ფულემი 2:3**

გოლები: 0:1 ზამორა (41), 0:2 ზამორა (45), 1:2 ფრაი (63. პენ.), 1:3 გერა (77), 2:3 შტრელერი (87)

**ცსკა (ს)-რომა 0:3**

გოლები: 0:1 ჩერჩი (45), 0:2 ჩერჩი (52), 0:3 სკარდინია (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 2. ფულემი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 3. ბაზელი | 6 | 3 | 0 | 3 | 10-7 | 9 |
| 4. ცსკა | 6 | 0 | 1 | 5 | 2-12 | 1 |

**F ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-დინამო (ბ) 3:0**

გოლები: 1:0 რუკავინა (55), 2:0 სისე (80), 3:0 სისე (85)

**შტურმი-გალათასარაი 1:0**

გოლი: 1:0 ბაიხლერი (20)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 2. პანათინაიკოსი | 6 | 4 | 0 | 2 | 7-4 | 12 |
| 3. დინამო | 6 | 2 | 0 | 4 | 4-12 | 6 |
| 4. შტურმი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-6 | 4 |

**J ჯგუფი**

**ბრიუგე-ტულუზა 1:0**

გოლი: 1:0 პერისიჩი (90)

**პარტიზანი-შახტიორი 1:0**

გოლი: 1:0 დიარა (6)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტიორი | 6 | 4 | 1 | 1 | 14-3 | 13 |
| 2. ბრიუგე | 6 | 3 | 2 | 1 | 10-8 | 11 |
| 3. ტულუზა | 6 | 2 | 1 | 3 | 6-11 | 7 |
| 4. პარტიზანი | 6 | 1 | 0 | 5 | 6-14 | 3 |

**K ჯგუფი**

**კლუჟი-ეინდჰოვენი 0:2**

გოლები: 0:1 ლაზოვიჩი (19-პენ), 0:2 ამრაბათი (68)

**სპარტა-კოპენჰაგენი 0:3**

გოლები: 0:1 ნდოიე (22), 0:2 ნდოიე (30), 0:3 გრონკიაერი (54-პენ)

გაძევება: პამიჩი (60. სპარტა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 6 | 4 | 2 | 0 | 8-3 | 14 |
| 2. კოპენჰაგენი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-4 | 10 |
| 3. სპარტა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 4. კლუჟი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-10 | 3 |

**L ჯგუფი**

**ბილბაო-ვერდერი 0:3**

გოლები: 0:1 პიზარო (13), 0:2 ნალდო (20), 0:3 როზენბერგი (36)

**ნასიონალი-აუსტრია 5:1**

გოლები: 0:1 შუმახერი (21), 1:1 მიკაელი (23), 2:1 მატეუში (33), 3:1 მიკაელი (57), 4:1 ტომაშევიჩი (61), 5:1 ლოპესი (66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვერდერი | 6 | 5 | 1 | 0 | 17-6 | 16 |
| 2. ბილბაო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 3. ნასიონალი | 6 | 1 | 2 | 3 | 11-12 | 5 |
| 4. აუსტრია | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვერდერმა ჯგუფური ეტაპი ბასკური ტრიუმფით დაასრულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტურის წინ

# დარჩენილია ოთხი საგზური

დღეს ევროპული საკლუბო ტურნირების საშემოდგომო ეტაპი სრულდება. ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალისტთა დიდი ნაწილის ვინაობა უკვე ცნობილია, დარჩენილია მხოლოდ ოთხიოდე ვაკანტური ადგილი, რისთვისაც ცხადია, შეუპოვარი ბრძოლები გაიმართება. ზოგიერთ ჯგუფში უკვე ყველაფერი გარკვეულია და შესაბამისად, იქ დარჩენილი მატჩები ფორმალურ ხასიათს ატარებს.

### A ჯგუფი

**აიაქსი-ანდერლეხტი**
**დინამო (ზ)-ტიმიშოარა**

„ანდერლეხტმა" ამსტერდამში ფრეს უნდა მიაღწიოს და „დინამო" მეორე ადგილს ველარ შეეცილება, რადგან ბელგიელები ხორვატებთან ურთიერთშეხვედრებში უპირატესობას ფლობენ. გამარჯვების შემთხვევაში კი „ანდერლეხტი" „აიაქსსაც" გადაასწრებს, რადგან პირად დაპირისპირებებში მასთანაც უპირატესობა ექნება. არადა, „ანდერლეხტს" თავი უკვე ქუდში ექნებოდა, წინა ტურში შინ „დინამოსთან" რომ არ დამარცხებულიყო. „ანდერლეხტს" ერთ-ერთი ლიდერი, ჩეხი იან პოლაკი ჰყავს ტრავმირებული, „დინამო" კი წყალწაღებულ რუმინელებს ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 2. ანდერლეხტი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. დინამო (ზ) | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 4. ტიმიშოარა | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

### B ჯგუფი

**ლილი-სლავია**
**ჯენოა-ვალენსია**

ბოლო ტურის წინ ყველაზე დაძაბული მდგომარეობა ამ ჯგუფშია შექმნილი. შემდეგ ეტაპზე გასვლა არავის აქვს გარანტირებული, მეთექვსმეტედფინალში თამაშის შანსი კი სამ გუნდს აქვს შემორჩენილი. ერთი შეხედვით, ყველაზე კომფორტულ სიტუაციაში „ლილია", რომელიც უმოტივაციოდ დარჩენილ „სლავიას" უმასპინძლებს. „ჯენოას" წევრებმა მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქრონ, „ვალენსიას" კი ფრე არა მხოლოდ ჯგუფიდან გასასვლელად, არამედ პირველი ადგილისთვისაც ჰყოფნის. „ღამურათა" უმთავრესი დანაკლისი **დავიდ სილვაა**, „ლილს" ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავს, „ჯენოას" კი **ბოშკო იანკოვიჩი** ვერ დაეხმარება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 10-7 | 9 |
| 2. ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-8 | 7 |
| 3. ჯენოა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 4. სლავია | 5 | 0 | 3 | 2 | 4-10 | 3 |

### C ჯგუფი

**ჰაპოელი (თ)-ჰამბურგი**
**რაპიდი (ვ)-სელტიკი**

აქ ყველაფერი გარკვეულია, პირველადგილოსნის გარდა. ჯგუფის გამარჯვებული თელ-ავივში გამოვლინდება, „ჰაპოელისა" და „ჰამბურგის" ურთიერთშეხვედრაში. როგორც ცხრილიდან ხედავთ, ებრაელებს საამისოდ გამარჯვება ესაჭიროებათ. გაგახსენებთ, რომ ამ გუნდების მატჩი გერმანიაში 4:2 დასრულდა „ჰამბურგის" გამარჯვებით. „ჰაპოელს" კი ნებისმიერ შემთხვევაში ქება ეკუთვნის - თელავიველებმა ხომ „სელტიკსა" და „რაპიდს" დამაჯერებლად აჯობეს და ამიტომაც შოტლანდიელები და ავსტრიელები ბოლო ტურში მხოლოდ ბოლო ადგილიდან თავის დაღწევისთვის ბრძოლას სჯერდებიან. „ჰამბურგში" ტრავმების ეპიდემიაა. ლაზარეთში **გერერო, ბენჯამინი, კასტელენი, ზე რობერტო** და **რაინჰარდტი** იმყოფებიან, „ჰაპოელს" კი საკადრო პრობლემები არ აწუხებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ჰაპოელი (თ) | 5 | 3 | 0 | 2 | 12-8 | 9 |
| 3. სელტიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 4. რაპიდი (ვ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |

### G ჯგუფი

**ლაციო-ლევსკი**
**ვილიარეალი-ზალცბურგი**

აქაც ყველაფერი გარკვეულია, თანაც არა მხოლოდ ჯგუფიდან გამსვლელები, არამედ ყველა ადგილის მფლობელიც ცნობილია. „ლაციო" „ვილიარეალს" ქულებით რომც გაუთანაბრდეს, ურთიერთშეხვედრებში ესპანელებთან უარყოფითი შედეგი აქვს და ამიტომაც ევროკამპანიას დღეს დაასრულებს. შთამბეჭდავია „ზალცბურგის" შედეგი. საკმაოდ ძლიერ ჯგუფში ავსტრიელებმა ქულათა მაქსიმუმს მოუყარეს თავი და ამიტომაც დღეს რომც დამარცხდნენ, ამით არაფერი დააკლდებათ. სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფში ყველა გუნდი გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებს და ამიტომაც ტრავმირებულ ფეხბურთელთა ჩამოთვლა ზედმეტად მივაჩნია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 5 | 5 | 0 | 0 | 8-2 | 15 |
| 2. ვილიარეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 9 |
| 3. ლაციო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| 4. ლევსკი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-9 | 0 |

### H ჯგუფი

**სტიაუა-ტვენტე**
**ფენერბახჩე-შერიფი**

მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი აქ მხოლოდ „სტიაუას" აქვს დაკარგული. პლეი ოფისთვის ბრძოლას განაგრძობს ვაჟა თარხნიშვილის „შერიფიც", მაგრამ მეორე ადგილის დაკავების გაცილებით უკეთესი შანსი „ტვენტეს" აქვს. ნათელია, რომ პირველობადაზღვეული „ფენერბახჩე" საკუთარ მოედანზე ტირასპოლელებს თავს არ შეაკლავს, მაგრამ ამ გუნდებს შორის მაინცაა კლასში საგრძნობი სხვაობა, რაც „შერიფის" ამოცანას საგრძნობლად ართულებს. თარხნიშვილისა და მისი თანაგუნდელებისთვის ერთი შემამსუბუქებელი გარემოება არსებობს - ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, „შერიფი" „ტვენტეზე" მაღლა დადგება - ცხადია, ურთიერთშეხვედრებში მიღწეული უპირატესობის წყალობით.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბახჩე | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| 2. ტვენტე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 3. შერიფი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| 4. სტიაუა | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |

### I ჯგუფი

**ბენფიკა-აეკ**
**ევერტონი-ბატე**

„ბენფიკასთან" განცდილი ორი მწარე მარცხის (0:5 და 0:2) მიუხედავად, „ევერტონს" ბოლო ტურის წინ პლეი ოფის საგზური განაღდებული აქვს. ცხადია, ლივერპულელთა შემარცხვენელ პორტუგალიელებსაც თავი ქუდში აქვთ, თანაც მათ პირველ ადგილსაც ვერავინ წაართმევს. ამის მიუხედავად, აუტსაიდერებს, ბატე-სა და აეკ-ს მეტად რთული გასვლები ელით. ბუნებრივია, ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლა არც ბელარუსებს სურთ და არც ბერძნებს. თუ თანაბარი ქულები დააგროვეს, ბატე ათენელებს პირად მატჩებში მოპოვებული ოთხი ქულის წყალობით გაასწრებს. სავარაუდოდ, „ბენფიკა" და „ევერტონი" ბოლომდე არ დაიხარჯებიან და აუტსაიდერებს ექსპერიმენტული შემადგენლობებით უმასპინძლებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 5 | 4 | 0 | 1 | 11-2 | 12 |
| 2. ევერტონი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| 3. ბატე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 4. აეკ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |

საკლუბო მუნდიალი




# ბრძოლა მესის გამოსვლამდეა

### ნახევარფინალი

**ბარსელონა (ესპანეთი)-ატლანტე (მექსიკა) 3:1**

ბარსელონა: ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, მარკესი (52. პიკე), აბიდალი - ხავი, ტურე (52. მესი), ბუსკეტსი - პედრო, იბრაჰიმოვიჩი, ინიესტა (75. კრკიჩი).

ატლანტე: ვილარი - მარტინესი, გერერო, როხასი, ველასკესი (62. პერეირა) - ბერმუდესი, გონსალესი, ნავარო, სოლარი (55. ცარევიჩი) - არეოლა, მარკესი.

გოლები: 0:1 რუმილია (5), 1:1 ბუსკეტსი (35), 2:1 მესი (55), 3:1 პედრო (67)

### მატჩი V ადგილისთვის

**ოკლენდი (ახ. ზელანდია)-მაზემბე (კონგო) 3:2**

გოლები: 1:0 ჰეინი (29), 1:1 კასონგო (60), 1:2 კასუსულა (67), 2:2 ჰეინი (72), 3:2 სტიდენი (90)

გაძევება: კიდიაბა (მაზემბე. 24)

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ყველაფერი გარკვეულია, ჩემპიონის გარდა. გუშინ „ბარსელონამ" ფავორიტის სტატუსი სრულად გაამართლა და მექსიკური „ატლანტეს" ძლევით ფინალში არგენტინულ „ესტუდიანტესთან" დაპირისპირების უფლება მოიპოვა.

წინასწარი ინფორმაციით, კატალონიელთა რიგებში **ლეო მესის** ვერ უნდა ეთამაშა. მართალია, ახლად ტრავმამოშორებული მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ იყო, მაგრამ მეორე ტაიმში მაინც შევიდა მოედანზე და გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

არადა, შეხვედრა ისე დაიწყო, მექსიკელები უკეთესს ვერაფერს ინატრებდნენ. **გილერმო როხასი პუიოლს** და **ალვეშს** გაუსწორდა და **ვალდესს** შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ „ბარსა" გონს მოვიდა, განსაკუთრებით **იბრაჰიმოვიჩი** აქტიურობდა, ურიგოდ არც ძირითადში მესის ნაცვლად გამწესებულ **პედროს** უთამაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ მექსიკელებმა ევროპულ გრანდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. ოქროს ბურთის მფლობელის გამოჩენამდე „ატლანტე" „ბარსას" ტოლ-სწორად ებრძოდა. მესი მოედანზე სამი წუთის შესული იყო, ზლატანთან გათამაშებული კომბინაცია დიდებული გოლით რომ დაასრულა. პედრომ კი წერტილი ისევ და ისევ იბრაჰიმოვიჩისა და **ინიესტას** წყალობით დასვა.

ფინალი აბუ დაბიში ზეგ, თბილისის დროით 23 საათზე გაიმართება, ზეგვე 20 საათზე მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს „ატლანტე" და სამხრეთკორეული „პოჰანგი" დაუპირისპირდებიან.

ამბები

# უეფამ მსაჯი მოკვეთა

უეფამ ბულგარელ არბიტრ **ანტონ გენოვს** საერთაშორისო მატჩებში მსაჯობა აუკრძალა. ეს ინფორმაცია საზოგადოებას უეფას პრესმდივანმა **რობ ფოლნერმა** ამცნო. საქმე ისაა, რომ კანადისა და მაკედონიის ამხანაგურ მატჩში, რომელიც 3:0 დასრულდა მაკედონელთა გამარჯვებით, გენოვმა ოთხი პენალტი დანიშნა - ორი მასპინძელთა და ორიც სტუმართა კარში. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ეს ფაქტი საეჭვოდ მიიჩნია და სიტუაციის გარკვევამდე ბულგარელ მსაჯს დასვენება გამოუწერა. ოთხი პენალტი კიდევ არაა ძალიან საეჭვო გარემოება, მაგრამ უეფა იმ ამბავმა შეაფიქრიანა, რომ ამ მატჩზე უჩვეულოდ დიდი ფსონები დაიდო. ბუნებრივია, თუ გაირკვა, რომ გენოვს ფსონებთან რაიმე აკავშირებს, მას სამუდამო დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

# იგუაინი ბარსას მარცხის იმედზეა

როცა სამხრეთ აფრიკის მუნდიალის ბურთის, „ჯაბულანის" პრეზენტაციაზე **გონსალო იგუაინი** ამ სიტყვებს ამბობდა, „ბარსელონას" ჯერ არ ჰქონდა დაწყებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე თამაში. კატალონიელებმა ნახევარფინალში მექსიკური „ატლანტეს" ბარიერი უკვე გადალახეს და ფინალში არგენტინულ „ესტუდიანტესს" შეებრძოლებიან.

„რეალის" არგენტინელი ფორვარდი იმედოვნებს, რომ მისი გუნდის მოსისხლე მტერი პლანეტის საუკეთესო კლუბის წოდებას ვერ მოიპოვებს. *„ფაქტია, რომ „ბარსელონა" წელიწადს უმაღლეს დონეზე ატარებს და სამართლიანად მიიჩნევა საამიროებში მიმდინარე ტურნირის მთავარ ფავორიტად, მაგრამ ვიმედოვნებ, მას ფორტუნა ამჯერად მაინც შეაქცევს ზურგს"*, - ამბობს იგუაინი.

მან სამხრეთ აფრიკაში გასამართ „ნამდვილ" მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისაუბრა და მის მთავარ ფავორიტებად ბრაზილია და ესპანეთი დაასახელა, მაგრამ იქვე დასძინა, დროა, მუნდიალზე არგენტინამაც გაიბრწყინოსო. შეგახსენებთ, გონსალო თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში **დიეგო მარადონას** გამწვრთნელების შემდეგლა დამკვიდრდა და კიდევ დიდი შრომა დასჭირდება, სამუნდიალო გუნდში რომ დაიმკვიდროს ადგილი.

გონსალო იგუაინი




# პეპე აუნაზღაურებელი დანაკლისია

ასე მიიჩნევს მადრიდის „რეალის" ყოფილი თავკაცი **ხუანდე რამოსი** და უფლება არ გვაქვს, არ დავეთანხმოთ. პორტუგალიელი მცველი, რომელმაც „ვალენსიასთან" შეხვედრისას მუხლის მძიმე ტრავმის გამო სეზონი ნაადრევად დაასრულა, სამეფო კლუბის დაცვის ბურჯი იყო და უდავოა, რომ მადრიდელებს უკანა ხაზში თვალსაჩინო პრობლემები შეექმნებათ.

*„ფაქტებით ვილაპარაკებ. ჩემი „რეალში" მუშაობის დროს პეპესთან ერთად გუნდმა 17 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 5 გოლი გაუშვა. შემდეგ მას დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ამის შემდეგ ჩვენს კარში ბურთები საოცარი სიხშირით გადიოდა. პეპე ფაქტობრივად, უნაკლოდ თამაშობდა და სხვა მცველების შეცდომების გამოსწორებაც შეეძლო"*, - ამბობს რამოსი.

თუმცა იგი „რეალის" შეფებს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ახალი უკანახაზელების შეძენას არ ურჩევს. მისი თქმით, **რაულ ალბიოლსა** და **ეზეკილ გარაის** დაცვის ცენტრის გამაგრების ძალა შესწევთ. რამოსი იმ აზრსაც ეთანხმება, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისი მოგვარე **სერხიო რამოსი** მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში უმტკივნეულოდ გადაინაცვლებს.

# ბენფიკა კამენის ეპატიჟება

„ბენფიკას" ესპანელ თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესს** თავის გუნდში „ესპანიოლის" კამერუნელი მეკარის, **კარლოს კამენის** ხილვა სურს. ლისაბონელთა მწვრთნელი თავისი გუნდის გოლკიპერების, **კიმისა** და **მორეირას** თამაშით უკმაყოფილოა.

25 წლის კამენი „ესპანიოლში" ფრანგული „ჰავრიდან" 2004 წელს გადავიდა. მას კამერუნის ნაკრებში 46 მატჩი აქვს ჩატარებული. არის აფრიკის ერთათასისა და ოლიმპიური ჩემპიონი. კამენის აგენტი **ჟოელ ესომბა** აცხადებს, რომ ზამთარში მისი კლიენტი კლუბის შეცვლას არ აპირებს. „მომავალ ზაფხულს კი ყველა მსურველის წინადადებას ყურადღებით განვიხილავთ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მივიღებთ. „ბენფიკას" შეთავაზება ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომელ ვარიანტს მივანიჭებთ უპირატესობას. კამენის გადაბირება „ბორდოს", „ოლიმპიაკოსს", „ჰამბურგსა" და „ბაიერნსაც" სურთ", - აცხადებს ესომბა

თუმცა კამენის აგენტმა ისიც აღიარა, რომ მიუნხენელები დიდი ხანია, აღარ შეხმიანებიან.

**გვერდი მოამზადა**
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ამბები


მაურო კამორანეზი მძიმედ დაშავდა

## კამორანეზი მუნდიალს მიღმა?

გუშინ იტალიური სპორტული პორტალები **მაურო კამორანეზის** ფოტოებმა მოიცვა. საქმე იმაშია, რომ „იუვენტინოს“ ტრავმა იმაზე უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ეს მოსალოდნელი გახლდათ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დიდია შანსი მაურო სულაც მსოფლიოს ჩემპიონატს გამოაკლდეს.

როგორც ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ, კამორანეზი „ბარი“-“იუვენტუსის“ შეხვედრისას დაიმტვრა. მას მარცხენა ფეხის თეძო დაუშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. პირველადი გამოკვლევების მიხედვით, „სკუადრა აძურას“ შუახაზელს სამი თვით უნდა დაესვენა, თუმცა საბოლოო ვერდიქტი გაცილებით უფრო მძიმე გამოდგა. „იუვენტუსის“ ექიმების დასკვნით, მაუროს ოთხ თვეზე მეტ ხანს მოუწევს უქმობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი მხოლოდ აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში დაუბრუნდება მწვანე მინდორს. ეს ის დროა, როცა სეზონის დასრულებამდე მხოლოდ რამდენიმე თამაშია დარჩენილი, ხოლო მუნდიალი კარსაა მომდგარი. ბუნებრივია, მოკლე დროში კამორანეზი ოპტიმალურ ფორმაში შესვლას ვერ მოასწრებს, რაც შეიძლება მას მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვებად შეიძლება დაუჯდეს.

## ნედვედმა იუვე გაამხნევა

„იუვენტუსის“ დღევანდელი ყოფით **პაველ ნედვედიც** შეწუხებულა. ჩეხი „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს ესაუბრა და ყოფილი თანაგუნდელების გამხნევებას შეეცადა:

*„როგორც ყველა ქომაგს, მეც გული მატკინა იმან, რაც ბოლო პერიოდში „იუვენტუსს“ გადახდა. „ბაიერნთან“ დაპირისპირებას ტრიბუნებიდან მივადევნე თვალი და იმ მწარე მარცხის გამო, საშინელი იმედგაცრუება განვიცადე. არადა, ჩემი აზრით, დღევანდელი „იუვენტუსი“ გაცილებით ძლიერია, ვიდრე თუნდაც გასულ სეზონში მოასპარეზე. მთავარია, არ გატყდნენ ფეხბურთელები, უკან აღარ გაიხედონ და მომავალს ოპტიმისტურად შეხედონ. ყველაფერი გამოსწორებადია, მთავარია საკუთარი თავის რწმენა არ დაკარგო. იმედია, სეზონის მეორე ნახევარში გუნდი გაცილებით უკეთ ათამაშდება“.*


პაველ ნედვედი იუვენტუსს ვერ ივიწყებს

ინტერვიუ

# მუნდიალი, როგორც ნამცხვარი

### ფაბრიციო მიკოლი ლიპის ზარს ელოდება

**გასულ უქმეებზე იტალიის სერია A-ში მთავარი სენსაცია „პალერმომ“ გამოაცხო. სიცილიური კლუბი „მილანს“ ესტუმრა და მეტოქე პირწმინდად დაამარცხა. კუნძულელთა რიგებში ყველაზე გამორჩეული უდავოდ ფაბრიციო მიკოლი გახლდათ, ვინც „როსონერის“ შესანიშნავი გოლი გაუტანა. გოლი იქით იყოს და, მთლიანობაში გაისარჯა მეტად პროდუქტიულად. იტალიური პრესა უკვე იმაზე წერს, რომ ფაბრიციოს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების შანსები გაუჩნდა. მეტიც, ამბობენ მარჩელო ლიპი მის სამხრეთ აფრიკაში წაყვანაზე ფიქრობსო. ერთი სიტყვით, მიკოლი აპენინური პრესისთვის აქტუალურია, რაზეც Football Italia-ში გამოქვეყნებული ინტერვიუც მოწმობს.**

**- „მილანთან“ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეთ, ასეა?**

- ნამდვილად ასეა მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩემს თავზე არ გავამახვილებდი ყურადღებას. მთლიანად გუნდმა ითამაშა ბრწყინვალედ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო საუკეთესო შეხვედრა, რომელიც „პალერმომ“ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ჩაატარა. ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა ასეთი ალმაფრენა, მაგრამ ფაქტია რომ „სან სიროზე“ უნაკლოდ ვიასპარეზეთ. სხვათა შორის, ეს თავად მილანელებმაც აღიარეს. ძალიან დასაფასებელია როდესაც გუნდი მარცხს ღირსეულად ხვდება. ჩემი აზრით, „როსონერი“ „ინტერის“ მთავარი კონკურენტია და ასეთი გუნდის მისსავე მოედანზე დამარცხება ხუმრობა საქმე ნამდვილად არ გახლავთ.

**- დელიო როსის თავკაცობით „პალერმომ“ ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა, მართლა გარდასახა გუნდი თუ ახალი ცოცხის ეფექტთან გვაქვს საქმე?**

- თავს ვერ მოვიტყუებთ და ვერ ვიტყვით რომ რამდენიმე დღეში დელიო როსიმ გუნდი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. რა თქმა უნდა, მან შეცვალა რაღაცები, რამაც გუნდზე დადებითად იმოქმედა, მაგრამ ახალი ცოცხის ეფექტმაც თავისი ქნა. ახალი მწვრთნელი ფეხბურთელთა მოტივაციას ყოველთვის ზრდის, რაც შემდეგ გუნდის თამაშზე აისახება. ეს შეგვიძლია ახალ წელს შევადაროთ, როდესაც შენდაუნებურად კარგ ხასიათზე დგები და ენერგიით ივსები, რაღაც ახლის მოლოდინში ხარ.

**- დელიო როსისთან დღეებია რაც მუშაობთ, რა წარმოდგენა შეგექმნათ მასზე?**

- პირველი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. მუდმივად ბაზაზეა და მუშაობს, რაც ჩემში გაკვირვებას იწვევს. წინა მწვრთნელებისგან მსგავსი რამ ნამდვილად არ მახსენდება. დიდ დროს უთმობს თეორიულ საკითხებს, რაც პირადად მე ძალიან მომწონს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, დღეს მეტის თქმა გამიჭირდება. ფაქტია, რომ ეს ადამიანი ბოლომდე ჩაფლულია თავის საქმეში.

**- რა მიზანი აქვს „პალერმოს“ მიმდინარე სეზონში?**

- ერთი ხანობა, ძალიან ცუდად ვასპარეზობდით და ისეთი პირი უჩანდა, რომ სერია ა-ში ადგილის შესანარჩუნებლად მოგვიწევდა ბრძოლა. მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მომავალი გაცილებით ოპტიმისტურ ფერებში დაგვანახა. მართალია, ჯერაც ცხრილის ქვედა ნაწილში ვართ, მაგრამ ვფიქრობ, ევროტურნირის საგზურის მოპოვება სავსებით ხელგვეწიფება. ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მოხდება ზამთრის სატრანსფერო პერიოდში. კარგი იქნება თუ ორ-სამ კვალიფიციურ ფეხბურთელს დავიმატებთ, ეს საგრძნობლად გაზრდის გუნდის პოტენციალს. როგორც მინიმუმ, არსებული კონტინგენტი უნდა შევინარჩუნოთ.

**- ამბობენ, ედისონ კავანი „ინტერში“ გადადისო. მართალია?**

- დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „ინტერი“ ჩემი მეწყვილის შეძენით მართლაც დაინტერესებულია. ეს არც მიკვირს, რადგან ურუგვაელი შესანიშნავი ფეხბურთელია. გამოგიტყდებით და როდესაც ვთქვი, ბევრი რამე ზამთრის ტრანსფერებზეა დამოკიდებული-თქო, პირველ რიგში სწორედ კავანის საკითხს ვგულისხმობდი. ედისონის წასვლის შემთხვევაში, ევროტურნირის საგზურის მოპოვება გაგვიჭირდება. ამიტომ, მინდა ვურჩიო კლუბის მესვეურებს, რომ წამყვანი ფეხბურთელების შესანარჩუნებლად ყველაფერი გაიღონ. მესმის, ფეხბურთი ბიზნესია, მაგრამ მაღალკვალიფიციური მოთამაშეების გარეშე შედეგი არ გვექნება.

**- იმედიანად ყოფილხართ განწყობილი და ალბათ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზეც გეფიქრებათ...**

- ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ნამცხვარი, განსაკუთრებით კი დედაჩემის გაკეთებული. არასდროს დამავიწყდება რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც დედა ნამცხვრის გამოცხობას შეუდგებოდა. ალბათ, სწორედ ასეთი სიხარულის განცდა დამეუფლება თუ ჩემს გვარს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში ამოვიკითხავ. ეს იქნება ბავშვური სიხარული, რომელსაც ვერაფერი შეედრება. ახალგაზრდულ ასაკში აღარ ვარ და კარგად ვხვდები, რომ მსოფლიო საფეხბურთო ფორუმზე ასპარეზობის ბოლო შანსი მაქვს. იმედია, მარჩელო ლიპი შანსს მომცემს.


ფაბრიციო მიკოლი

**- რამდენად კმაყოფილი ხართ მიმდინარე სეზონში საკუთარი თამაშით?**

- საკუთარი თავის ქება არ მჩვევია, მაგრამ მიმდინარე სეზონში ურიგოდ ნამდვილად არ ვასპარეზობ. რაც მთავარია, ვპროგრესირებ და ვგრძნობ, რომ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებ. ზემოთაც ვთქვი, რომ „მილანთან“ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩავატარე, იმედია, ალებულ ტემპს შევინარჩუნებ. ჩემი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესო. ვარჯიშებზე დღეს ბევრად უფრო ვიხარჯები, ვიდრე თუნდაც ხუთი წლის წინ.

**- პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დიდია შანსი მარჩელო ლიპიმ ეროვნულ ნაკრებში გამოგიძახოთ...**

- ეროვნულ გუნდში დაბრუნება ჩემი ოცნებაა და თუ ეს ასე მოხდა, დედამიწაზე უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. „სკუადრა აძურაში“ ბევრჯერ არ მითამაშია, მაგრამ იმ განცდას ვერაფერი დამავიწყებს, რაც ცისფერი მაისურის ჩაცმას მოაქვს. სიმართლე გითხრათ, უიმედოდ ნამდვილად არ ვარ, საკმაოდ კარგ სეზონს ვატარებ და სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს „აძურაში“ გამოცხადების შესახებ შევიტყო. ამაზე ფიქრიც კი მოტივაციას მიძლიერებს, რაც კლუბში წარმატებით ასპარეზობაშიც მეხმარება.

**- „პალერმოს“ დავუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვა მაურიციო ძამპარინიზე ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, ფეხბურთი მისთვის ბიზნესია თუ აზარტი?**

- პირველ რიგში, ფეხბურთი მისთვის სიყვარულია. დელიო როსის არ იყოს, ისიც ფანატიკურად გახლავთ შეყვარებული სპორტის უპირველეს სახეობაზე. საზოგადოებაში ის ექსტრავაგანტურია, ბევრისთვის ოდიოზური, მაგრამ ფეხბურთელებთან ურთიერთობაში ძალიან უშუალო და გულღია ადამიანია. მატჩის შემდეგ ხშირად ჩამოდის გასახდელში და ცდილობს, რომ ყოველ მხრივ გაგვამხნევოს. პირადად მე, მის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი.

**- ბოლოს ისიც გვითხარით, მომავალი სეზონიდან სხვა კლუბში გადასვლაზე ხომ არ ფიქრობთ?**

- „პალერმოსთან“ ხელშეკრულება მაკავშირებს და მის ამოწურვამდე არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. სიცილიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ, აქ ის დამხვდა, რომელსაც იდეალურად შევეწყვე. თუმცა, გამორიცხული არაფერია. შეიძლება, სულაც კლუბს აღარ დასჭირდეს ჩემი სამსახური და მეც ახალი ნავსაყუდელი მოვძებნო. ამიტომ, დღეს უმჯობესია აწმყოზე ვიფიქროთ და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყენა

# ტერის ფეხი რომ დაუცდა, შენი ბრალიაო...

## გრანტმა აბრამოვიჩს ძველი ამბავი გაუხსენა


ჯონ ტერის საბედისწერო შეცდომა



ერთ დროს ასე იყო...

**ავრამ გრანტი** ბრძანებს, რომ თავის დროზე, „ჩელსის“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** უსამართლოდ მოექცა. იგი მის მიმართ დაუნდობლად კრიტიკული იყო - გრანტისა და „ლურჯების“ თემა ებრაელი მწვრთნელის ახალი გუნდის, „პორტსმუთის“ ძველ გუნდთან, „ჩელსისთან“ გუშინდელი შეხვედრის წინ ამოტივტივდა. გუშინ გრანტმა „სტემფორდ ბრიჯზე“ პირველად შედგა ფეხი მას მერე, რაც, 2008 წლის მაისში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხებიდან სამ დღეში აბრამოვიჩმა იგი მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვა.

*„მაშინ, რომან აბრამოვიჩმა მითხრა, ჯონ ტერიმ პენალტი რომ ააცილა შენი ბრალი იყოო, - უამბო „პორტსმუთის“ თავკაცმა ჟურნალისტებს, - მეპატრონემ მე დამაბრალა იმ სეზონის ცუდი სტარტიც, არადა, სეზონი რომ დაიწყო, მე სულაც არ ვიყავი „ჩელსის“ მწვრთნელი. თუმცა, რას იზამ? მწვრთნელობა გახლავთ ასეთი პროფესია. უსამართლო ბრალდებების მოსმენა მისი შემადგენელი ნაწილი გახლავთ“.*

არადა, ავრამ გრანტი დარწმუნებულია, რომ დასავლეთლონდონელთა კლუბში გაწეული სამუშაოსთვის მას მხოლოდ და მხოლოდ მადლობა და დაფასება ეკუთვნის.

*„დასამტკიცებელი აბსოლუტურად არავისთვის არაფერი მაქვს, - განაგრძო გამოცდილმა სპეციალისტმა, - მე ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან არნახულად ახლოს ვიყავი. ის, რომ თასი ჩვენ კი არა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიგო, მხოლოდ და მხოლოდ ბოლო პენალტის დროს გადაწყდა. იმით, რაც „ჩელსიში“ გავაკეთე ვამაყობ. სხვა განცდა შეუძლებელია მქონდეს. იმასაც მოგახსენებთ, რომ ასეთი სეზონი „ლურჯებს“ ისტორიაში არ ჰქონიათ. ცოტაც დააკლდა და გუნდი ჩემპიონთა ლიგას იგებდა. იმისათვის, რომ ძლიერი გუნდი შექმნა, ხანდახან დროა საჭირო. გახსოვთ, არსენ ვენგერსა და ალექს ფერგიუსონს „არსენალსა“ და „მანჩესტერში“ ფეხბურთელების თავიანთ ჭკუაზე მოსაყვანად, თავის დროზე, წელიწადზე მეტი ხანი დასჭირდათ. ჩვენ კი, დიდ შედეგს დროის მეტისმეტად მოკლე პერიოდში მივაღწიეთ და ესეც ძალიან საამაყოა“.*

ინგლისის ნაკრები

# რატომ არ ათამაშებენ მტანჯველს?



ითამაშებს მაიკლ ოუენი მუნდიალზე?

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** გაოცებით იკითხა, რატომ არ ათამაშებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი, **სერ ალექს ფერგიუსონი მაიკლ ოუენს** უფრო ხშირად. კაპელოს თქმით, იგი ოუენს აკვირდება და მსოფლიოს ჩემპიონატის შესაძლო მონაწილედაც მიაჩნია, მაგრამ ფორვარდისთვის სასიხარულო გადაწყვეტილების მიღებას ხელს უშლის ის, რომ მას საკუთარ კლუბში რეგულარულად არ ათამაშებენ.

კაპელომ თქვა, რომ მან ტელევიზიით უყურა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ვოლფსბურგს“ შორის, რომელიც ინგლისის ჩემპიონმა 3:1 მოიგო და სამივე გოლი ოუენმა გაიტანა. მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე დღე და პრემიერლიგაში, „ოლდ ტრეფორდზე“, „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ (შეხვედრა „იუნაიტედმა“ 1:0 წააგო), ფერგიუსონმა ოუენი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ინგლისის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა გაოცებისგან ხელები გაშალა. მისთვის გაუგებარია, მაგალითად, რატომ ათამაშებენ **უეინ რუნის** ყოველ ტურში, ოუენს კი არა.

მოგეხსენებათ, ინგლისში ოუენი ძალიან უყვართ და მუდმივად ითხოვენ მის ნაკრებში გამოძახებას. ვეტერანი თავდამსხმელის სამხრეთ აფრიკაში წაყვანა-არ წაყვანის თემა სულ ჰაერში ტრიალებს და, ამის გამო, ოქტომბერში, კაპელომ ფორვარდს მისი მტანჯველიც კი უწოდა, თუმცა ახლა სხვანაირად შემოატრიალა:

*„არა, ის მტანჯველი კი არ არის, არამედ იმ ფეხბურთელთაგანია, რომელსაც ვაკვირდები და ნაკრების წევრობის კანდიდატადაც განვიხილავ. ტელევიზიით ვნახე, როგორ ითამაშა მან ამას წინათ და როგორ გაიტანა სამი გოლი, მაგრამ შემდეგ შეხვედრაში მოედანზე ველარ ვნახე. ჰოდა, საკუთარ თავს ვეკითხები, რატომ ხდება ასე? რატომ ათამაშებენ რუნის ყოველ ტურში, ოუენს კი არა“?*

და კიდევ ერთი: კაპელომ არ გამორიცხა, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნა, თვით თხუთმეტი თვის უთამაშებელ **ოუენ ჰარგრივზსაც** კი წაიყვანს სამხრეთ აფრიკაში. სხვათა შორის, ჰარგრივზზე ფერგიუსონმა თქვა, რომ სანამ ის დიდ ფეხბურთს დაუბრუნდება, საკუთარი თავის რწმენა უნდა აღიდგინოსო, თუმცა, ნაკრების იტალიელი თავკაცი, როგორც ხედავთ, ფეხბურთელს სხვანაირად აიმედებს.

*„რატომაც არა? განა ჯერ დრო არ არის? მთავარია ითამაშოს. ჩემთვის საკითხი მარტივად დგას: ნაკრებში ვერ მოხვდებიან ფეხბურთელები, რომლებიც არ თამაშობენ. ხოლო, კონკრეტულად ვის წავიყვან სამხრეთ აფრიკაში და ვის დავტოვებ, იმის მიხედვით ავარჩევ, ვინ იქნება მაისში ფორმაში და ვინ არა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილი**

სადისციპლინო საკითხი

# ამ ბელამის როგორ უძლებთო...



კრეიგ ბელამი

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელს **მარკ ჰიუზს** მსაჯ **მარკ კლეტენბერგის** წინააღმდეგ ცილისწამების გამო, ალბათ, ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან. „სიტის“ მწვრთნელმა თქვა, რომ შაბათს, „ბოლტონთან“ შეხვედრაში კლეტენბერგმა მისი ფეხბურთელი, **კრეიგ ბელამი** მოედნიდან განზრახ გააგდო. საიდან მოიტანა ჰიუზმა ასეთი რამ? კლუბის მავან თანამშრომელს, როგორც შემდეგ გაირკვა, ფიზიოთერაპევტს - შესვენებისას, სტადიონის გვირაბში, რაღაც ამდაგვარი, თავად მსაჯმა უთხრაო. ასე იყო თუ ისე, ახლა ამბავი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის ოთახში გაგრძელდება: „სპარკიდ“ წოდებულ ჰიუზს დაიბარებენ და ნათქვამის განმარტებას მოსთხოვენ. ბოლოს და ბოლოს, მან პრემიერლიგის შეხვედრას ჩრდილი მიაყენა და ეს ინგლისელთათვის უმნიშვნელო საქმე არ არის.

და როგორ აპირებს „სიტი“ თავისა და მწვრთნელის დაცვას? სწორედ ხსენებული ფიზიოთერაპევტის მოხმობით, რომელსაც უნდა მოაყოლინონ რა უთხრა კლეტენბერგმა „ბოლტონის“ სტადიონის გვირაბში. გარდა ამისა, თურმე მოიტანენ ტელეჩანაწერსაც, სადაც კარგად ჩანს, რომ ეს ორი ადამიანი გვირაბში ერთმანეთს მართლა გამოელაპარაკა.

თუმცა, რა უთხრა მსაჯმა ფიზიოთერაპევტს და რამ აფიქრებინა ჰიუზს, რომ კლეტენბერგი მის მოედნიდან გაგდებას იმთავითვე აპირებდა, მაინც და მაინც საიდუმლოს არ ჰგავს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მსაჯს ასეთი წინადადების თქმა ბრალდება: „როგორ უძლებთ ამ ბელამის მთელი კვირის განმავლობაში“?

შეხვედრაში, რომელზეც მოგახსენებთ, კლეტენბერგმა ბელამის ორჯერ ამოუღო ყვითელი ბარათი. პირველად შეკამათების გამო, ხოლო მეორედ იმიტომ, რომ მსაჯს მისი ერთ-ერთი წაქცევა სიმულანტობად ეჩვენა. ტელეგამეორებებმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ არბიტრის მეორე გადაწყვეტილება უსამართლო იყო - იმ ეპიზოდში ბელამი კი არ „ყვინთავს“, არამედ მას მოწინააღმდეგის მცველი, პოლ რობინსონი აგდებს სარმით.

შეგახსენებთ, რა თქვა ჰიუზმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე: *„მსაჯმა სასაცილო გადაწყვეტილება მიიღო. აშკარა იყო, რომ იმ ბიჭმა ბელამი წააქცია. კლეტენბერგმა კი თქვა, რომ ბელამი მის მოტყუებას აპირებდა, მაგრამ საიდან მოიტანა ასეთი რამ, ჩემთვის გაუგებარია. რატომ უნდა „ჩაეყვინთა“ ჩვენს ფეხბურთელს თუკი აშკარად ხელსაყრელ პოზიციაზე იმყოფებოდა? საერთოდაც, მე მაღიზიანებს, როდესაც მსაჯები მეორე ტაიმზე გასვლის წინ გვეუბნებიან, რა მოსწონთ ჩვენს გუნდში და რა არა“.*

ორიოდ დღის წინ ჰიუზს ჟურნალისტებმა კიდევ ერთხელ სთხოვეს დაეზუსტებინა, ან გაემეორებინა მაინც, თავისი სიტყვები, თუმცა „სიტის“ მწვრთნელმა თემასთან დაბრუნება აღარ ისურვა. მან ბრძანა: *„მე მხოლოდ და მხოლოდ ის ვთქვი, რის შესახებაც გაფრთხილებული ვიყავი. მეტი არაფერი მომხდარა“.*

შეგახსენებთ, რომ თუ „სპარკის“ დასჯიან, ეს მიმდინარე სეზონში სულაც არ იქნება მწვრთნელის მიმართ სიმკაცრის გამოჩენის პირველი შემთხვევა. გასულ შემოდგომაზე ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს სერ ალექს ფერგიუსონსაც (თუმცა, შემდეგ ორი თამაში შეუკვეცეს), რომელმაც „სანდერლენდთან“ 2:2 შეხვედრის შემდეგ მსაჯ ალან უაილის გამო ატეხა ერთი ამბავი - არბიტრი ფიზიკურად მოუმზადებელი იყო და ყოველი ყვითელი ბარათის ამოღებას დიდ ხანს ანდომებდა, რომ დაესვენაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფსბურგი

# ჩემპიონები კრიზისში

## ვოლფსბურგი მიწაზე დაეშვა და ისევ საშუალო დონის გერმანული კლუბია

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის სენსაციური ჩემპიონობისა და თანაც **ფელიქს მაგათის** დაკარგვის შემდეგ, „ვოლფსბურგს" მძიმე დროება დაუდგა. კვირას „მგლები" საკუთარ მოედანზე დორტმუნდის „ბორუსიასთან" შერცხვნენ (1:3) და 16 ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში, 23 ქულით მე-9 ადგილზე იმყოფებიან. ამას დავუმატოთ ისიც, რომ „ვოლფსბურგი" ჩემპიონთა ლიგას ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშა და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გერმანიის ჩემპიონი სენსაციური სეზონის შემდეგ ჩაფლავდა.

„ვოლფსბურგის" გულშემატკივრებისთვის განტევების ვაცი გუნდის ახალი მწვრთნელი და მენეჯერი **არმინ ფეეა**, რომელმაც ამ პოსტზე მაგათი შეცვალა და როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გახდა „დესპოტი ფელიქსის" ღირსეული შემცვლელი. მართლაც რთული იყო იმის წარმოდგენა, რომ მაგათის წასვლის შემდეგ, გუნდი ძველებურ სახეს შეინარჩუნებდა. ფეეს ეს გაუჭირდა, რაც მოსალოდნელიც იყო, მაგრამ გულშემატკივრები ყველაფერში მას ადანაშაულებენ, რადგან „ვოლფსბურგს" ზაფხულში არც ერთი წამყვანი ფეხბურთელი არ დაუკარგავს - ყველა მათგანი შეინარჩუნა. მეტიც, „მგლები" ამ სეზონის წინ კიდევ უფრო გაძლიერდნენ, შეიძინეს რა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **ქარიმ ზიანი**, **ობაფემი მარტინსი** და **თომას კალენბერგი**. მიუხედავად ამისა, „ვოლფსბურგი" დღეს ისევ ის „ვოლფსბურგია", რაც მაგათამდე იყო - საშუალო დონის გერმანული კლუბი.

სწორედ ამიტომ, „დორტმუნდთან" განცდილი კრახის შემდეგ, რაც „ვოლფსბურგისთვის" ზედიზედ მეექვსე მოუგებელი თამაში იყო, „ფოლკსვაგენ არენაზე" შეკრებილმა ქომაგებმა „არმინ, წადი" შემოსძახეს. თამამად ვიტყვით, რომ „მგლების" დამრიგებლის მთავარი პრობლემა დღეს დაცვის ხაზის სისუსტეა. არადა, გუნდს იგივე მცველები ჰყავს, რაც შარშან.

ფაქტი კი ჯიუტია: 9 საშინაო მატჩში 21 გოლის გაშვება, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინო შედეგია. შედარებისთვის: საჩემპიონო სეზონში „ვოლფებმა" საკუთარ მოედანზე მხოლოდ 13 გოლი გაუშვეს და ისიც მთელი სეზონის განმავლობაში. ფეე ახლა **ანდრეა ბარძალისა** და **რიკარდო კოშტას** დუეტს ენდობა. სწორედ ეს ორი ფეხბურთელი შეადგენდა „დორტმუნდთან" დაცვის ცენტრს. და უნდა აღინიშნოს, რომ ფეემ ამ სეზონში უკვე მეოთხედ შეცვალა დაცვის ცენტრის დუეტი. დღეს სათადარიგოთა სკამს **ალექსანდერ მადლუნგი** და **იან შიმუნეკი** ხეხავენ. სეზონის სტარტზე კი ძირითადში მადლუნგი თამაშობდა, ხოლო ბარძალი კი სკამზე იჯდა. დიდი შანსია, რომ ზამთარში „ვოლფსბურგი" ან ბარძალიმ დატოვოს, ანაც შიმუნეკმა. „ვოლფსბურგი" კი ახალ ცენტრალურ მცველს შეიძენს.

მაინც რას გეგმავს ფეე? გაირკვა, რომ ის „შალკეს" ახალგაზრდა უკანახაზელის, **ბენედიქტ ჰიოვედესის** გადაბირებაზე ოცნებობს. „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელები კი ჰიოვედესში 10 მილიონი ევროს გადახდაზე ჯერჯერობით თავს იკავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ გუნდს შალკელზე არანაკლები მცველები ჰყავს. მოკლედ, ტრანსფერი ალბათ არ შედგება. მით უმეტეს, რომ ჰიოვედესის მრჩეველი **ფოლკერ შტრუთი** ამბობს, ბენედიქტი გელზენკირხენში თავს შესანიშნავად გრძნობს და ესეც რომ არ იყოს, ვოლფსბურგელებისგან არაფერი გვსმენიაო. გერმანიის ჩემპიონის თვალთახედვის არეშია 25 წლის ბრაზილიელი **მირანდაც** (სან პაულუ), რომელსაც „სელესაოში" ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული. მაგრამ „ვოლფსბურგის" შანსები მას მერე შემცირდა, რაც მირანდას ევროპის სხვა წამყვანმა კლუბებმაც დაადგეს თვალი.

მოკლედ, კარგი ფეხბურთელები ძვირად ფასობენ. სწორედ ამიტომ, ფეემ „დორტმუნდთან" მატჩის შემდეგ, სიტყვა ტაქტიკისა და სტრატეგიის შეცვლაზეც ჩამოაგდო. მანვე თქვა, რომ სერიოზული ტრანსფერები გამორიცხულია. შესაბამისად, 48 წლის სპეციალისტს ისევ არსებული კადრებით მოუწევს ფონს გასვლა და კლუბის შეფები ფიქრობენ, რატომ ვერ უნდა მივაღწიოთ წარმატებებს ამ შემადგენლობით, როცა მაგათმა ამაზე უფრო სუსტი გუნდით ჩემპიონობა მოგვაპოვებინაო. და თუ შედეგი არ ექნა, ფაქტია, რომ ფეეს მოხსნიან.

„ვოლფსბურგის" ბოსი **იურგენ მარბახი** ამბობს, გუნდში ნელ-ნელა ქაოსი ისადგურებს და თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე სიტუაცია უმართავი გახდებაო. არადა, ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ვოლფსბურგელებს დიდი გეგმები ჰქონდათ. „ვოლფსბურგი" ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა, გერმანიის თასიდანაც, ბუნდესლიგაში კი საშუალო დონის გუნდად იქცა. მომავალ უქმეებზე, პირველი წრის ბოლო ტურში „ვოლფსბურგი" ფრანკფურტში ჩადის და თუ „მგლებმა" ეს თამაშიც ვერ მოიგეს, დიდი შანსია, რომ ფეე უმუშევარი დარჩეს.



ვოლფსბურგელები მოედანს ასე ხშირად ტოვებენ

დორტმუნდი

# აღმაფრენა ასწლიან იუბილეზე

## ბორუსიას ასეთი გამონათებები ყველა სეზონში აქვს ხოლმე. საინტერესოა, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ყველაფერი ამჯერად?

დორტმუნდის „ბორუსიამ" მიმდინარე სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. გაგახსენებთ, რომ მეშვიდე ტურში შავყვითლები რურის დიდ დერბიში „შალკესთან" 0:1 დამარცხდნენ (თანაც, საკუთარ მოედანზე), რის შემდეგაც **იურგენ კლოპის** გუნდი მე-15 ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ მას მერე, „ბორუსიამ" ცხრამატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და ისე ათამაშდა, როგორც გერმანიის ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს შეეფერება. გასულ უქმეებზე კი, დორტმუნდელებმა გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" მისსავე სტადიონზე 3:1 დაამარცხეს, რის შემდეგაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, „დორტმუნდი" დაბრუნდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბორუსია" აუცილებლად ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მაგრამ ფაქტია, რომ კლოპის ბიჭები ბრწყინვალედ გამოიყურებიან და დღეისათვის ფორმის პიკში იმყოფებიან. შაბათს, დორტმუნდის „ბორუსია" 100 წლის ხდება - რა დამთხვევაა, არა?

ვოლფსბურგში მიღწეულმა წარმატებამ ერთი რამ ცხადყო: „ბორუსია" ისევ სათვალავში ჩასადგები გუნდია. ოღონდ, ჯერ არავინ იცის, რამდენ ხანს შეინარჩუნებს გუნდი ამ სტატუსს. როგორც წესი, ვესტფალიელებს ყველა სეზონში აქვთ ხოლმე ასეთი გამონათებები. რაც ყველაზე მთავარია, შავ-ყვითლებმა წარმატებული სერია ლიდერების, კაპიტან **სებასტიან კელის**, ვეტერან **დედეს** და დირიჟორ **ტამაშ ჰაინალის** გარეშე „გამოაცხვეს".

მათ არყოფნაში კი, თავი ისეთმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოიჩინეს, როგორებიც არიან 21 წლის **ნური შაჰინი** (საყრდენი ნახევარმცველი), 20 წლის **სვენ ბენდერი** (საყრდენი ნახევარმცველი), 21 წლის **მარსელ შმელცერი** (მარცხენა მცველი) და 21 წლის **კევინ გროსკროიტცი** (თავდამსხმელი და შემტევი ნახევარმცველი). 16 ტურის შემდეგ კლოპის გუნდი მეექვსე ადგილზეა და „ვერდერსა" და „ჰამბურგს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

*„ვოლფსბურგთან" პირველ ტაიმში ჩემმა გუნდმა იდეალური ფეხბურთი ითამაშა და სიმართლე გითხრათ, მიჭირდა იმის დაჯერება, რომ ასეთ ფეხბურთს ვაჩვენებდით,"* - აღფრთოვანებულია კლოპი, რომლის შეგირდებმა მეშვიდე ტურში, „შალკესთან" მარცხის შემდეგ, 9 თამაშში მხოლოდ 4 გოლი გაუშვეს. „დორტმუნდის" წარმატებაში ლომის წვლილი აქვს თავდამსხმელ **ლუკას ბარიოსსაც**, რომელმაც კვირას ბუნდესლიგაში პირველად შეასრულა დუბლი. სეზონი არგენტინელმა თავდამსხმელმაც მძიმედ დაიწყო და დიდხანს ვერ ახერხებდა გოლის გატანას, მაგრამ ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარიოსიც სრულფასოვანი დორტმუნდელია. 25 წლის ლუკასს ამ სეზონში უკვე 8 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა ცხრილში, შალკელ **კევინ კურანისთან** ერთად, მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ბარიოსი მხოლოდ ლიდერ **შტეფან კისლინგს** (ლევერკუზენი) ჩამორჩება.

ბარიოსის თანამებრძოლ **მოჰამედ ზიდანს** ექსპერტები ზედმეტად ეგოისტ თავდამსხმელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეგვიპტელმა „ვოლფსბურგთან" დაამტკიცა, რომ ნამდვილად ეხერხება და უყვარს პასების ჩამორიგებაც: ბარიოსმა ორივე გოლი ზიდანის პასებით გაიტანა.

შაბათს, კლუბის ასწლიან იუბილეზე, დორტმუნდელები „ფრაიბურგს" მასპინძლობენ და თუ მოიგეს, აუცილებლად საუკეთესო ხუთეულში გამოიზამთრებენ, რადგან „ჰამბურგი" და „ვერდერი" ერთმანეთს ხვდებიან და შესაბამისად, ორივე თუ არა, ერთ-ერთი მათგანი მაინც დაკარგავს ქულებს. მოკლედ, დორტმუნდში ეიფორიაა, მაგრამ კლოპი შეგირდებს აფრთხილებს, დაუშვებელია ის, რომ „ფრაიბურგთან" მატჩს მარტივად მივუდგეთო.

*„კლუბის ასწლოვანი იუბილე ნიშნავს იმას, რომ აქ ყველა საზეიმო განწყობაზე იქნება. მინდა ვთქვა, რომ ზეიმი მხოლოდ მატჩის დამთავრების შემდეგ უნდა დაიწყოს. „ფრაიბურგის" დამარცხება იოლი არ არის, ასე რომ, ყურადღებით უნდა ვიყოთ. ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, მერე კი შეგვიძლია, ყველამ ერთად ვიზეიმოთ ის, რომ „ბორუსია" 100 წლის გახდა,"* - ამბობს კლოპი. თუ „დორტმუნდი" ამას შეძლებს, ფაქტია, რომ შავ-ყვითლებს ბედნიერი შობა-ახალი წელი ექნებათ...



დორტმუნდის წარმატების მთავარი შემოქმედები: ლუკას ბარიოსი, კევინ გროსკროიტცი და ნური შაჰინი

ამბები



ვალერიან ისმაელი და ფრანკ რიბერი

# რეალი არ ნიშნავს პროგრესს!

## სანიოლი და ისმაელი რიბერის მიუნხენში დარჩენას ურჩევენ

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ „ბაიერნის" ფრანგ ლიდერ **ფრანკ რიბერის** ორი ვარიანტი აქვს: ან მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტს გააგრძელებს, თუ არა და რეკორდმაისტერი მას გაყიდის. რიბერისთვის ყველაზე მეტად მადრიდის „რეალი" იბრძვის და ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ თუ ბავარიელებმა მისი გასხვისება გადაწყვიტეს, რიბერის სწორედ „სამეფო გუნდი" შეიძენს. „ბაიერნის" ორი ყოფილი ფეხბურთელი კი რიბერის მიუნხენში დარჩენას ურჩევს. საუბარია ცენტრალურ მცველ **ვალერიან ისმაელზე** და მარჯვენა მცველ **ვილი სანიოლზე**, რომლებიც რიბერის თანამემამულეები არიან. მათი აზრით, თუ ფრანკი „რეალში" გადავა, ეს მხოლოდ მიუნხენური კლუბისთვის კი არა, თვითონ რიბერისთვისაც ცუდი იქნება.

*„წმინდა სპორტული თვალსაზრისით „რეალში" გადასვლა არ ნიშნავს პროგრესს,* - ამბობს სანიოლი, - *„ეს უფრო ფულის ან გლამურისთვის გადადგმული ნაბიჯია. თუ რიბერის მიზანი მეტი ხელფასი ან მეტი გლამურია, მაშინ წავიდეს, მაგრამ როგორც მე ვიცი, მას ცხოვრებაში მხოლოდ სპორტული მიზნები ამოძრავებს."*

ისმაელს კი „ბაიერნის" ბოსების პოზიცია აკვირვებს: *„თუ რიბერის გაყიდიან, მის ნაცვლად ხომ უნდა იყიდონ ვინმე? არა მგონია, რომ რიბერის შემცვლელი მოიძებნებოდეს."*

სანიოლი: *„ფაქტი ის არის, რომ „ბაიერნს" ფინანსურად არ უჭირს და შესაბამისად, აუცილებელი სულაც არ არის, რომ რიბერი გაყიდონ."*

# ღორის გრიპი ჰოფენჰაიმში



დემბა ბა და მარვინ კომპერი

ბუნდესლიგელმა „ჰოფენჰაიმმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამ გუნდის ორ წამყვან ფეხბურთელს, თავდამსხმელ **დემბა ბას** და ცენტრალურ მცველ **მარვინ კომპერს** ე.წ. „ღორის გრიპი" აქვთ. ამის გამო ორივე ფეხბურთელი კარანტინშია და გადაწყვეტილია, რომ ბუნდესლიგის მომავალ ტურში, „შტუტგარტთან" ვერცერთი მათგანი ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბასა და კომპერისთვის სეზონის პირველი ნახევარი უკვე დამთავრებულია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

# ძიუდოისტები თეთრი რელსებით ბაკურიანიდან ეშვებიან

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ინტენსიურად ემზადება მომავალი სეზონისთვის – ჯერ იყო ქვეყნის პირველობა, რასაც ერთ კვირაში ძიგორო კანოს მემორიალი მოჰყვა ტოკიოში, პარალელურად კი საბაზო შეკრება დაიწყო ბაკურიანში. ცხადია, ტოკიოში ნამყოფი ფალავნები გუნდის თავკაც ამირან ტოტიკაშვილთან ერთად მას გვიან შეუერთდნენ - ისინი, პრაქტიკულად, ტოკიოდან დაბრუნებისთანავე, ლამის პირდაპირ აეროპორტიდანვე გაეშურნენ ბაკურიანში.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ტოკიოში ტოტიკაშვილმა ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა - მთლიანად ახალგაზრდები. მათი უმეტესობა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის მონაწილედ მოიაზრება, სხვების საქმეში ხილვა კი ტოტიკაშვილს სურდა. მოგეხსენებათ, ის ახალი დანიშნულია ამ თანამდებობაზე და რა გასაკვირია, ჯერ კონტინგენტს სრულად თუ არ იცნობს. ყოველ შემთხვევაში, მან აქცენტი გუნდის გაახალგაზრდავებაზე გააკეთა და ამ სტრატეგიას არ ღალატობს. ტოკიოში მისი გუნდის ანგარიშზე ერთადერთი მედალია - ბრინჯაო, რომელიც ლომერ ჟორჟოლიანმა (100) მოიპოვა. თუმცა ასეთ ტურნირებში მწვრთნელებს შედეგებზე არანაკლებ ცალკეულ სპორტსმენთა გამოსვლა, მათი სპორტული ფორმა აინტერესებთ. ამჯერად მსგავსი ინტერესი ტოტიკაშვილს მით უფრო მეტი ჰქონდა, რადგან ბევრ ექსპერიმენტს მიმართავდა. ამას ის ფსიქოლოგიური დატვირთვაც ემატება, რასაც კარსმომდგარი მომავალი სეზონი უქადის - ჯერ თბილისის მსოფლიოს თასი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის უმთავრესი შესარჩევი შეჯიბრებაა, მერე კი მსოფლიოს პირველობაა, უფრო შორეული გათვლებით კი ლონდონის ოლიმპიადა. სწორედ გაისად შეირჩევა ფალავანთა ის ჯგუფი, რომელიც ამ თამაშებისთვის გააგრძელებს მზადებას, ეს ყველაფერი კი ძირითადად ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში გაირკვევა. ცხადია, ახალი კანდიდატები 2011 წელსაც შეიძლება გამოჩნდნენ, მაგრამ ბირთვი გაისადვე გამოიკვეთება; სწორედ გაისად გაირკვევა, ლონდონში წასვლის რეალური შანსი ვის ექნება და ვინ შეავსებს ეგრეთ წოდებულ ჩამოსაწერთა სიას. ვერც 2011 და ვერც 2012 წლები ამ ცხრილში დიდ ცვლილებებს ვერ შეიტანს. ამიტომაა გადამწყვეტი საგაისო სეზონი, როგორც სალონდონო საძირკველი, თუმცა მომავალ სეზონს საფუძველი ახლა ეყრება სწორედ ბაკურიანული შეკრებით - ვინც ახლა კარგად ივარჯიშებს, კურორტიდან მთელი წლის სამყოფ მარაგსაც გამოიყოლებს, ხოლო ვინც ახლა იზარმაცებს, ამ დანაკლისს გზადაგზა ვერ აინაზღაურებს. ამას შეკრების სპეციფიკა განსაზღვრავს - ის ფიზიკურ მომზადებაზეა გათვლილი, ამ ტიპის შეკრებებს კი, ტექნიკურისგან განსხვავებით, ყოველი ტურნირის წინ არ გადიან. ტოტიკაშვილსაც ტოკიოს ტურნირის პერიპეტიებსა და თბილისის ტურნირსთვის მზადებაზე დავეკითხეთ, როცა ბაკურიანში დავუკავშირდით.

**- კანოს ტურნირით დავიწყოთ. როგორ შეაფასებთ თქვენი გუნდის გამოსვლას?**

- ყველა წონაში გამოდიოდნენ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, რაც ტურნირის სიძლიერეზე მეტყველებს. რამდენიმე მოჭიდავის გამოსვლაში დამაიმედებელი სიმპტომები მაინც დავინახე. მაგალითად, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილი მომავალ ჩემპიონთან, მასპინძელ მასააკი ფუკუოკასთან დამარცხდა, მაგრამ დამატებით დროში და ისიც - გაფრთხილებით - არასწორი ჩავლებისთვის დასაჯეს. ასევე, შალვა ქარდავაც 66-ში მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს, მონგოლ ოლიმპიურ პრიზიორ ჩაგანბაატარ ხაშბაატარს ხვდებოდა და პირველივე წუთზე შებოჭვაზე დაიჭირა, მაგრამ, ეტყობა, ფიზიკური ძალა არ ეყო და გაექცა. მთელი ოთხწუთნახევარი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა და ბოლოს მეტოქემ შებოჭვაზე დაიჭირა. ეს ბიჭი საქართველოს შარშანდელი ჩემპიონია და ძალიან მაინტერესებდა, როგორ იჭიდავებდა უცხოეთში. ტოკიოში დავინახე, რომ შეუძლია კარგი შედეგებისთვის ბრძოლა, მაგრამ საამისოდ ბევრი უნდა იმუშაოს.

ცხადია, ყველაზე კმაყოფილი ლომერ ჟორჟოლიანის გამოსვლით ვარ, რომელმაც მედალი მოიპოვა. მან კარგად იჭიდავა - თავიდან ქუვეითელი მეტოქე წმინდად დაამარცხა, მეორე შეხვედრაში კი დამაჯერებლად მოუგო ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ ლუსიანო კორეას. მესამე ბრძოლაში გერმანელი დინო პფაიფერი დაჯაბნა და ნახევარფინალში კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰე-ტაე ჰვანგთან დამარცხდა. გემახსოვრებათ - ის ადრე 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და 2003 წლის მსოფლიო პირველობის ფინალში ზურაბ ზვიადაური დაამარცხა, ახლა კი გადამწყვეტი შეხვედრა იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ ტაკამასა ანაის მოუგო და ჩემპიონი გახდა. ამ ტურნირზე სულ ოთხმა ევროპელმა მოიგო მედალი - ბრიტანელი ეუან ბარტონი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა, მძიმეწონოსანმა ესტონელმა მარტინ პადარიმ, 100-ში ჩეხმა ლუკაშ კრპალეკმა და ჟორჟოლიანმა კი – ბრინჯაო მოიპოვეს. ჟორჟოლიანმა დამაჯერებლად იჭიდავა.

საერთოდ, ამ ტურნირმა დამანახვა, რომ ყველა სპორტსმენს სუნთქვის პრობლემა აწუხებს, ძალიან ბევრი სამუშაოა ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, მძიმეწონოსნებმა აუცილებლად უნდა დაიკლონ წონაში... განსაკუთრებით მტკივნეული მაინც ფიზმომზადება და სუნთქვაა. 2-3 წუთი ჭიდაობენ და მერე გამართლებას და შემთხვევით ფაქტორებს ელოდებიან. ამიტომ საგანგებოდ ამ მიმართულებით გავზარდეთ დატვირთვები, რაც ჯერჯერობით უჭირთ. მაგრამ ამ გზით თუ არ წავედით, სხვანაირად არ გამოვა.

**- კონკრეტულად, რა ტიპის ვარჯიშებს დაამატებთ?**

- გაიზარდება შტანგით ვარჯიში, კროსების მოცულობა, სწრაფი სირბილი, ტემპის მონაცვლეობა კროსებში, ანუ აჩქარება-შენელებით სირბილი და ასე უნდა დავძლიოთ გამძლეობის პრობლემა. ამ გეგმის განხორციელება უკვე დავიწყეთ - დღეს კროსები გვქონდა, მაგრამ ცოტა გაუჭირდათ, ალბათ, პირველი დღე იყო და ამიტომ. ცუდია, ეს მხოლოდ შეკრებებზე თუ მოხდება და არა მათ ყოველდღიურ ვარჯიშებზე, იმ დარბაზებში, სადაც ისინი ვარჯიშობენ ნაკრებში შეკრებაზე მოსვლამდე. ფიზმომზადებაში ისინი ყოველდღიურად უნდა ემზადებოდნენ. ეს პრობლემა მასობრივად უნდა მოგვარდეს, ნაკრებს კი რაც შეეხება, მაქსიმალურად ვეცდებით, ევროპის ჩემპიონატისთვის სრულ ფორმაში ვიყოთ.



**- ერთი კითხვა ისევ კანოს ტურნირზე - მეტრეველი რატომ გამოვიდა ასე სუსტად? საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ მისგან ცოტა მეტს ველოდით.**

- ვერ გეტყვით. ახალგაზრდებში ორი წლის წინანდელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ის პირველად საქართველოს წლევანდელ პირველობაზე ვნახე, მაგრამ რასაც აქებენ, იმის შესაფერისი ჯერ ვერაფერი დავინახე. როცა ნაკრებში მოხვედრაზე პრეტენზია გაქვს, პირველივე შეხვედრას არ უნდა აგებდე.

**- თბილისის ტურნირისთვის როგორი გეგმით მოემზადებით?**

- თბილისის ტურნირი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბევრ რამეს განსაზღვრავს - ვინ დაიწყებს მზადებას ჯერ ევროპის პირველობის, მერე კი ოლიმპიური ციკლისთვის. მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ შანსი ყველას მივცე - ვეტერანებსაც, ახალგაზრდებსაც. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ თბილისური შეჯიბრების შემდეგ აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გავაკეთოთ.

თბილისის მსოფლიოს თასი 30-31 იანვარს ტარდება და მისთვის მზადება უკვე დავიწყეთ - გუნდი 13 დეკემბრიდან უკვე ბაკურიანშია, იაპონიაში ნამყოფები კი 15-დან შემოვუერთდით. ეს შეკრება ძირითადად ფიზიკურ მომზადებას ეთმობა, თუმცა ტატამზე ვარჯიშიცაა შერეული. ამ შეკრებას 18-ში დავამთავრებთ და თბილისში დავბრუნდებით. იქ 15 იანვრამდე ინტენსიურად ვივარჯიშებთ, მერე კი შეკრებაზე გადავალთ, რომელსაც დედაქალაქშივე გავივლით.

**- შეკრებაზე ყველა უძლიერესი ფალავანია თუ ვინმე გამოაკლდა? გვაინტერესებს ის სამეული, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა - ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ირაკლი ცირეკიძე. აგრეთვე ტრავმირებულები - ვალერი ლიპარტელიანი, ლაშა გუჯეჯიანი და ორი ვეტერანი - ნესტორ ხერგიანი და ზურაბ ზვიადაური.**

- ყველა წამყვანი ძიუდოისტი შეკრებაზეა და სრული დატვირთვით, ძალიან კარგად ვარჯიშობს. მხოლოდ გუჯეჯიანი ვერ იტვირთება სრულად საქართველოს ჩემპიონატზე ნატკენი ფეხის გამო. ის ჯერ მარტო შტანგებით ვარჯიშობს, მაგრამ, ვფიქრობთ, 2-3 დღეში ისიც ჩვეული გრაფიკით ივარჯიშებს. ზოგიერთ სპორტსმენს გრიპის ვირუსი კი შეეყარა, მაგრამ ჩვეულებრივი ვირუსი იყო და არაფერი საშიში. თან უკვე ესეც მოგვარდა, პირობებიც მშვენიერია და ყველა წინაპირობაა კარგად მომზადებისთვის.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

# წყვილებში მოუგო, ერთეულებში წააგო

დუბაის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდიც 75 ათასი დოლარია, **ოქსანა კალაშნიკოვამ** (180) სამსეტიანი ბრძოლა გაუმართა მე-5 ნომრად განთესილ ლატვიელ **ანასტასია სევასტოვას** (82), თუმცა დამარცხდა - 2:6, 7:5, 2:6. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოქსანა ველარ გადაასწრებს **ანა ტატიშვილს** (176) რეიტინგში და წელიწადს ანა ჩაამთავრებს საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსით.

ოქსანა ჯერ ისევ დუბაიშია, რადგან წყვილთა თანრიგში აგრძელებს ბრძოლას. მისი და გერმანელი **იულია გორგესის** (77) მე-4 ნომრად განთესილმა დუეტმა პირველ წრეში სევასტოვასა და **ირენა პავლოვიჩის** (საფრანგეთი, 269) წყვილი დაამარცხა - 6:2, 4:6, 10:5. მეოთხედფინალში კალაშნიკოვა და გორგესი სერბებს (**ბოიანა იოვანოვსკი, ვოისლავა ლუკიჩი**) დაუპირისპირდებიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ტაეკვონდო

# მოარტყამს ტაეკვონდო ათიანში?

მომდევნო წელი „ლონდონი 2012"-ის მზადების პროცესში ერთ-ერთი გარდამტეხია, რადგან სხვადასხვა სპორტის სახეობაში ოლიმპიადის ლიცენზიების გათამაშება იწყება. სეოკ-ი პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** ხელმძღვანელობით აგრძელებს ეროვნულ ფედერაციებთან შეხვედრებს და პრობლემების განხილვას. გუშინ სეოკ-ს ტაეკვონდოსა და სროლის სახეობათა ფედერაციის წარმომადგენლები სტუმრობდნენ.

ტაეკვონდოს ფედერაციას **გიორგი კოროხაშვილი** შარშან ჩაუდგა სათავეში და სასიკეთო ძვრები უკვე შეინიშნება. კადეტთა და 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბათუმელმა **გურამ კუტალაძემ** და თბილისელმა **ალექსანდრე უშარაულმა** ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური პროგრამა 4 წონაში ასპარეზობას ითვალისწინებს. სათანადო პირობების შექმნისა და სწორად მუშაობის შემთხვევაში ფედერაცია ვაჟებში ერთი საგზურის მოპოვებას გეგმავს. სალიცენზიო ტურნირები კი 2011 წლიდან დაიწყება. გოგონებში **იანა გაგნიძის** იმედი აქვთ, რომელიც საბერძნეთში ცხოვრობს და ვარჯიშობს. კოროხაშვილის განცხადებით, კარგი იქნებოდა თუ ნაკრების მწვრთნელად უცხოელ სპეციალისტს მოიწვევდნენ. ფედერაცია ამ მიმართულებით უკვე მუშაობს. განზრახულია კლუბების ჩამოყალიბება რეგიონებში, რათა გაიზარდოს მომეცადინეთა რაოდენობა.

რაც შეეხება სინგაპურში დაგეგმილ პირველ ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს, სალიცენზიო ტურნირი მარტში მექსიკაში ჩატარდება და იქვე გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატიც.

**თამაზ იმნაიშვილისა** და **ნინო სალუქვაძის** განმარტებით სასტენდო სროლასა და ტყვიის სროლაში უმთავრესი პრობლემა სასროლეთის უქონლობაა და სასიხარულოა, რომ რუსთავში იგეგმება ახალი ბაზის მოწყობა, ამასთან თბილისში სეოკ-ის ინიციატივით მერიამ მესტენდურებს 7 ჰექტარი მიწა გამოუყო. იმნაიშვილმა თქვა, რომ ვაჟებში ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება თითქმის გამორიცხულია, ქალებში კი **მაია გუბიევას** იმედი აქვს, რაც ქალთა შორის შედარებით ნაკლები კონკურენციით აიხსნება.

ნინო სალუქვაძეს გამოცდილებისა და შედეგებიდან გამომდინარე ლონდონის საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს და ეს იქნება მისი მეშვიდე ოლიმპიური თამაშები.

რაც შეეხება სინგაპურს, გაისად, მარტში, მხოლოდ ერთი სალიცენზიო ტურნირია ნორვეგიაში. "პერსპექტიული ბავშვები კი გვყავს, მაგრამ რამდენად მოხერხდება ლიცენზიის მოპოვება, რთული სათქმელია",- განაცხადა ნინო სალუქვაძემ.

ლელოს კორ.

ჭადრაკი

# 5 საგზურის 57 მაძიებელი

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო საქართველოს 69-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებამ ვაჟთა შორის. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად წარიმართება და პირველ-მეხუთე ადგილებზე გასულნი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

ხუთი საგზურისთვის სხვადასხვა ქალაქის 57 წარმომადგენელი იბრძვის, მათ შორის 6 მანდილოსანია. გუშინ მეორე ტურის პარტიები გაიმართა. ორთაბრძოლები მოიგეს და უდანაკარგოდ ლიდერთა ჯგუფში არიან **სოფიკო გურამიშვილი, ბეგლარ ჯობავა, ზურაბ ჯავახაძე, გაიოზ ნიგალიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, დავით ლომსაძე, დავით ბენიძე, მიხეილ ჯამაგიძე** და **შოთა აზალაძე**.

დღეს მესამე ტურის პარტიებია.

ვაჟა დანელია

სამთო თხილამურობა

# ჩვენი ახალი კომპანიონი

## ეროვნულ ჩემპიონატში ნაკრების წევრებიც ჩაერთვებიან

გუშინ სასტუმრო "რედისონში" საქართველოს სამთო სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი **გიორგი რევიშვილი**, ვიცე-პრეზიდენტები **დავით ნათაძე** და **ბუბა გვარამაძე**, გენერალური დირექტორი **გუგა ცაგარელი**) პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც დამსწრე საზოგადოებას ფედერაციის მიერ გაწეული საქმიანობა, სტრატეგია და სამომავლო გეგმები გააცნო. დამსწრეთა შორის იყვნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**.

ფედერაციის ინიციატივით ბაკურიანსა და გუდაურში უკვე დაიწყო ტრასების ჰომოლოგაცია (სერტიფიცირება) და მათი საერთაშორისო სტანდარტებზე მორგება. შედეგად, 2010-2011 წლების ზამთრის სეზონისთვის ქვეყანაში შესაძლებელი იქნება საერთაშორისო შეჯიბრებებისა და ეტაპების მოწყობა.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა იტალიელი სპეციალისტი **ჯორჯო კომპანიონი**. რომელიც ჩვენს მეთხილამურეებს მოახლოებული ოლიმპიადისთვისაც მოამზადებს და საქართველოს სათხილამურო ფედერაციასთან მომავალშიც ითანამშრომლებს. იგი ყველა ასაკის ქართველ მოთხილამურეებს უცხოურ შეკრებებზეც გაწვრთნის და საქართველოშიც ხშირად ჩამოვა. ბაკურიანსა და გუდაურთან ერთად, შეკრებები იტალიასა და ავსტრიაშია დაგეგმილი. პროგრამაშია ქართველი მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება შეჯიბრებებში მონაწილე სპორტსმენთა ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები, ხოლო ეროვნული ნაკრებების ეკიპირებას ფედერაცია გენერალურ სპონსორებთან ერთად უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ფედერაციის ახალი ბიუჯეტი წინას რამდენჯერმე აღემატება, რაც სპორტის დეპარტამენტისა და სპონსორების დამსახურებაა.

დადგინდა საქართველოს მომავალი ჩემპიონატის კალენდარიც, რომელშიც მარტიდან ეროვნული ნაკრების წევრებიც ჩაერთვებიან.

I ეტაპი. 9-10 იანვარი. **ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

II ეტაპი. 23-24 **იანვარი. ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

III ეტაპი. 6-7 **თებერვალი. გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

IV ეტაპი. 20-21 **თებერვალი. ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

V ეტაპი. 6-7 **მარტი. ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

VI ეტაპი. 20-21 **მარტი. გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

VII ეტაპი. 3-4 **აპრილი. გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

ლევან ჯანეზაშვილი

კალათბურთი

აღიარება

# ბოისას დღე: MVP, ორმაგი დუბლი და ოლ სტარი



**ვლადიმერ ბოისამ** სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან ისრაელის „ჰაპოელთან“ 21 ქულა ჩააგდო, 14 მოხსნა მიითვალა და მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მისი დამაჯერებელი თამაშის წყალობით „ზადარმა“ „ჰაპოელი“ 86:69 დაამარცხა.

ახლა მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ, ჯერ მოკლე მიმოხილვას და და ვოვას კომენტარს გავეცნოთ, შემდეგ კი გავარკვიოთ, მის გუნდს ჯგუფიდან გასვლის რა შანსი აქვს.

ევროთასის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ვკითხულობთ: *„ერთი კვირის წინათ ისრაელში 19 ქულით წაგების გამო „ზადარმა“ რევანში აიღო - „ჰაპოელი“ 86:69 დაამარცხა.*

*მატჩის გმირი ვლადიმერ ბოისა იყო, რომელიც შეხვედრის ბომბარდირი გახდა - 21 ქულა. მიკა დაუნსმა 16 ქულა ჩააგდო, ხოლო ტრენტ პლაისტედმა - 14.*

*ანგარიში ვლადიმერ ბოისამ გახსნა. პირველი მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეორე ათწუთეულში „ზადარმა“ მცირე უპირატესობა მოიპოვა, რომელიც ბოისამ სამქულიანით 9 ქულამდე გაზარდა (37:28).*

*მესამე პერიოდის დასაწყისში კარის და რუჟიჩის სამქულიანებით მასპინძლებმა 11:0 გაქცევა მოაწყვეს და 49:35 დაწინაურდნენ.*

*მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში ვლადიმერ ბოისამ 8 ქულა ჩააგდო და 10:0 სპურტს ჩაუყარა საფუძველი. შედეგად, „ზადარმა“ 24-ქულიანი ფორა მოიპოვა, რომლის შენარჩუნება ხორვატებს აუცილებლად სჭირდებოდათ, რადგან ისრაელში 19-ქულიანი სხვაობით ჰქონდათ წაგებული და თანაბარი ქულების შემთხვევაში ჯგუფიდან გამსვლელს სწორედ ჩაგდებულ-მიღებული ქულები გაარკვევს. ჰაპოელელებმა, კოკიამ და ნეიმიმ მალე სტუმართა ჩამორჩენა 16 ქულამდე შეამცირეს, თუმცა ბოისას სამქულიანმა მასპინძელთა ფორა 19-მდე გაზარდა.*

*ბოლო წამებზე ბოისამ და სტეპჩიჩმა თითო საჯარიმო ააცილეს და „ზადარს“ სასურველი სხვაობით გამარჯვებამდე 2 ქულა დააკლდა.“*

სადღეისოდ ხორვატებსაც და ებრაელებსაც 2-2 მოგება აქვთ და ჯგუფში მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. თუ ისინი ჯგუფურ ტურნირს თანაბარი ქულებით დაასრულებენ, მომდევნო ეტაპზე „ჰაპოელი“ გავა. თუმცა ჯგუფური მატჩების დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. ამ გუნდების მომდევნო მატჩების კალენდარს გაგაცნობთ და შანსებზე თავად იმსჯელეთ.

| 5 იანვარი |
| --- |
| შაულიაი-ჰაპოელი |
| არისი-ზადარი |
| **12 იანვარი** |
| ჰაპოელი-არისი |
| ზადარი-შიაულიაი |

„ჰაპოელთან“ ვლადიმერ ბოისას სრული მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 32 წუთი, 21 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 7-დან 4 სამიანი, 4-დან 1 საჯარიმო), 14 მოხსნა, 1 პასი. ახლა მატჩის ბოისასეულ შეფასებას გავეცნოთ:

*- მინდა, ჩემს თანაგუნდელებს გამარჯვება მივულოცო. შესანიშნავად ვითამაშეთ დაცვაშიც და შეტევაშიც. მატჩის დასაწყისში ცოტას ვნერვიულობდით, თუმცა მალე დაძაბულობა მოგვეხსნა და შეტევაშიც დამაჯერებლად ავთამაშდით.*

■ ■ ■

ევროთასზე ვწერდით და, უნდა აღინიშნოს **თორნიკე შენგელიას** დებიუტიც „ვალენსიაში.“ მან მიმდინარე სეზონის, ოფიციალურ მატჩებში პირველად მოირგო „ვალენსიას“ მაისურა, თუმცა რუსულ „ტრიუმფთან“ მხოლოდ 1:22 წუთი ითამაშა და 1 დაფარება მიითვალა. ესპანელებმა რუსები 85:60 დაამარცხეს და მომდევნო ეტაპის საგზური ვადამდე მოიპოვეს.

■ ■ ■

ხორვატიაში დავბრუნდეთ. მაშინ, როცა „ზადარი“ „ჰაპოელს“ არბევდა, ხორვატებმა „ოლ სტარის“ მონაწილეები დაასახელეს. მათ შორის მოხვდა ვლადიმერ ბოისა, რომელიც სამხრეთელთა გუნდის მაისურით ჩრდილოელებს დაუპირისპირდება. ხორვატიის ვარსკვლავთა მატჩი 26 დეკემბერს გაიმართება.

ბოისას გუნდში მოხვდნენ: **ტონი ბიზაჩი** (ტრიგორი), **ლუკ პეტკოვიჩი, მირა ბილანი** (შიბენიკი), **მარიო დელასი, ჯერი მაკურა** (სპლიტი), **მატ მრვა** (ბორიკი), **ანტონიო ოსტრიჩი** (დუბროვნიკი), **ალენ ბლესიჩი** (კასტელი), **როკ სტიპჩევიჩი, ჰროვე პერიჩი, მარკო კარი, მიკა დაუნსი, ვლადიმერ ბოისა** (ზადარი). მწვრთნელი: **ზმაგო საგადინი** (ზადარი).

შეგახსენებთ, რომ ვოვას 2005 წელს ევროპის ნაკრებშიც უთამაშია...

**ვაჟა სიმონიშვილი**




რაგბი

პრეზენტაცია



# განვავითაროთ ქართული რაგბის მომავალი

რამდენიმე თვეა, შოტლანდიელი სპეციალისტი რიჩი დიქსონი და ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც **ირაკლი ჭყონია, ილია მაისურაძე, ლადო კილასონია, ზურაბ ამონაშვილი, ნონო ანდღულაძე, ლექსო გუგავა** და **სანდრო ნიჟარაძე** არიან, ქართული რაგბის პრობლემებს სწავლობს და მისი განვითარების პროგრამის შექმნაზე მუშაობს. დღეისთვის დიქსონს და კომპანიას მზად აქვთ ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამა, რომლის პრეზენტაციაც დეკემბრის პირველ ნახევარში საქართველოს რეგიონებში: ქუთაისში, ბათუმში, ახალციხესა და თელავში გაიმართა. ამჯერად პროგრამა „განვავითაროთ ქართული რაგბის მომავალი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში თბილისურ კლუბებში მომუშავე მწვრთნელების სამსჯავროზე გამოიტანეს.

პრეზენტაცია რიჩი დიქსონმა გახსნა. მან მოკლედ ისაუბრა გაწეული საქმიანობის შესახებ და ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამის წარდგენა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ირაკლი ჭყონიას მიანდო:

„განვითარების პროგრამის მიზანია, საქართველო გახდეს მსოფლიოში წამყვანი სარაგბო ქვეყანა, რისი პოტენციალიც ნამდვილად გაგვაჩნია. ამისთვის კი ძალიან შრომატევადი სამუშაოა ჩასატარებელი, რომელიც შედეგს იმ შემთხვევაში მოიტანს, თუ მწვრთნელთა საქმიანობას გარკვეულ სისტემაში მოვაქცევთ, სწორ მიმართულებას მივცემთ.

ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამა მოიცავს რვიდან ცხრამეტ წლამდე ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელების საწვრთნელ მეთოდიკას, რომელიც იანვრის ბოლოსთვის წიგნად დაიბეჭდება და თითოეულ მწვრთნელს გადაეცემა. გამოიცემა ასევე ამ წიგნების კომპიუტერული ვერსია კომპაქტდისკებზე.“

ირაკლი ჭყონიამ მწვრთნელებს დეტალურად გააცნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები, ილაპარაკა არსებულ პრობლემებზე, მისი დაძლევის გზებსა და ხერხებზე.

რიჩი დიქსონი:

„საქართველოს ნამდვილად შესწევს უნარი, ელიტური სარაგბო ქვეყანა გახდეს. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის მაძლევს, რომ თქვენმა ნაკრებმა ორ მსოფლიო თასზე იასპარეზა და მესამეზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს. სამომავლოდ მიზანი მხოლოდ მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპში მონაწილეობა არ უნდა იყოს. უკვე დროა, იქ მეტოქეების დამარცხებასა და პლეი ოფში მოხვედრაზე ვიფიქროთ. ამისათვის კი ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ.

საქართველოში ყველა ასაკის ბავშვთა გუნდების თამაში ვნახე. ვუყურე ეროვნული და A ნაკრებების მატჩებს. შევნიშნე ორი ყველაზე დიდი ნაკლი. ერთი - ქართველ მორაგბეებს უჭირთ დიდი წნეხის ქვეშ თამაში, რაც არასაკმარისი საშემსრულებლო ოსტატობის ბრალია და მეორე - თამაშის აღქმის, ცოდნის დაბალი დონე.

ყოველივე ეს ქართველი მწვრთნელების გამოსასწორებელია. ჩვენი პროგრამა მათ სწორედ ამ საქმეში დაეხმარება. საჭიროა რაც შეიძლება მეტი მაღალი კლასის, ძლიერი მორაგბეების გაზრდა. მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ და გარწმუნებთ, ყველა განვითარებად სარაგბო ქვეყანას ერთი და იგივე პრობლემები აქვს. არსებობენ სამი სახის მწვრთნელები. პირველი - ეს არის მწვრთნელი, რომელიც პირად ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს, მეორე - მწვრთნელი, რომელიც სპონსორებზე მუშაობს, რათა ფული მოიზიდოს და მესამე - მწვრთნელი, რომელიც რაგბის სიყვარულით მუშაობს და მოთამაშის, რაგბის განვითარებისთვის ზრუნავს. გარწმუნებთ, ყველაზე წარმატებული ამათ შორის მესამეა.

25 წელიწადი პროფესიონალი მწვრთნელი ვიყავი. აქედან ცხრა წელიწადი შოტლანდიის ნაკრებს ვწვრთნიდი და როცა თამაშს ვიგებდით, იმ მწვრთნელებს ვლოცავდი, ვინც ნაკრების მოთამაშეები აღმიზარდა, რაგბის ანა-ბანა ასწავლა. ჩემამდე ჩამოყალიბებული, მაღალი დონის მოთამაშეები მოდიოდნენ, რაც საქმიანობას მნიშვნელოვნად მიადვილებდა.

ამიტომ, ყველამ, როგორც ბავშვთა, ისე ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა, ერთად უნდა ვიფიქროთ, ერთად უნდა ვიმუშაოთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პროგრესის მიღწევა შესაძლებელი“.

ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამის პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა განვითარების სხვა მიმართულებებზე, რომელიც დამსწრეთ ილია მაისურაძემ გააცნო:

„საქართველოში ორი სარაგბო აკადემიაა. მათი მუშაობის პრინციპით და მეთოდიკით კმაყოფილნი არ ვართ. შესაცვლელია აკადემიაში მოხვედრისთვის აუცილებელი კრიტერიუმები როგორც მორაგბეებისთვის, ისე მწვრთნელთათვის. სამომავლოდ ორიენტირად დაისახება აკადემიაში მოხვედრილ მორაგბეთა არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. ორივე აკადემიაში საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ისწავლიან.

ამ ორი აკადემიის გარდა იქნება რამდენიმე სატელიტი აკადემია: აჭარაში, ვანსა და ჭიათურაში. შემუშავებული იქნება ათწლიანი პროგრამა, რომელიც, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, ყოველ ორ წელიწადში განახლდება.

დიდი ყურადღება დაეთმობა კვალიფიციურ ფიზმომზადების მწვრთნელთა აღზრდას, რის დეფიციტსაც დღესდღეობით განვიცდით. პირველი დონის სემინარს რიჩი დიქსონი თავად ჩაატარებს. მეორე დონის სემინარის გასამართად კი ამ სფეროში უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი გვეწვევა. ჩვენი მიზანია, რომ ფიზმომზადების კვალიფიციური მწვრთნელი საქართველოს ყველა კლუბს ჰყავდეს.

შევიმუშავებთ ასევე სამედიცინო პროგრამას. სპორტული მედიცინა ჩვენში დაბალ დონეზეა და ესეც მისახედია. განსავითრებელია ისეთი სპორტული მეცნიერებანი, როგორიცაა სპორტული ფსიქოლოგია, რეაბილიტაცია და ფიზიოთერაპია. შესაქმნელია ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის განვითარების პროგრამა.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს ბავშვთა რაგბის განვითარების პროგრამასთან ერთად, ქართული რაგბის წინსვლას, განვითარებას და არსებული პოტენციალის სრულად გამოყენებას შეუწყობს ხელს.“

**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტის ქრონიკები

## ლელოს დაუსწრებელი ოლიმპიური აკადემია

### ქართული სპორტის მატიანე

# სინქრონული ცურვა



ქრისტინე ფალასანიდი

სინქრონულ ცურვას, როგორც სპორტის სახეობას, საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მიწურულს, როცა ჯერ ინგლისში, შემდეგ კი საფრანგეთში შეიქმნა ე. წ. ფიგურულ მოცურავეთა კლუბები. XX საუკუნის 30-იან წლებში სინქრონული ცურვა გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. პირველი ოფიციალური შეჯიბრება 1945 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა.

ევროპაში პირველი საერთაშორისო შეჯიბრება 1958 წელს გაიმართა ჰოლანდიაში ცხრა ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით. ასეთივე ტურნირები ეწყობა გერმანიაში (1959) და ავსტრიაში (1963).მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კი ჩრდილოამერიკულ შეჯიბრებებში ჩაებნენ კანადის, მექსიკისა და კუბის სპორტსმენები.

სინქრონული ცურვის შემდგომი განვითარება განაპირობა კონტინენტური და მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარებამ. ევროპის ჩემპიონატები იმართება 1974 წლიდან, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატები 1973 წლიდან.

1980 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე სინქრონული ცურვა ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და ლოს-ანჯელესის 1984 წლის თამაშების პროგრამაში ჩართეს. სპორტის ეს სახეობა შედის ცურვის საერთაშორისო ფედერაციაში, რომელიც 1980 წელს დაფუძნდა და აერთიანებს 189 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოში სინქრონული ცურვა პირველად 1978 წლის 13 ოქტომბერს იხილეს, როდესაც „ლაგუნა-ვერეს" საცურაო აუზში მოსკოველმა მოცურავეებმა თეატრალიზებულ-სპორტული სანახაობა წარმოადგინეს. სპორტის ამ სახეობით სერიოზულად დაინტერესდა თბილისელი ტანმოვარჯიშე **ანა ივანოვა**, რომელიც სინქრონულ ცურვაში უკვე ავარჯიშებდა რამდენიმე გოგონას. 1978 წელს ა. ივანოვას მიერ მომზადებულმა გუნდმა პირველ საკავშირო ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა. საქართველოში სინქრონული ცურვის აღმავლობა მოსკოვიდან მოწვეული სპეციალისტის **ნატალია მაშუკის** სახელს უკავშირდება. მან მოკლე დროში ჩამოაყალიბა ძლიერი გუნდი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატებში, ამ გუნდის ლიდერი **ქრისტინა ფალასანიდი** კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში.

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციისა და ევროპის საწყლოსნო ლიგის წევრია.

2004 წლიდან საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია **ალექსანდრე ბითაძე**.

საქართველოს სინქრონულმა მოცურავეებმა მედლები მოიპოვეს:

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

ქრისტინე ფალასანიდიმ 1989

**ვერცხლის მედალი**

ქრისტინე ფალასანიდიმ 1987

ევროპის ჩემპიონი – 1,
ოქროს მედალი - 1.
ვერცხლის მედალოსანი – 1,
ვერცხლის მედალი –1.
სულ: 2 მედალი (1 ოქრო, 1 ვერცხლი).

# ნიჩბოსნობა



ვიქტორ კრატასიუკი

სანიჩბოსნო სპორტში შედის აკადემიური ნიჩბოსნობა, ნიჩბოსნობა ნაიდარითა და კანოეთი. კაცობრიობას უხსოვარი დროიდან ემსახურება ნაიდარა და კანოე, როგორც წყალზე გადაადგილების საშუალება. თანამედროვე ნაიდარის შორეულ წინამორბედად ითვლება ესკიმოსური ნავი კაიაკი, ხოლო კანოესი – ინდიელთა პიროგა. ცნობილია, რომ ნავებით პირველი რბოლა 1300 წელს ვენეციაში მოეწყო. თუმცა სპორტული ნიჩბოსნობის სამშობლოდ ითვლება ინგლისი, სადაც შეიქმნა პირველი აკადემიური ნავი და 1715 წლიდან რეგულარულად ტარდებოდა შეჯიბრებები ერთეულთა კლასში. 1829 წლის 10 ივნისიდან სათავეს იღებს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ნიჩბოსანთა პოპულარული შეჯიბრება მდინარე ტემზაზე. ნაიდარა კი პირველად ლონდონში მცხოვრებმა შოტლანდიელმა იურისტმა **ჯონ მაგრეგორმა** დაამზადა ესკიმოსთა ნავების მიხედვით. 1866 წელს მან ლონდონში დაარსა კანოისტთა პირველი კლუბი. მანვე 1869 წელს მოაწყო პირველი სანაიდარო რეგატა, რომელმაც სათავე დაუდო სპორტის ახალი სახეობის ჩამოყალიბებას.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატი იმართება 1893 წლიდან, მსოფლიოს ჩემპიონატი კი 1962 წლიდან. ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია 1900 წლიდან კაცებისთვის, 1976 წლიდან კი ქალებისთვის. ნაიდარასა და კანოეში ევროპის ჩემპიონატი იმართება 1933 წლიდან, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატი 1938 წლიდან, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კი 1936 წელს ჩართეს.

ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1892 წლის 25 ივლისს იტალიის ქალაქ ტურინში და დღეისათვის აერთიანებს 118 ქვეყნის ფედერაციას. კანოეს საერთაშორისო ფედერაცია დაფუძნდა 1924 წლის 19 იანვარს კოპენჰაგენში. იგი აერთიანებს 5 კონფედერაციას და 131 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოში ნიჩბოსნობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი შეჯიბრება მცხეთაში გაიმართა XX საუკუნის 30-იან წლებში. აკადემიური ნიჩბოსნობა კი 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

სსრკ ჩემპიონატებში პირველი მედლები მოიპოვეს **გიორგი კაპანაძემ, არსენ ხუბეროვმა, ალექსანდრე არეშოვმა, ისაკ გიგაურმა, ვლადიმერ რაზმაძემ, ვალენტინ სერედამ, ავერი მატკავამ, ჯიმშერ ხოშიბაევმა, ვიქტორ კრატასიუკმა, თამაზ ჩიტაიამ, ზურაბ ხოფერიამ, ნოდარ ჩარაევმა.**

საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 27 ივლისს. იმავე წლიდან არის საერთაშორისო ფედერაციის წევრი. 1996 წლიდან ფედერაციის პრეზიდენტია **ბეჟან ხურციძე**.

საქართველოს ნიჩბოსნებმა მედლები მოიპოვეს:

**ოლიმპიადაზე**

ვიქტორ კრატასიუკმა 1972 წელს მიუნხენში – ოქრო

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ბრინჯაოს მედალი**

ავერი მატჭხვამ 1965
გივი ნიკურაძემ 1973

ბრინჯაოს მედალოსანი – 2,
ბრინჯაოს მედალი –2.
სულ: 2 მედალი (2 ბრინჯაო).

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია, პროფესორი**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** თანამედროვე ხუთჭიდელი საქართველოდან, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა, იყო **ვახტანგ იაგორაშვილი**. სეულში 1988 წელს იგი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, გუნდურ პირველობაში კი მეხუთე ადგილზე გავიდა. 1996 წელს ატლანტაში ვახტანგი ოლიმპიურ თამაშებში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით გამოდიოდა, სადაც XX ადგილზე გავიდა პირად შეჯიბრებაში.

**პირველმა** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებიდან სსრ კავშირის ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა **ბორის პაიჭაძემ** — 26. ეს მოხდა 1936 წელს.

**პირველად** საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორთა გუნდმა საპრიზო ადგილი სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში 1970-1971 წლების ციკლში მოიპოვა. ჩვენი ნაკრები მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. პირველობები 1956-1988 წლებში ტარდებოდა და საქართველოს საჭადრაკო კომპოზიტორები მისი უცვლელი მონაწილენი იყვნენ.

## თქვენთვის, ერუდიტებო

### ვიქტორინა

**1. ბოლოს რომელ წელს მოიპოვა საქართველოს წარმომადგენელმა ოლიმპიური ოქროს მედალი თავისუფალ ჭიდაობაში?**

ა – 1992 წელს
ბ – 2004 წელს
გ – 2008 წელს

**2. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიურ სარბიელზე რომან რურუას მოპოვებული აქვს:**

ა – ერთი ოქროს მედალი
ბ – ოქროს და ვერცხლის მედლები
გ – ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები

**3. ლუკა კურტანიძე ორჯერ დადგა ოლიმპიურ კვარცხლბეკზე, რომელ საფეხურზე?**

ა – ორივეჯერ მესამეზე
ბ – მეორეზე და მესამეზე
გ – ორივეჯერ მეორეზე

**4. რამდენჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში როსტომ აბაშიძემ?**

ა – ორჯერ
ბ – სამჯერ
გ – ოთხჯერ

**5. რამდენი ოლიმპიური ჩემპიონია ძიუდოში საქართველოდან?**

ა – 4
ბ – 5
გ – 6

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ.

## თარიღი

### 17-23 დეკემბერი

**17 XII. 1915 წ.** დაიბადა **გრიგოლ გაგუა**. ფეხბურთი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**18 XII. 1942 წ.** დაიბადა **ჯონი რეხვიაშვილი**. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**18 XII. 1927 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ელოშვილი**. ფეხბურთი. გარდაიცვალა 2009 წელს.

**20 XII. 1945 წ.** თბილისის დინამოელმა **გაიოზ ჯეჯელავამ** გაიტანა 5 გოლი ბუქარესტის „იუვენტუსის" კარში, რაც კლუბის რეკორდია საერთაშორისო მატჩებში.

**21 XII. 1938 წ.** დაიბადა **ჯემალ აბაიშვილი**. ხელბურთი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**21 XII. 1952 წ.** დაიბადა **ვლადიმერ გუცაევი**. ფეხბურთი.

**21 XII. 1885 წ.** დაიბადა **ანატოლი ფიოდოროვი**. ფარიკაობა. გარდაიცვალა 1974 წელს.

**22 XII. 1949 წ.** დაიბადა **ვახტანგ ქორიძე**. ფეხბურთი.

## შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, რომელ წელს შეიქმნა საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ვინ იყვნენ მისი ხელმძღვანელები?

**გაგა ორთოიძე**

ქუთაისი

**პასუხი:** საქართველოში კალათბურთის განვითარების პირველი ხელმძღვანელი ორგანო - საკალათბურთო სექცია საქართველოს სპორტკომიტეტთან შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში. შემდეგ ასეთი სექციები სპორტულ ფედერაციებად გადაკეთდა. პირველი თავმჯდომარე იყო მაშინდელი სახელმწიფო ჩინოვნიკი **არჩილ ჭირაქაძე**, შემდეგნი: **გ. დანელია, ვ. თოხაძე, ა. ჩხეიძე, პ. თოდრია, ნ. ფოფხაძე, ქ. ქათამაძე**. ამჟამად ფედერაციას მესამე საპრეზიდენტო ვადით **ბესიკ ლიპარტელიანი** ხელმძღვანელობს.

## ეროვნული საუნჯე

# მუსიკა, ცეკვა და ჭიდაობა

წარმოუდგენელია ქართული ჭიდაობის ფიცხელი ორთაბრძოლები საჭიდაო ჰანგების გარეშე; თუმცა ზოგს მაინც მიაჩნია, რომ მუსიკა ჭიდაობისთვის ზედმეტია.

ქართული ჭიდაობა იმითაც არის გამორჩეული, რომ მუსიკალური აკომპანემენტი მისი ერთ-ერთი ორგანული და ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამის გარეშე ქართული ჭიდაობა ყოვლად წარმოუდგენელია. საჭიდაოს მეზურნე დამკვრელები შესანიშნავად უხამებენ მუსიკას ჭიდაობის ტემპს.

ქართული ჭიდაობის პაექრობის ეს ხალხური წამქეზებლური მოტივი ბრწყინვალედ გამოიყენა კომპოზიტორმა **რევაზ ლაღიძემ**, რომელმაც 1952 წელს დაწერა სიმფონიური სურათი — „საჭიდაო". ნაწარმოებმა თავიდანვე დიდი წარმატება მოუტანა ავტორს. ამ ჟანრის მეორე ასეთი უზადო ნიმუში არ არსებობს. **სულხან ცინცაძემაც** ამავე თემაზე შექმნა საკვარტეტო მინიატურა. **ოთარ თაქთაქიშვილს** კი აქვს „საჭიდაო" — სიმფონიური ორკესტრისათვის. ასე რომ, ქართველმა კომპოზიტორებმა ხალხური მოტივების შთაგონებით შექმნეს პროფესიული მუსიკის შესანიშნავი ნიმუშები.

ერთ დროს ქართული ჭიდაობის რიტუალში შედიოდა ცეკვა. უნდა ეცეკვათ გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. ამიტომაც არის ქართული ხალხური ცეკვების მარაქაში ცეკვა „ჭიდაობა".

**გაბრიელ ზარჯაძე**

## ფოტომატიანე



1936 წელი, პეტერბურგი. უძლიერესი ჩოგბურთელები. მარცხნიდან: ევგენი კუდრიავცევი, ედუარდ ნეგრებეცკი, ანრი კოშე, არჩილ მდივანი

## იყო ასეთი შემთხვევა...

1959 წელი. მოსკოვი. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადა. ვაჟ კალათბურთელთა მატჩი: საქართველო-ლიტვა.

თამაშის უკანასკნელი წუთი რომ ამოიწურა, შედეგი თანაბარი იყო — 64:64. დაინიშნა დამატებითი დრო. ანგარიში კვლავ თანაბარია — 72:72. დამატებითი ახალი ხუთი წუთი და... ისევ ფრე — 80:80. ამ დროს მოედანზე დარჩენილ თითქმის ყველა ქართველ კალათბურთელს მიღებული ჰქონდა 4-4 პერსონალური ჯარიმა. მატჩის დასრულებამდე 12 წამით ადრე ქართველები 2 ქულით დაწინაურდნენ 88:86. და ამ დროს ჩვენი გუნდიდან მოედანზე რჩება მხოლოდ სამი კალათბურთელი — **გ. აბაშიძე, ვ. ალთაბაევი და თ. კაკაურიძე**. მათ შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და თამაში სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს.

## ხალხურ-ეროვნული

შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია-ტაძრების ეზოები და მიმდებარე ტერიტორია სპორტულ ცენტრებად იქცა. სვეტიცხოვლობის, ალავერდობის, პირველმაისობის, ნაგომრობის, ზლუდრობის, გიორგობის, აღდგომისა და სხვა დღესასწაულები უხვად ირთავდნენ ცხენოსნობას, ბურთაობას, ჭიდაობას და სხვა ეროვნულ სახეობებს.

23 აპრილს გიორგობა ვიუქმეთ. ვთამაშობდით და ხალისიანად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან...

**გაზ. „ივერია". 1897. სოფ. ოფშკვითი.**

ვისაც კარგი ბურთის თამაში უნახავს, რომელშიც ცხენოსნებიც ლებულობენ მონაწილეობას, იმან იცის, რომ ამგვარი ბურთის თამაში ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა და რაზმების თავ-თავის დროზედ მიშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად.

**„ივერია", 1894.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ფილადელფია 6:1**

3:1, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 კროსბი-21 (ფედოტენკო-7, გონჩარი-14), 2:0 გერინი-8 (კროსბი-19, ორპიკი-12), 2:1 კარჩილო-3 (მ. რიჩარდსი-13, მ. კარლი-16), 3:1 ჯ. სტაალი-9 (კუკი-8, ორპიკი-13), 4:1 ჯ. სტაალი-10 (ლეტანგი-10, კროსბი-21), 5:1 ფედოტენკო-6 (მალკინი-23, გოდარდი-2), 6:1 მალკინი-10 (მაკკი-6).

**სტ. ლუისი-კალგარი 4:3**

2:1, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ბექსი-7 (ე. მაკდონალდი-10, ბოიესი-10), 1:1 რენე ბურკი-10 (ფანოფი-9, ჯორდანო-10), 2:1 ე. მაკდონალდი-7 (ბოიესი-11, ვიევერი-2), 2:2 ლენგკოუ-10 (რენე ბურკი-17, იგინლა-16), 2:3 ბოიდი-5 (ა. ჯონსონი-2, რეგერი-11), 3:3 სტინი-2 (კოლაიაკოვო-9, ბოიესი-12), 4:3 ოში-6 (კარია-7, ბექსი-8).

**ნეშვილი-ტამპა ბეი 7:4**

1:2, 5:0, 1:2

გოლები: 1:0 სმიტსონი-5 (ლეგუანდი-13, ჯ. ჰორდი-8), 1:1 სტემკოსი-18 (მელოუნი-12, ოლუნდი-7), 1:2 ლეკავალიე-7 (ფოსტერი-4, სენტ ლუისი-28), 2:2 ლეგუანდი-7 (ჯ. ჰორდი-9), 3:2 რ. ჯონსი-3 (სპალინგი-1, შ. უებერი-12), 4:2 ჰორნკვისტი-8 (გოკი-3), 5:2 დუმონი-6 (ჰორნკვისტი-6), 6:2 პამპუისი-3 (სუტერი-14, გოკი-4), 6:3 ფოსტერი-4 (ლეკავალიე-21, სენტ ლუისი-29), 6:4 ლეკავალიე-8 (მეზაროში-5), 7:4 ერატი-11 (სალივანი-14, არნოტი-10).

**მინესოტა-კოლამბუსი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 ნეში-17 (ჩიმერა-9), 1:1 ლატენდრესი-5 (მ. კოივუ-22, პაელატი-13), 2:1 ჟიდლიცკი-3 (მ. კოივუ-23).

**კოლორადო-ვაშინგტონი 1:6**

0:2, 0:3, 1:1

გოლები: 0:1 ფლიშმანი-12 (ფერი-8, უილსონი-1), 0:2 ნუბლი-6 (ოვეჩკინი-17, ბექსტრიომი-28), 0:3 შტეკელი-2 (ბრედლი-6, კ. კლარკი-9), 0:4 ფლიშმანი-13 (უილსონი-2), 0:5 ბრედლი-6 (ერსკინი-3, კ. კლარკი-10), 1:5 გალიარდი-4 (დუშენი-11, ქუინსი-15), 1:6 ბექსტრიომი-11 (პოტი-7, ბ. მორისონი-15).

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 2:3**

0:1, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 რიჩარდსონი-4 (დ. ბრაუნი-19), 0:2 დ. ბრაუნი-8 (რიჩარდსონი-3, პანძუში-9), 1:2 სურეი-3 (პოტულნი-4), 2:2 პოტულნი-6 (სურეი-6, გილბერტი-5), 2:3 ო'დონელი-1 (ფროლოვი-15, ჯასტინ უილიამსი-16).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკი** დაასახელა. "მეფეებმა" წინა შვიდ დღეს სამიდან სამი მატჩი მოიგეს, მათმა გოლკიპერმა კი ჯამში 85 დარტყმიდან 80 მოიგერია. ბოლო შვიდ თამაშში კუიკმა გუნდთან ერთად ექვსი შეხვედრა მოიგო. "მეფეების" კარის დარაჯი საშუალოდ 2.20 შაიბას უშვებდა.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდი **დანიელ სედინი**. გასულ კვირას შვედმა ლეგიონერმა ჰეთ-თრიკი შეასრულა "ატლანტასთან" მატჩში, დანარჩენ ორ შეხვედრაში კი თითო-თითო გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა. გამოვიდა, რომ დანიელს სულ 7 ქულა დაუგროვდა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ფინიქს კოიოტზის" გოლკიპერ **ილია ბრიზგალოვს** ერგო, რომელმაც თავის გუნდს სამიდან ორი მატჩი მოაგებინა, მესამეში კი ბულიტებით წააგო. რუსმა მეკარემ ბოლო შვიდ მატჩში 10 გოლი გაუშვა. ამ შეხვედრებიდან "ფინიქსმა" მხოლოდ ერთში ვერ მოიგო.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი* | 34 | 21 | 7 | 6 | 48 |
| 2. პიტსბურგი* | 34 | 23 | 10 | 1 | 47 |
| 3. ბაფალო* | 31 | 20 | 9 | 2 | 42 |
| 4. ნიუ ჯერსი | 31 | 22 | 8 | 1 | 45 |
| 5. ბოსტონი | 32 | 16 | 10 | 6 | 38 |
| 6. ატლანტა | 31 | 17 | 11 | 3 | 37 |
| 7. ოტავა | 32 | 16 | 12 | 4 | 36 |
| 8. მონრეალი | 34 | 15 | 16 | 3 | 33 |
| 9. ფლორიდა | 34 | 13 | 14 | 7 | 33 |
| 10. ფილადელფია | 32 | 15 | 16 | 1 | 31 |
| 11. რეინჯერსი | 32 | 14 | 15 | 3 | 31 |
| 12. ტორონტო | 33 | 12 | 14 | 7 | 31 |
| 13. აილენდერსი | 33 | 12 | 14 | 7 | 31 |
| 14. ტამპა ბეი | 33 | 11 | 13 | 9 | 31 |
| 15. კაროლინა | 32 | 7 | 19 | 6 | 20 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოს ანჯელესი* | 36 | 22 | 11 | 3 | 47 |
| 2. კოლორადო* | 36 | 19 | 11 | 6 | 44 |
| 3. ჩიკაგო* | 31 | 20 | 8 | 3 | 43 |
| 4. სან ხოსე | 34 | 19 | 8 | 7 | 45 |
| 5. ნეშვილი | 34 | 20 | 11 | 3 | 43 |
| 6. კალგარი | 33 | 19 | 10 | 4 | 42 |
| 7. ფინიქსი | 33 | 19 | 12 | 2 | 40 |
| 8. დეტროიტი | 33 | 17 | 11 | 5 | 39 |
| 9. დალასი | 32 | 14 | 8 | 10 | 38 |
| 10. ვანკუვერი | 33 | 19 | 14 | 0 | 38 |
| 11. მინესოტა | 33 | 16 | 14 | 3 | 35 |
| 12. ედმონტონი | 33 | 15 | 14 | 4 | 34 |
| 13. კოლამბუსი | 34 | 14 | 14 | 6 | 34 |
| 14. სტ. ლუისი | 31 | 14 | 12 | 5 | 33 |
| 15. ანაჰაიმი | 32 | 12 | 13 | 7 | 31 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 44 (7+37) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 42 (23+19) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 42 (14+28) |

| გოლები | |
|---|---|
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 23 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 21 |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 21 |

| პასები | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 37 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 30 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 29 |



გუშინ, „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" აღმოსავლური ტურნე „ჩიკაგო ბულზთან" მატჩით გახსნა. „იუტა ჯაზთან" უსახური თამაშის შემდეგ, **ფილ ჯექსონის** შეგირდები რეაბილიტაციის სურვილით გავიდნენ მოედანზე. თუმცა საკმაოდ დიდი ხანი „ხარები" არაფერს უთმობდნენ მოქმედ ჩემპიონებს. მესამე მეოთხედის ბოლოს მასპინძლებმა წინ გასვლაც კი მოახერხეს და რაღაც მომენტში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „ლეიკერსს" მცირე სათამაშო კრიზისი აწუხებს.

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტი-მაკი დაბრუნდა

თუმცა, კალიფორნიელთათვის საბედნიეროდ, მათ რიგებში გენიალური **კობი ბრაიანტი** თამაშობს. წინა მატჩში თითის ტრავმის გამო სუსტი თამაშის შემდეგ, კობიმ ამ შეხვედრისთვის სრულად მოახერხა ფორმის აღდგენა. საბოლოოდ, „შავმა მამბამ" ჩიკაგოში მორიგი კამკამა შოუ დადგა და „ბულზის" კალათში 42 ქულა ჩააგდო. „ბულზის" დამრიგებელმა **ვინი დელ ნეგრომ** კობის წინააღმდეგ ვერაფერი მოიფიქრა...

ფინიქსში გაიმართა ძველი მეტოქეების მატჩი. „სანზს" სტუმრად „სან ანტონიო" ეწვია. თამაშის დებიუტმა აჩვენა, რომ არიზონელები სერიოზულად იყვნენ განწყობილნი ბოლო ათწლეულში ყველაზე საძულველი და პრინციპული მეტოქის წინააღმდეგ და უკვე პირველ მეოთხედში ფანტასტიკური გაქცევა მოაწყვეს. **გრეგ პოპოვიჩისა** და მისი ბიჭებისთვის მოვლენათა ამგვარი განვითარება ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა. პირველ ტაიმში „სპურსმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ უფრო შორს არ გაუშვა მოწინააღმდეგე. დიდი შესვენების შემდეგ, „სან ანტონიომ" ტრადიციულად მოუმატა თამაშს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **ტიმ დანკანი**, რომლის ანგარიშზე 34 ქულა და 14 მოხსნა მოდის. უკვე ბოლო მეოთხედისთვის სტუმრების ჩამორჩენა სულ რაღაც 3 ქულამდე დავიდა.

მაგრამ **მაიკ დ'ენტონის** „ფინიქსსა" და **ელვინ ჯენტრის** „ფინიქსს" შორის ის პრინციპული განსხვავებაა, რომ ჯენტრის გუნდმა ასეთი მძიმე დარტყმების გამკლავება ისწავლა. მთელი დარჩენილი დრო „სან ანტონიო" ძალიან ახლოს იყო მეტოქესთან, მაგრამ არიზონელებმა პოპოვიჩის გუნდს მეტის გაკეთების უფლება არ მისცეს.

**ტრეისი მაკგრეიდი** დაბრუნდა! მართალია, „ჰიუსტონის" ვარსკვლავმა სულ რაღაც რვა წუთი გაატარა მოედანზე, მაგრამ თავად მისი დაბრუნების ფაქტი იმსახურებს ცალკე აღნიშვნას. ამ სეზონის შემდეგ მაკგრეიდიმ სათამაშო ნომერი შეიცვალა - მას ახლა მაისურზე „სამიანი" აწერია. როგორც ჩანს, ამ ნაბიჯით ტი-მაკმა თავის კარიერაში ახალი ეტაპის დაწყება გადაწყვიტა. რაც შეეხება აღნიშნულ შეხვედრაში მის გამოსვლას, ტრეისიმ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ფიზიკური მომზადების მხრივ, ჯერ კიდევ მოიკოჭლებს, მაგრამ პარტნიორებთან შეთამაშებისას პრობლემა არ ჰქონია. 3 ქულა (ორიდან ერთი ზუსტი ტყორცნა) და 3 მოხსნა - ასეთი მაჩვენებლებით დაასრულა თამაში მაკგრეიდიმ.

თავად მატჩი მთლიანად „ჰიუსტონის" კარნახით მიდიოდა. **ბრუქსის, ლენდრისა და სკოლას** მონდომებით „როკეტსმა" ჩემპიონატში მე-14 გამარჯვება მოიპოვა.

**შარლოტი-ნიუ იორკი 94:87**

24:20, 22:27, 20:27, 28:13

შ: ჯექსონი 24+3 ჩაჭრა, უოლასი 21+8 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა, ფელტონი 18+6 პასი+4 ჩაჭრა, ჩენდლერი 8+12 მოხსნა.

ნ-ი: დიუჰონი 18+6 პასი, ლი 16+8 მოხსნა, ჩენდლერი 16+7 მოხსნა, ჰარინგტონი 11+6 მოხსნა, ჯეფრიზი 11.

**კლივლენდი-ნიუ ჯერსი 99:89**

30:22, 22:23, 20:18, 27:26

კ: ჯეიმსი 23+6 მოხსნა+7 პასი, ო'ნილი 16+5 მოხსნა+3 დაფარება, ილგაუსკასი 16+5 მოხსნა, უილიამსი 13+8 მოხსნა+6 პასი.

ნ-ჯ: ლოპესი 22+15 მოხსნა, ჰარისი 22, ელსტონი 20.

**მაიამი-ტორონტო 115:95**

24:26, 36:24, 31:24, 24:21

მ: ბიზლი 28+11 მოხსნა, უეიდი 19+7 პასი, რაიტი 16+8 მოხსნა, აროიო 12, ო'ნილი 10.

ტ: ბოში 28, ბარნიანი 14+7 მოხსნა+3 დაფარება, თურქოგლუ 12.

**ჩიკაგო-ლეიკერსი 87:96**

31:31, 17:23, 25:18, 14:24

ჩ: როუზი 21+6 პასი, დენგი 21+6 მოხსნა, მილერი 15+8 მოხსნა+6 პასი, ნოა 11+20 მოხსნა+6 დაფარება, ჰაინრიხი 11+3 დაფარება.

ლ: ბრაიანტი 42+3 ჩაჭრა, ბინუმი 11, გასოლი 10+16 მოხსნა.

**ჰიუსტონი-დეტროიტი 107:96**

29:19, 27:28, 25:21, 26:28

ჰ: ბრუქსი 23+10 პასი, სკოლა 23+8 მოხსნა, ლენდრი 19, ბადინგერი 16+12 მოხსნა+5 პასი.

დ: ჰემილტონი 21, სტაკი 17+5 პასი, ვილანუევა 16, ჟერებკო 15+6 მოხსნა, დეი 10.

**ფინიქსი-სან ანტონიო 116:104**

28:17, 39:35, 22:32, 27:20

ფ: სტაუდმაიერი 28+14 მოხსნა+3 ჩაჭრა, ნეში 25+13 პასი, დრაგიჩი 18, ჰილი 17, ფრაი 15+8 მოხსნა.

ს-ა: დანკანი 34+14 მოხსნა+3 დაფარება, მეისონი 19+5 მოხსნა, პარკერი 15, ბლეირი 12+6 მოხსნა.

**პორტლენდი-საკრამენტო 95:88**

23:23, 20:31, 23:19, 29:15

პ: როი 25+10 პასი+5 მოხსნა, ოლდრიჯი 25+9 მოხსნა+5 პასი, ბეილესი 14, პრჟიბილა 5+10 მოხსნა.

ს: ევანსი 19+7 მოხსნა, ტომპსონი 18+9 მოხსნა, უდრიხი 17+5 მოხსნა.

## ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# ოთხეული გარკვეულია

ჩინეთში მიმდინარე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ნახევარფინალისტების ვინაობა გაირკვა. მედლებისთვის ბრძოლას საფრანგეთის, რუსეთის, ესპანეთისა და ნორვეგიის ნაკრებები აგრძელებენ.

მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს რუსეთს ბოლო ტურში მოგება სჭირდებოდა დანიის წინააღმდეგ. გუნდმა ამ ამოცანას იოლად გაართვა თავი და ეს, პირველ რიგში, **ლუდმილა პოსტნოვას** დამსახურებაა, რომელმაც დანიელთა კარში რვა გოლი გაიტანა.

ამ მოგებით რუსებმა პირველ ჯგუფში მეორე ადგილი და ნახევარფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს.

დაუმარცხებლად განვლო მეორე ეტაპი საფრანგეთმა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ფრანგებმა ბოლო ტურში ავსტრია 15 ბურთის სხვაობით გაანადგურეს.

ამ მატჩში ყველაფერი გამოსდიოდა **პოლინ ბოდუის**, რომლის ათივე დარტყმამ მიაღწია მიზანს. ავსტრიელთაგან **კატრინ ენკელი** გამოირჩა 11 გატანილი გოლით, მაგრამ ბომბარდირს პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი და საბოლოოდ 35:20 ფრანგების სასარგებლოდ.

მეორე ჯგუფიდან ბრძოლას ნორვეგია და ესპანეთი აგრძელებენ, რომლებიც ბოლო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს.

პირველი ტაიმის შემდეგ ოლიმპიურ ჩემპიონ ნორვეგიას ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე დაემუქრა, რადგან პირველი 30 წუთი 8:14 წააგო, მაგრამ სკანდინაველებმა სიტუაცია მეორე ტაიმში გამოასწორეს და 27:24 გაიმარჯვეს.

ნახევარფინალში საყოველთაო ყურადღებას იწვევს ოლიმპიური და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონების მატჩი: ნორვეგია-რუსეთი. მეორე წყვილში საფრანგეთი ესპანეთს შეხვდება.

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ანგოლა | 25:21 (12:13) |
| საფრანგეთი-ავსტრია | 35:20 (19:12) |
| დანია-რუსეთი | 25:30 (12:13) |

სატურნირო მდგომარეობა: 1. საფრანგეთი - 8 ქულა; 2. რუსეთი - 8; 3. დანია - 6; 4. გერმანია - 4; 5. ავსტრია - 2; 6. ანგოლა - 2.

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-ჩინეთი | 25:21 (14:10) |
| ნორვეგია-ესპანეთი | 27:24 (8:14) |
| რუმინეთი-კორეა | 34:34 (13:19) |

სატურნირო მდგომარეობა: 1. ნორვეგია - 8 ქულა; 2. ესპანეთი - 7; 3. კორეა - 6; 4. რუმინეთი - 5; 5. უნგრეთი - 4; 6. ჩინეთი - 0.

**დარჩენილი მატჩები**

**17 დეკემბერი**

9-10 ადგილი: ავსტრია-უნგრეთი
11-12 ადგილი: ანგოლა-ჩინეთი
7-8 ადგილი: გერმანია-რუმინეთი
5-6 ადგილი: კორეა-დანია

**18 დეკემბერი. 1/2 ფინალი**

საფრანგეთი-ესპანეთი
ნორვეგია-რუსეთი

*ფინალი 20 დეკემბერს გაიმართება.*

## კრივი

# კლიჩკო: ჰეისთან წინასწარი შეთანხმება არსებობს

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ უკრაინულ პრესასთან ინტერვიუში საგაისო გეგმებზე ისაუბრა.

**- დაიწყო თუ არა WBA-ის ჩემპიონ დევიდ ჰეისთან მოლაპარაკებები?**

- ამ ბრძოლის გამართვაზე ჰეისთან უკვე მიღწეულია წინასწარი შეთანხმება. ჰეისა და კლიჩკოს დაპირისპირებაზე არა მხოლოდ ბრიტანეთსა და გერმანიაშია დიდი ინტერესი. ამ ჩხუბის ხილვა ამერიკაშიც სურთ. მაგრამ ჯერ დევიდს ტიტულის აუცილებელი დაცვა უწევს WBA-ის ექსჩემპიონ ჯონ რუიზთან.



**- თქვენთან შეხვედრაზე კიდევ ერთი მოკრივე - აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევი აცხადებს პრეტენზიას?**

- პროფესიული კრივი - დიდი ბიზნესია. ფინანსური თვალსაზრისით, უფრო მომგებიანი დევიდ ჰეისთან ბრძოლა ჩანს, ვიდრე ვალუევთან. რუსს მხოლოდ ერთხელ უჩხუბია ამერიკაში და ეს მოკრივე იქაური ტელევიზიისთვის ნაკლებად საინტერესოა. თუმცა უკრაინისა და რუსეთისთვის კლიჩკოსა და ვალუევის ჩხუბი ძალიან მიმზიდველი იქნება. ასე რომ, შეუძლებელი არაფერია. იქნებ, ერთხელ მართლაც შევხვდე ნიკოლაის რინგზე.

# და მაინც ლას ვეგასი?

არაოფიციალური ცნობით, ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერის** ბრძოლის შესახებ დადასტურებულ ინფორმაციას მიმდინარე კვირას გამოაცხადებენ.

დარჩენილია მხოლოდ ერთი მოუგვარებელი საკითხი, რაზეც ახლა ორივე მოკრივის პრომოუტერი მუშაობს: ჯერ კიდევ უცნობია ბრძოლის ჩატარების ადგილი. ბოლო ინფორმაციით, მოლაპარაკებებისას ლას ვეგასის MGM Grand Arena ლიდერობს. ჩხუბის ორგანიზებისთვის ამ არენამ ორგანიზატორებს 30 მილიონი შესთავაზა. მეორე ადგილზეა ტეხასის Dallas Cowboys, მაგრამ მისი ფინანსური შეთავაზება უდნავ მოკრძალებულია - მხოლოდ 25 მილიონი.

*„ბრძოლის ყველა დეტალი კვირის ბოლოს იქნება შეთანხმებული. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ მხარეები კონტრაქტზე ხუთშაბათს მოაწერენ ხელს. გასარკვევია მხოლოდ ბრძოლის ჩატარების ადგილი: დალასი თუ ლას ვეგასი"*, - ამბობს ერთ-ერთი ინკოგნიტო წყარო, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი კომენტარი პაკიაოს მრჩეველმა **მაიკლ კონცმაც** გააკეთა: *„დარწმუნებული ვარ, რომ ორმხრივი შეთანხმებით MGM Grand-ზე გავაკეთებთ არჩევანს. ორივე მოკრივემ ლას ვეგასში ჩხუბს დაუჭირა მხარი და როგორც ჩანს, ისინი არ აპირებენ თავიანთი პრიორიტეტების შეცვლას".*

შეგახსენებთ, რომ ბრძოლა 2010 წლის 13 მარტს გაიმართება.

## ჭადრაკი



# ვუნდერკინდმა ლონდონშიც მოიგო

ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა **მაგნუს კარლსენმა** მორიგი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. 18 წლის დიდოსტატმა ლონდონში Chess Classic-ის ტურნირი მოიგო.

ბოლო ტურში კარლსენი ინგლისელ **ნაიჯელ შორტს** დაუზავდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა პირველ ადგილზე გასასვლელად. მაგნუსმა ჯამში 13 ქულა დააგროვა. **გარი კასპაროვის** მოსწავლე ამ გამარჯვებით კიდევ უფრო განიმტკიცებს ლიდერობას FIDE-ს რეიტინგში. სკანდინაველი სულ ცოტა ხნის წინ ჩაუდგა სათავეში საჭადრაკო კლასიფიკაციას.

12 ქულით მეორე ადგილი რუსმა **ვლადიმერ კრამნიკმა** დაიკავა, დანარჩენი პოზიციები კი ასე გადანაწილდა: **3-4. ადამსი, ჰაუელი - 9; 5. მაკშეინი - 7; 6-7. ნი ჰუა, ნაკამურა - 6; 8. შორტი - 5.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ვიქმაიერი ტურს დაუბრუნდება

## შარაპოვას კალენდარი, სერენა-როდიკის წყვილი, უმწვრთნელო აზარენკა და მენეჯერი ჰიუიტი



როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა ბელგიელი ამომავალი ვარსკვლავის **იანინა ვიკმაიერისა** და მისი თანამემამულის **ქსავიერ მალისეს** დოპინგ-სკანდალი. ბოლო ორი დღის განმავლობაში ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები.

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ბრიუსელის სასამართლომ შეაჩერა ბელგიელი ჩოგბურთელების დისკვალიფიკაცია და მათ კარიერის განახლების უფლება მისცა. მეორე დღეს, ამ გადაწყვეტილებას ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) გამოეხმაურა და გამოაცხადა, რომ ბელგიელი მოსამართლეების განაჩენს ძალა არ აქვს.

*„მალისე და ვიკმაიერი კვლავაც დისკვალიფიცირებულნი არიან. მათთვის სასჯელის მოხსნის გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. მით უმეტეს, რომ ბელგიის ანტისადოპინგო სააგენტოს ბრიუსელის სასამართლოს შედეგების შესახებ არაფერი უცნობებია. სანამ ბელგიიდან შესაბამის დოკუმენტებს არ მივიღებთ, ვიკმაიერი და მალისე ტურნირებზე ვერ ითამაშებენ“*, - განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა **ნიკ აიმისონმა**.

მოგვიანებით ITF-მა შეარბილა თავისი პოზიცია. ვიკმაიერის აგენტმა **ოლივიე ვან ლინდონკმა** ბელგიის სააგენტო Belga-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფედერაციამ იანინას ტურნირებზე დაბრუნების უფლება მისცა. აგენტმა ვერ უპასუხა კითხვას იმის შესახებ, მიენიჭება თუ არა იგივე უფლება მალისეს.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. წინ არის ამ საქმის გარჩევა ლოზანაში - სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. როგორც ვან ლინდონკი ამბობს, ვიკმაიერი პროფესიულ დონეზე იქამდე ითამაშებს, სანამ ლოზანას სასამართლო ჩოგბურთელთა აპელაციას არ განიხილავს.

■ ■ ■

რუსმა **მარია შარაპოვამ** საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე 2010 წლის სეზონის პირველ ნახევარში თავისი გამოსვლების განრიგი გამოაქვეყნა. მსოფლიოს პირველი ჩოგანი გაისად პირველ შეხვედრას 2 იანვარს **ვენუს უილიამსის** წინააღმდეგ ტაილანდის კუნძულ ჰუაჰინზე ითამაშებს. 6-9 იანვარს შარაპოვა **მარატ საფინთან** და **ვერა ზვონარევასთან** ერთად რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში კომერციულ ტურნირზე გამოვა, რომელსაც ჰონგ კონგი უმასპინძლებს.

ამის შემდეგ შარაპოვა პირველ ოფიციალურ ტურნირს ითამაშებს - ეს იქნება „დიდი სლემის“ პირველი ჩემპიონატი - ავსტრალიის ღია პირველობა, რომელიც 18-31 იანვარს მელბურნის კორტებზე ჩატარდება. ამას მოჰყვება International-ის კატეგორიის ტურნირი მემფისში (15-21 თებერვალი).

მარტში შარაპოვა პრემიერ კატეგორიის ორ დიდ ტურნირზე ითამაშებს - ინდიან უელსსა (8-21 მარტი) და მაიამიში (24 მარტი-4 აპრილი).

თიხნარის სეზონს რუსი 10 აპრილს ჩარლსტონში დაიწყებს. ამის შემდეგ ის ითამაშებს მადრიდსა (7-16 მაისი) და როლან გაროსზე (24 მაისი-6 ივნისი). უიმბლდონისთვის მზადებას შარაპოვა ბირმინგემში დაიწყებს. ტურნირი 7 ივნისს დაიწყება, უიმბლდონის სტარტი კი 21 ივნისისთვის არის დანიშნული.

■ ■ ■

ჩოგბურთის მოყვარულებმა 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, შესაძლოა, ძალიან საინტერესო წყვილი იხილონ. მიქსტში ამერიკულ დუეტს **ენდი როდიკი** და **სერენა უილიამსი** შეადგენენ.

თანამედროვე ჩოგბურთის ვარსკვლავების სავარაუდო თანამშრომლობის წინაპირობაა გასულ კვირას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ჩოგბურთის ოლიმპიურ პროგრამაში შეტანილია შერეულ წყვილთა თანრიგი, რომელსაც მეორენაირად მიქსტს უწოდებენ.

ამ მომენტისთვის ენდი და სერენა დუეტის შექმნაზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

*„ეს სიმართლეა. სერენა და ენდი ოლიმპიადაზე გამოსვლისთვის გაერთიანებას აპირებენ“*, - აცხადებენ როდიკის ბანაკში.

ასევე პოპულარულია სერენას უფროსი დის - **ვენუსის** კანდიდატურა. მასთან შერეული დუეტის შექმნას აპირებს წყვილთა თანრიგში თამაშის აღიარებული ოსტატი **ბობ ბრაიანი**.

■ ■ ■

მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა **ვიქტორია აზარენკამ** ურთიერთობა გაწყვიტა მწვრთნელ **ანტონიო ვან გრიჰენთან**.

*„ეს ბრწყინვალე ოთხი წელი იყო*, - ამბობს პორტუგალიელი სპეციალისტი. - *შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული თვალსაზრისით, ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და პიროვნებებადაც ერთად ვყალიბდებოდით. მან დიდი გზა გაიარა იუნიორთა რეიტინგის პირველი ნომრიდან WTA-ის კლასიფიკაციის მეექვსე პოზიციამდე. ახლა მხოლოდ ის შემიძლია, რომ ვიქტორიას ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო“*.

■ ■ ■

ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** აგენტ **დევიდ დრიზდეილთან** ერთად საკუთარი კომპანია შექმნა, რომელსაც Signature Sports Management ჰქვია და ის სპორტული მენეჯმენტის მიმართულებით იმუშავებს.

წინასწარი გეგმის მიხედვით, სააგენტო ახალგაზრდა ავსტრალიელ ჩოგბურთელებთან ითანამშრომლებს. ასე მაგალითად, გასულ კვირას Signature Sport Management-მა კონტრაქტი გააფორმა **ოლივია როგოვსკასთან**. დრიზდეილის სიტყვებით, ჰიუიტს სპორტულ აგენტებთან მუშაობის გამოცდილება გააჩნია და ახალი კლიენტებისთვის დამრიგებლის როლსაც შეასრულებს.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ეს. ჩემპიონატი** | |
| **კლუბები** | |
| მაზემბე-ოკლენდი | 2:3 |
| ატლანტე-ბარსელონა | 1:3 |
| **ინგლისი** | |
| ბარნლი-არსენალი | 1:1 |
| ჩელსი-პორტსმუთი | 2:1 |
| ლივერპული-უიგანი | 2:1 |
| ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი | 3:0 |
| **FA Trophy** | |
| ლიუესი-ჰემპტონი | გადაიდო |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ინტერი-ლივორნო | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კიოლნი A-ბონერი | 0:0 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ლე მანი-გრენობლი | 1:0 |
| ლორიანი-მარსელი | 1:2 |
| ლიონი-ბულონი | 2:0 |
| მონაკო-რენი | 1:0 |
| მონპელიე-ბორდო | 0:1 |
| ნანსი-ნიცა | 2:0 |
| პსჟ-ლანსი | 1:1 |
| **კვიპროსის თასი** | |
| დოხა-აპეპ | 0:1 |
| ომონია-აელ | 0:2 |
| აპოლონი-ნეა სალამისი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-ფენერბაჰჩე | 80:77 |
| ლ. რიტასი-ოლიმპიაკოსი | 83:89 (ო) |
| ოლდენბურგი-ხიმკი | 49:62 |
| კახა ლაბორალი-ოლიმპია | 62:53 |
| რომა-მარუსი | 74:87 |
| მონტეპასკი-ვილერბანი | 83:74 |

TV პროგრამა

**17 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბარნლი-არსენალი.
10:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
12:45 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ლეტუვოს რიტასი-ოლიმპიაკოსი.
14:25 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-უიგანი.
18:15 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტურის მიმოხილვა.
18:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
19:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. VI ტურის წინ (LIVE).
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჯენოა-ვალენსია (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სტიაუა-ტვენტე (LIVE).
02:00 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ცსკა-მაკაბი.
03:40 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტურის მიმოხილვა.
04:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ტამპა ბეი (LIVE).
07:15 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. აიაქსი-ანდერლეხტი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჰერტა-სპორტინგი.
11:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ლოს ანჯელესი.
12:45 სპორტული სამყარო.
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სპარტა-კოპენჰაგენი.
15:35 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პარტიზანი-შახტარი.
17:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-ოტავა.
19:20 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ლეტუვოს რიტასი-ოლიმპიაკოსი.
21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. VI ტურის მიმოხილვა.
21:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. აიაქსი-არსენალი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფენერბაჰჩე-შერიფი (LIVE).
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-უიგანი.
03:50 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბენფიკა-აეკ.
05:40 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სტიაუა-ტვენტე.
07:30 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ლეტუვოს რიტასი-ოლიმპიაკოსი.

**EUROSPORT**

11:35 მულტისპორტი.
11:45 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
13:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოხფილცენი. ავსტრია.
14:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა. ჰოხფილცენი. ავსტრია.
19:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი 6 Red. I დღე. ირლანდია (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. ინდივიდუალური რბოლა. პოკლიუკა. სლოვენია (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი 6 Red. I დღე. ირლანდია (LIVE).
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 რესტლინგი.
03:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. პოკლიუკა. სლოვენია.

ჰოკეი

# კროსბი კანადელთა რჩეულია

„**პიტსბურგ პინგვინზის**“ თავდამსხმელი **სიდნი კროსბი** Lou Marsh Award-ის პრიზით დაჯილდოვდა. ეს გახლავთ გამოცემა The Toronto Star-ის მიერ დაწესებული ჯილდო. მის მფლობელს ჟურნალისტებს შორის გამოკითხვის შედეგად ავლენენ და ლაურეატს კანადის წლის საუკეთესო სპორტსმენად მოიხსენიებენ.

სიდნი კროსბიმ 2009 წლის ივნისში „პიტსბურგ პინგვინზს“ სტენლის თასი მოაპოვებინა. სხვათა შორის, „პინგვინების“ კაპიტანმა 2007 წელსაც დაიმსახურა კანადის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული.

*„კარგად მესმის, რომ ეს პერსონალური ჯილდოა, მაგრამ გუნდისა და მწვრთნელის გარეშე ვერ შევძლებდი სტენლის თასის მოპოვებას. ამ წარმატების წყალობით ძალიან წარმატებული წელი გამოვიდა*, - აღიარა კროსბიმ. - *ბედნიერი ვარ, რომ ეს პრიზი უკვე მეორედ მოვიპოვე. დიდი პატივია იყო აღიარებული საუკეთესო კანადელ სპორტსმენებს შორის“*.

წელს ჰოკეისტის მეტოქეები იყვნენ სწრაფდაშვებაში მსოფლიოს ჩემპიონი **ჯონ კუჩერა**, NBA-ის ვარსკვლავი **სტივ ნეში**, ჩოგბურთელი **დანიელ ნესტორი**, მოციგურავე **კრისტინ ნესბიტი** და შერეული ორთაბრძოლების ოსტატი **ჯორჯ სენ-პიერი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ამბები

კალათბურთი

## მგლებმა გომესი დაკარგეს

„**მინესოტა ტიმბერვულვზს**“ უახლოეს მატჩებში ვერ დაეხმარება ფორვარდი **რაიან გომესი**. კალათბურთელს ფეხზე კუნთი აქვს დაჭიმული და ამ დაზიანების მკურნალობას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება.

*„ექიმებმა მითხრეს, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერი იქნება ტკივილი ფეხში. დღეს ვარჯიშზე ტრავმამ ისევ შემახსენა თავი. რამდენიმე დღე უნდა დავისვენო და შემდეგ გადავწყვიტო მოედანზე გასვლის საკითხი“*, - განაცხადა გომესმა, რომელმაც ფეხი „საკრამენტო კინგზთან“ მატჩში დაიზიანა.

ამ სეზონში რაიანმა 24 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12 ქულითა და 5.3 მოხსნით გამოიჩინა თავი.

ოლიმპიზმი

## იტალიური პრემიები

ის იტალიელი სპორტსმენები, რომლებიც 2010 წელს ვანკუვერის ოლიმპიადაზე მედლებს მოიპოვებენ, ზუსტად ისეთივე ფულად პრემიას მიიღებენ, როგორიც მათ კოლეგებს 2008 წელს პეკინის თამაშებზე ჰქონდათ.

იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოქროს მედლის მფლობელისთვის 140 ათასი ევრო გამოყო, 75 ათასს მიიღებს ვერცხლისმედალოსანი, 50 ათასს-ბრინჯაოს პრიზიორი.

პარაოლიმპიელებისთვის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის შესაბამისად 75, 40 და 25 ათასი ევროა დაწესებული.

ჰოკეი

## სპეცა რვა თვე დაისვენებს

სერიოზული დანაკლისი განიცადა „ოტავა სენატორზმა“. ამ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ჯეისონ სპეცამ** ვარჯიშზე მარცხენა მუხლი დაიზიანა. ექიმების დასკვნით დაზიანება მეტად სერიოზულია და სპეცას სავარაუდოდ ორი თვის გამოტოვება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ჯეისონი კანადის ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატია და ის მონაწილეობას იღებდა ზაფხულში წინასაოლიმპიადო შეკრებაზე. მაგრამ ახლა სპეცას თითქმის არ რჩება ვანკუვერის თამაშებზე გამგზავრების შანსი.

კრივი

## აბრაჰამი გერმანიის რჩეულია

სომხური წარმოშობის გერმანელი **არტურ აბრაჰამი** ზედიზედ მეოთხედ გახდა გერმანიის წლის საუკეთესო მოკრივე. ჟურნალ BoxSport-ის მკითხველებმა და ექსპერტთა ჯგუფმა აბრაჰამის მიღწევები უფრო დააფასეს, ვიდრე ნომინაციაში მისი მთავარი კონკურენტების - ძმები **კლიჩკოების** გამარჯვებები.

2009 წელს აბრაჰამმა ორჯერ წარმატებით დაიცვა IBF-ის ტიტული საშუალო წონაში, აგრეთვე წარმატებული დებიუტი ჰქონდა Super Six-ის ტურნირზე, როცა მე-12 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ცნობილი ამერიკელი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ჯერმეინ ტეილორი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# რენო გაიყიდა და ფორმულაში დარჩა



ფრანგული საჯინიბო „რენო“ ფორმულა 1-ში რჩება. გუნდის საკონტროლო აქციათა პაკეტი Genii Capital-მა შეიძინა და ამის ხარჯზე გაკეთებულმა ეკონომიამ ფრანგულ ავტოგიგანტს ფორმულა 1-ის ჩემპიონატში დარჩენის საშუალება მისცა.

ეს განცხადება გუშინ „რენოს“ პრესსამსახურმა გაავრცელა, რითაც დაამშვიდა გუნდის გულშემატკივრები, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ ბოლო დროს გავრცელებული ცნობით იმის შესახებ, რომ „რენო“ „დიდი ცირკის“ დატოვებას აპირებდა. ეს განცხადება იმით იყო განპირობებული, რომ მსოფლიოს ფინანსური კრიზისის პირობებში ავტომწარმოებლები ფულს აღარ დებენ ავტოსპორტში. მაგრამ ახალი პარტნიორების დახმარებით გამხნევებულმა „რენომ“ მოსალოდნელი ხარჯი მისაღებად ჩათვალა და თავისი საქარხნო გუნდი ფორმულა 1-ში დატოვა.

ასე რომ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია - დარჩება თუ არა „რენოს“ პილოტად პოლონელი **რობერტ კუბიცა**, რომელმაც ფრანგულ საჯინიბოში „ფერარიში“ წასული ესპანელი **ფერნანდო ალონსო** შეცვალა. კონტრაქტის მიხედვით, პოლონელს უფლება აქვს დატოვოს გუნდი მისი გაყიდვის შემთხვევაში. დღეს სწორედ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე და კუბიცას ჯერ არ დაუდასტურებია ახალ მეპატრონეებთან თანამშრომლობის სურვილი. მისი აგენტი **დანიელე მორელი** სიფრთხილით აცხადებს, რომ კუბიცა კარგად მოიფიქრებს, სანამ ახალ პარტნიორებთან მუშაობას დათანხმდება.

„რენოს“ ახალმა მფლობელებმა - **ერიკ ლუქსმა** და **ჟერარ ლოპესმა** გუნდის აქციათა 75 პროცენტი მიიღეს და ისინი მთლიანად გააკონტროლებენ ბრიტანეთის ქალაქ ენსტონში დიზაინისა და შასის საწარმოს. „რენო“ კი დარჩება კომპანიად, რომელიც პარიზის გარეუბან ვირი-შატიიონში ძრავების წარმოებით არის დაკავებული. სხვათა შორის, „რენო“ ძველებურად მიაწვდის ძრავებს წლევანდელი სეზონის მეორე გუნდ „რედ ბულს“.

ცნობილი გახდა, რომ გუნდი შეინარჩუნებს ძველ სახელწოდებას. ამ ცვლილებების მთავარი მიზანი ახალი პროგრამის დაწყება იყო - ეს არის ხარჯების შემცირება და ამავდროულად, საჯინიბოსთვის ძველი დიდების დაბრუნება.

გუნდის პრეზიდენტმა **ბერნარდ რეიმ** განაცხადა: *„მივესალმები ჩვენს ახალ სტრატეგიულ პარტნიორს. დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანების ენთუზიაზმი და მათი გამოცდილება გუნდის განვითარებას ახალ იმპულსს მისცემს. ამას სულ მალე იგრძნობენ ჩვენი თანამშრომლები. საერთო ძალისხმევით, ჩვენ კარგად მოვემზადებით ახალი სტარტებისთვის“.*

გასულ სეზონში „რენომ“ 2002 წლის შემდეგ ყველაზე უარესი შედეგი აჩვენა. მან მერვე ადგილი დაიკავა კონსტრუქტორთა თასზე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალონსო კი 26 ქულით მეცხრე ადგილზე გავიდა ინდივიდუალურ ჩათვლაში. მის თანაგუნდელებს - **ნელსინიო პიკესა** და **რომან გროსჟანს** ერთი ქულაც არ მოუპოვებიათ.

# ვირჯინის გარკვეულია

„ლოტუსის“ შემდეგ კიდევ ერთმა დებიუტანტმა გუნდმა წარადგინა 2010 წლის სეზონისთვის შემადგენლობა. ამ საჯინიბოს „ვირჯინ რეისინგი“ ჰქვია, მისი შეფი კი ცნობილი ბიზნესმენი **რიჩარდ ბრენსონი** გახლავთ.

56 წლის ბრენსონის კომპანია გასულ სეზონში ტრიუმფატორი გუნდის - „ბრაუნ გრან-პრის“ სპონსორი იყო, ახლა კი ბიზნესმენი საკუთარი გუნდით გამოვა ჩემპიონატში.

ბრენსონი ამბობს, რომ თავდაპირველად მისი საჯინიბოსგან მაღალ შედეგებს არ უნდა ელოდონ.

*„ეს შესანიშნავი პროექტია. კარგი პილოტები და გამოცდილი ტექნიკური შტაბი გვყავს. მათი მონდომებით, თანდათან დავიმკვიდრებთ ადგილს საუკეთესო გუნდებს შორის“*, - ამბობს „ვირჯინის“ შეფი.

რაც შეეხება გუნდის შემადგენლობას, გაისად „ვირჯინის“ საპრიზო პილოტები იქნებიან „ტოიოტას“ ყოფილი წევრი, გერმანელი **ტიმო გლოკი** და დებიუტანტი, „რენოს“ ყოფილი სარეზერვო პილოტი, ბრაზილიელი **ლუკას დე გრასი**.

■ ■ ■

მომავალი სეზონისთვის სამუშაო იპოვა იაპონელმა **კამუი კობაიაშიმ** - მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ზაუბერთან“. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს აზიელი პილოტი „ტოიოტას“ ღირსებას იცავდა და სეზონის ბოლოს სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

კობაიასი პირველი პილოტია, რომელიც 2010 წლის სეზონის წინ „ზაუბერმა“ გაიფორმა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება იაპონელის პარტნიორი, სარეზერვო პილოტის როლი კი ბელგიელ **ბერტრან ბაგუტს** ერგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**







